# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 23 იანვარი 2001 №8 (1281) | ფასი 50 თეთრი


2

## 15 წამი შამპანურის გასახსნელად

აალსტელმა ლაშა ჯაკობიამ ბელგიის უმაღლეს დივიზიონში პირველად გაიტანა

4

## დემეტრაძე: გავიტანე და გამიტანეს

8

## ცამეტჯერ კაპიტნის ცამეტი წელი



ტონი ადამსი ინგლისის ნაკრებს დაემშვიდობა

9

## ფეხები დაბლა!



მსოფლიოს უძვირესი მცველი ტელევიზორის ყურებისას დაშავდა

11

## ბასკო ბელარუსებთან და ესტონელებთან

NEBL

ჩრდილოეთ ევროპის საკალათბურთო ლიგის პირველი ტური ბათუმში გაიმართება

# 99% კახა კალაძე მილანელია



ანდრეი შევჩენკო და კახა კალაძე: ძმაკაცები „მილანში“

გუშინ ერთი ჩვენთვის სასიამოვნო ამბავი მოხდა. საქართველოს ნაკრებისა და კიევის „დინამოს“ მცველი კახა კალაძე მოსკოვიდან იტალიას გაემგზავრა და მილანში სამედიცინო შემოწმება გაიარა. ექიმების პასუხი დადებითია — კალაძე სავსებით ჯანმრთელია და დღესვე შეუძლია „მილანში“ თამაში, დიდი ხანია, კალაძის „მილანში“ გადასვლაზე ლაპარაკობენ, ახლა კი გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენებურის „მილანში“ ჩარიცხვას მხოლოდ კონტრაქტზე ხელმოწერაღა აკლია, რაც ამ კვირაში უნდა მოხდეს.

იხილეთ მეორე გვერდი

# ავსტრალიური ეშაფოტი და რუსული სასწაული

## ბეკერის სქესის ამორალური თავისებურებანი



მარატ საფინი ავსტრალიაში ხელმარცხიანად სცემდა ჩოგანს

ამ უქმეებზე ავსტრალიის ღია პირველობის ფავორიტ კაცებს ერთი დიდი „საძმო სამარე“ გაეთხარათ: მეოთხედფინალის საგზურებს ვერ ეღირსნენ მსოფლიოს მეორე, მესამე, მეოთხე და მეშვიდე ჩოგნები — მარატ საფინი, პიტ სამპრასი, მაგნუს ნორმანი და ლეიტონ ჰიუიტი. ბულგარული პრესის პირველ გვერდებს გაშინაურებული ბორის ბეკერი ამასობაში მორიგ ხათაბალაში გაეხვა. დიდ გერმანელს მაგან რუს ლამაზმანთან სექსუალური ცუღლუტობა შეიძლება უჩვეულოდ ჩასახულ, მოულოდნელად მოვლენილ ქალიშვილად და ჯიბის გვარიანად დაცარიელებად დაუჯდეს.

იხილეთ მეცამეტე გვერდი

# 99% კახა კალაძე მილანელია

დასაწყისი პირველ გვერდზე

— კახა კალაძე მილანში დილით ჩამოფრინდა, „მილანის“ ხელმძღვანელობას შეხვდა და სამედიცინო შემოწმებაც გაიარა — ის ჯანმრთელია — თქვეს „მილანის“ წარმომადგენლებმა. საქმეც 99 პროცენტით მოგვარებულია, „მილანი“ ახლა კიევის „დინამოს“ საპატიო და უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის გრიგორი სურკისის აქ ჩამოსვლისა და გუნდებს შორის კონტრაქტის გაფორმების მოლოდინშია. როგორც ჩემთვის ცნობილია, თავად ფეხბურთელი და კლუბი პირობებზე უკვე შეთანხმებულნი არიან. „მილანმა“ ქართველს ოთხნახევარწლიანი კონტრაქტი შესთავაზა. კიევის „დინამოდან“ კალაძის „მილანში“ ტრანსფერის თანხა კი სავარაუდოდ 13 მილიონი დოლარია. ყოველ შემთხვევაში, იტალიელები ამდენს იხდიან, კიეველები კი დაახლოებით 20 მილიონს ითხოვენ. სურკისს მილანში ამ კვირაში ელიან. 31 იანვარს იტალიაში სატრანსფერო სეზონი იხურება და „მილანი“ დიდად მოწადინებულია, კახა კალაძე თავის ფეხბურთელად გააფორმოს — ეს რუსულ გაზეთ „სპორტ ექსპრესის“ მილანელი კორესპონდენტის გიორგი კუდინოვის სიტყვებია. მან ეს გვაცნობა გუშინ, როცა მილანში დავუკავშირდით. ისიც დაამატა, რომ „მილანის“ ყველა ხელმძღვანელთაგანს, რომლებსაც ის დაუკავშირდა, ტელეფონი გამორთული ჰქონდა, მათ შორის კლუბის ქართველ სელექციონერს რევაზ ჭოხონელიძეს, რომელთან შეხმიანებას ჩვენც ვეცადეთ.

ასე რომ, ფაქტი მრავლისმეტყველია — კალაძე გუშინ მილანში იყო და იქაურ ექიმებს ტყუილად რომ არ გაესინჯებოდა, ამაზე ლაპარაკი, ვფიქრობთ, ზედმეტია. დღეს კი ჩვენებური ალბათ ისევ მოსკოვს ჩაფრინდება და კიევის „დინამოსთვის“ ესპანეთში ჩემპიონთა ტურნირში ითამაშებს.

ეს ყოველივე გუშინ „მილანის“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე გავრცელდა და თითქმის ყოველ საათს ივსებოდა. ჯერ ეწერა, კალაძე მილანში ჩამოფრინდა და გუნდის უფროსებს შეხვდაო. მერე ის, რომ ჩვენებური ექიმებს უნდა შეემოწმებინათ, ბოლოს კი, მილანელებმა გააცხადეს, რომ კლუბი ახლა ურუგვაელი ახლაწვეულის პაბლო გარსიას ევროპულ პასპორტს ელის და როგორც კი გარსია ევროკავშირის მოქალაქეობას მიიღებს, „მილანი“ ქართველს კონტრაქტს დაუყოვნებლივ გაუფორმებსო.

იქვე „მილანის“ მწვრთნელის ალბერტო ძაკერონის სიტყვები იყო: „კახა კალაძე ძალიან ძლიერი მცველია, რომელსაც ნახევარდაცვაშიც კარგად შეუძლია თამაში, ისევე როგორც პაოლო მალდინის“.

თავად კახა კალაძეს კი უთქვამს: „მიხარია, რომ „მილანში“ ჩემი ძმაკაცის ანდრეი შევჩენკოს მხარდამხარ ვითამაშებ“.

ეს ამბავი, „მილანის“ ვებ-გვერდისვე ცნობით, შევჩენკოსთვისა და სხვა მილანელი ფეხბურთელებისთვისაც მოულოდნელი ყოფილა.

ჩვენ კი ეს ვთქვათ — როდის ითამაშებს კახა კალაძე „მილანში“. მორიგი ტური იტალიაში უქმეებზეა, „მილანი“ 28 იანვარს „ბრეშას“ სტუმრობს, აი ამის შემდეგ კი... კახა კალაძემ თებერვალში შესაძლოა მსოფლიოს ერთ-ერთი სახელოვანი კლუბის შავ-წითელი მაისურა მოირგოს და სერია A-ს პირველი ქართველი გახდეს. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ჩავთვალოთ, რომ ამ საქმეს საშველი დაადგა — კახა კალაძე მილანელია...

**კობა ინასარიძე**

# გორდას მილანმა ვერ გაუძლო

**ეროვნული** ჩემპიონატის საგაზაფხულო ეტაპისთვის მზადებას აგრძელებს რუსთავის „გორდა“. გუნდი უკვე მეათე დღეა, ორჯერად ვარჯიშებზეა გადასული. იასონ ალადაშვილის შეგირდები დილით თბილისში, მანეჟში ემზადებიან, შუადღის შემდეგ კი „ფოლადზე“ აგრძელებენ წვრთნას. ასეთ რეჟიმზე გუნდი კიდევ ერთ კვირას დარჩება და შემდეგ მზადების მეორე ეტაპზე გადავა, როცა „გორდასთვის“ გასვლითი შეკრების მოწყობას ვარაუდობენ კლუბის ხელმძღვანელები.

კვირას „გორდამ“ მეორე საკონტროლო მატჩი გამართა. გეხსომებათ, პირველად დიღმის ბაზაზე „დინამოსთან“ დამარცხდა (3:4) ალადაშვილის გუნდი, ამჯერად კი შინაურ სარბიელზე ითამაშეს „მეფოლადეებმა“ და წნორის „მილანს“ უმასპინძლეს. ქიზიყელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს რანგით მაღალ მეტოქეს, პირველი ტაიმი სულაც მშრალი ანგარიშით მოიგეს (2:0), მაგრამ მეორე ნახევარში გამოცდილებამ თავისი გაიტანა, მასპინძლებმა სამი უპასუხო გოლი გაუტანეს პირველლიგელ მეტოქეს და 3:2 გაიმარჯვეს. რუსთაველთაგან თავი ჯელაძემ, სოხაძემ და ალადაშვილმა გამოიჩინეს.

„გორდამ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ბედიაშვილი, კედელაშვილი, ბერიძე, ბურნაძე, ა. გელაძე, ა. ბუკია, ალადაშვილი, მელაძე, ზ. ლაბაძე, ჯელაძე, მიშველიძე (სოხაძე).

**ბაათა ქვანტალიანი**



„ჩარლტონი“ — „ვესტ ჰემი“ 1:1. ინგლისელთა ახალმა მწვრთნელმა სვენ გორან ერიქსონმა უკვე მეორედ უცქირა სანაკრებო კანდიდატ მაიკლ კარიკის (№21) და სხვა ვესტჰემელთა თამაშს



ლაშა ჯაკობიას ექვსთვიანი უიღბლობა დასრულდა

# ჯაკობიას შამპანურის გასახსნელად 15 წამი დასჭირდა

**ასეთ** დებიუტს ბევრი ვერ წარმოიდგენდა. ბელგიის ჩემპიონატი მეცხრე ტურში ექვსთვიანი ტრავმით გაწამებული ლაშა ჯაკობიას „აალსტი“ ნაბოსკამპარ „გენკს“ მასპინძლობდა. მეთხუთმეტეადგილოსანი და რჩეულთა ლიგიდან გავარდნის კანდიდატი მასპინძლები ძალიან ცდილობდნენ კონკურენტის დამარცხებას და იმდენი მოახერხეს, რომ 86-ე წუთისთვის 3:2 იგებდნენ შეხვედრას. სწორედ 86-ე წუთი იწურებოდა, როცა...

„სტუმრები უკანმოუხედავად გვიტევდნენ. ჩვენს დაცვას უფრო და უფრო უჭირდა „გენკის“ შეტევების მოგერიება. ამ დროს გუნდის მთავარი მწვრთნელი დე კონიკი მომიახლოვდა და... თავკაცთან მატჩამდე ვისაუბრე, მითხრა, კარგად მოუშუშდი, 2-3 კვირაში სასტარტო შემადგენლობაში დაგაყენებო, ამიტომ ნამდვილად არ ველოდი, თუ „გენკთან“ შეცვლაზე შემიყვანდა მოედანზე, მაგრამ, საბედნიეროდ, მწვრთნელმა ასე გადაწყვიტა, მინდორზე გასვლის წინ მთხოვა, ბურთი რაც შეიძლება, დიდხანს დამეჭირა. მერე კი ისეთი რამ მოხდა, ცხოვრებაში ვერ წარმოვიდგენდი — ჩვენმა მეკარემ კარიდან შორს გამოიტანა ბურთი, გენკელმა მცველმა თავისი საჯარიმოს სიახლოვეს მოიგერია ბურთი და ოცდახუთიოდე მეტრიდან ძირს დაუშვებლად დავარტყი კარში. ლამაზი გოლი გამოვიდა, ჩემი მოედანზე შესვლიდან კი სულ 15 წამი იყო გასული“ — გვითხრა ლაშა ჯაკობიამ გუშინ სატელეფონო საუბრისას.

ამ გოლით „აალსტმა“ საბოლოოდ ცხადჰყო მატჩში გამარჯვებულის ვინაობა. მოედანზე კი რაც მოხდა, მგონი, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს. „ლამის გამგუდა დე კონიკმა. მწვრთნელი მოედანზე შემოვარდა, ხელები მომხვია, გულშემატკივრებიც შემოცვივდნენ სტადიონზე, დიდი ზარ-ზეიმი ატყდა, რომელიც გასახდელშიც გაგრძელდა. კლუბის პრეზიდენტმა კი დიდი პატივი დამდო და შამპანურის ბოთლი გახსნა ჩემს საპატივცემულოდ. წარმატებული დებიუტი მომილოცა და ეპითეტები არ დამაკლო“ — აღფრთოვანება არ დაუფარავს გუშინდელი საუბრისას ლაშას.

მოკლედ, ჯაკობიამ ჩინებული დებიუტი მოიწყო ბელგიაში. აღსანიშნავია, რომ ქართველი თავდამსხმელი იქაურ უმაღლესლიგელ „სტანდარდშიც“ ირიცხებოდა, თუმც ლაშამ თავისი ოფიციალური პირველი ბელგიური გოლი სწორედ „აალსტის“ შემადგენლობაში გაიტანა „გენკთან“ საკვირაო მატჩში.

ბოლოს კი ისიც ვთქვათ, რომ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი „აალსტში“ ექვსი თვის წინ გადავიდა, მაგრამ ლამის ქრონიკულად ქცეული ტრავმის მიზეზით „გენკამდე“ ახალ გუნდში მხოლოდ ერთხელ ითამაშა, ისიც ამხანაგურ მატჩში „უტრეხტთან“. შეხვედრა უგოლოდ დასრულდა, მეორე ტაიმში „აალსტის“ რიგებში მოედანზე შესული ჯაკობია კი ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე. რაც შეეხება მის ჯანმრთელობას, ამაზე ლაშამ შვებით გვიპასუხა: „მადლობა ღმერთს, ყველაფერი დასრულდა. ფეხი ოდნავადაც არ მაწუხებს და ვგრძნობ, ჩემი ბედი ჩემს ხელშია. მჯერა, ქომაგს იმედს გავუმართლებ.“

**ბაათა ქვანტალიანი**

**ინგლისი**

პრემიერლიგა. XXIV ტური

ჩარლტონი 1:1 ვესტ ჰემი

1:0 ბარტლეტი (7), 1:1 დი კანიო (74)

**იტალია**

სერია B. XIX ტური

კროტონე 0:2 ტერნანა




☎ (231) 7 17 58

**იყიდება**

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

**ქუთაისში**

ირაკლი აბაშიძის გამზირი, 18. კინოთეატრ "ულიანოსთან"

# რა დროს ესენგე და რუსებია?!

# დინამოს ზიმბრუ გვირჩევნია

**სჭირდება,** არგია რამეში საქართველოს ჩემპიონს ესენგეს თასი და ხელოვნურ საფარზე ბურთის გორება? დიდი ხანია, ამის შესახებ დავობენ და ბჭობენ, მაგრამ ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებულს ჯერ წელიწადიც არ ჩაუგდია.

ჩვენმა „დინამომ“ იმდენი მოახერხა, რომ ესენგეს გათამაშების აუტსაიდერთა ზონაში ჩაქვეითდა. არადა, გვახსოვს, როგორ უწია ნახევარფინალს და სახალხო „სპარტაკიც“ კინაღამ ბეჭებზე გააკრა. კინაღამ არ ითვლება და „სპარტაკის“ დაჩოქებაც კიეველებმა, სხვათა შორის, ქართველის გოლით, შეძლეს. თუმც არ არის გამორიცხული, უკრაინელებმა თბილისელი თანაკლუბელების ბედი გაიზიარონ და ძლიერთა რიგებს გამოაკლდნენ.

გასულ შაბათს ესენგეს ტურნირი დაიწყო. რიგით მეცხრე გათამაშებაში ამჯერად ქუთაისური „ტორპედო“ გამოდის, თუმც მოსკოვს სხვა ქართველი ფეხბურთელებიც ეწვივნენ და თავიანთი კლუბების ღირსებასაც იცავდნენ.

ტურნირის მიმოხილვა უძლიერესთა ლიგით და B ჯგუფით დავიწყოთ, რადგან იქ მეტი ქართველი ლეგიონერია თავმოყრილი. ჯგუფს ორი ტურის შემდეგ რიგის „სკონტო“ ლიდერობს. ლატვიის ჩემპიონი პირველ ტურში ქართველებისვე „ზიმბრუს“ დაუზავდა. თავიდან მოლდოვის ჩემპიონი იგებდა, მერე „სკონტო“ იყო წინ, მაგრამ საბოლოოდ ფრე დაფიქსირდა. ერთი გოლი მიითვალა ზურაბ მენთეშაშვილმა, რომელმაც ალექსანდრე რეხვიაშვილთან ერთად 90 წუთი გაატარა მოედანზე. „ზიმბრუს“ ლევან გვაზავამ და ლადო ახალაიამ შესაბამისად 36 და 19 წუთი ითამაშეს.

კვირას „სკონტომ“ კიევის „დინამო“ წამოაქცია. რეხვიაშვილი, მენთეშაშვილი და დინამოელი კალაძე შეუცვლელად თამაშობდნენ. „დინამო“ მანამდე „კოპეტდაღს“ დაუზავდა და კახამ მესამოცე წუთზე რადჩენკოს დაუთმო ადგილი.

ამის შემდეგ კალაძემ ფეხი დაკრა და მოსკოვიდან მილანს გაფრინდა. რა დროს ესენგე და რუსებია, როცა კაცი უძვირესი ქართული ტრანსფერის მოლოდინშია.

კიშინიოვის „ზიმბრუ“ კი „კოპეტდაღთან“ დამარცხდა. ახალაიამ თითქმის მთელი მეორე ტაიმი ითამაშა, გვაზავა კი ამჯერად არ გამოჩენილა.

A ჯგუფში, რაღა საკითხავია, სახალხო „სპარტაკი“ ლიდერობს. ოთარ ხიზანეიშვილს პირველ მატჩში მოზირის „სლავიასთან“ არ უთამაშია, ხოლო მომდევნოში, „კაუნასთან“, სამი წუთით გამოჩნდა. 87-ე წუთზე ოთარმა კოვტუნი შეცვალა.

დროა, საქართველოს ჩემპიონზეც მოგახსენოთ. „ტორპედო“ უძლიერესთა შორის ალზევებას ცდილობს და მგონი, გამოუვა კიდეც, თუმც რიონისპირელებს დიდი შრომის ფასად მოსდით წარმატება.

ჯერ ყირგიზეთის ჩემპიონი რა იქნებოდა და მეოთხეადგილოსანს რა უნდა დაეკლო, მაგრამ ვერ გაჰქონდათ გოლი ქუთაისელებს. ჩვენებურებმა ვერც თერთმეტმეტრიანიდან იხეირეს. დავით ჯანაშიას მეკარე მამატკასიმოვმა აჯობა.

თითქოს ფრეც გარდუვალი ჩანდა, მაგრამ შაბათს შეუჩერებელმა აშვეთიამ ვლადიკავკაზელთა გულის გასახეთქად დუბლი შეასრულა. მიხომ ჯერ 83-ე წუთზე სამი მცველი გააბითურა და მეკარეს აულებელი დაურტყა, ხოლო 89-ეზე მეკარესთან პირისპირ გასულმა ანგარიში გაასამა. აშვეთიას გოლებს შუა კი თავი შალამბერიძემ გამოიჩინა.

რუსული პრესა მიხეილ აშვეთიას კარგ თამაშს აღნიშნავს და მატჩის გმირადაც მიიჩნევს, თუმც ჩვენს მოსკოველ კოლეგებს არც გუჩუასა და იონანიძის კარგი თამაში გამორჩენიათ. „ტორპედოს“ ფიზიკური მომზადება მოუწონეს, ხოლო ნახევარდაცვას — გარჯა.

ცუდად დაიწყო რიონისპირელთათვის აზერბაიჯანულ „შამქირთან“ პაექრობა. ბადრი კვარაცხელიამ უკვე მეშვიდე წუთზე დააწინაურა თავისიანები და 20 წუთის განმავლობაში „შამქირი“ ფავორიტიც იყო, მაგრამ იონანიძემ ანგარიში გაქვითა, ხოლო მეორე ტაიმში აშვეთიამ გამარჯვებისა გაიტანა.

კახა კალაძისთვის ესენგე სამუდამოდ დასრულდა. „ტორპედოს“ ბოლო მატჩში ფრეც ხელს აძლევს და მომავალ ესენგეზე ისევ უძლიერესთა რიგებში ვითამაშებთ.

იმედია, „სკონტო“ „კოპეტდაღთან“ არ დამარცხდება და ნახევარფინალშიც გავა. კიევის „დინამოს“ ბედი კი ქართველ ქომაგს, ალბათ, ამიერიდან აღარც აღელვებს. „ზიმბრუ“? არა, გვირჩევნია, ისევ კიევის „დინამო“ დაქვეითდეს.

**ბამუკა ძგანტალიანი**

### A ჯგუფი

#### პირველი ტური

**ვარზობი 0:2 კაუნასი**

0:1 ველიჩკა (8), 0:2 დედურა (62)

**სპარტაკი 3:1 სლავია**

1:0 ტიტოვი (43), 2:0, 3:0 ირისმეტოვი (63, 87), 3:1 ვასილიუკი (90)

*ოთარ ხიზანეიშვილს „სპარტაკში“ არ უთამაშია*

#### მეორე ტური

**სლავია 1:1 ვარზობი**

1:0 ვასილიუკი (45), 1:1 ბშურმამადოვი (46)

**კაუნასი 0:2 სპარტაკი**

0:1 გრანოვსკი (10), 0:2 პარფიონოვი (87პ)

*სპარტაკელმა ოთარ ხიზანეიშვილმა 87-ე წუთზე შეცვალა იური კოვტუნი*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| კაუნასი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| სლავია | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| ვარზობი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |

#### მესამე ტური

*დღეს: სლავია — კაუნასი; სპარტაკი — ვარზობი*

### B ჯგუფი

#### პირველი ტური

**ზიმბრუ 2:2 სკონტო**

1:0 კულიკი (24პ), 1:1 ზემლინსკისი (26პ), 1:2 მენთეშაშვილი (30), 3:3 ბერკო (32)

*„სკონტოში“ — ალექსანდრე რეხვიაშვილმა და ზურაბ მენთეშაშვილმა სრულად ითამაშეს;*

*„ზიმბრუში“ — ლევან გვაზავამ 54-ე წუთზე შეცვალა კულიკი, ლადო ახალაიამ 71-ე წუთზე შეცვალა ოპრია*

**დინამო 1:1 კოპეტდაღი**

0:1 მინგაზოვი (45), 1:1 ჩერნატი (90)

*დინამოელი კახა კალაძე მე-60 წუთზე შეცვალა რადჩენკომ*

#### მეორე ტური

**კოპეტდაღი 1:0 ზიმბრუ**

1:0 კულჯაგაზოვი (12)

*ლადო ახალაიამ 50-ე წუთზე შეცვალა ტესტიმიცანუ, ლევან გვაზავას არ უთამაშია*

**სკონტო 1:0 დინამო**

1:0 ბუიტკუსი (20)

*„სკონტოში“ — ალექსანდრე რეხვიაშვილმა, ზურაბ მენთეშაშვილმა და „დინამოში“ — კახა კალაძემ სრულად ითამაშეს*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სკონტო | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| კოპეტდაღი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ზიმბრუ | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| დინამო | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |

#### მესამე ტური

*დღეს: კოპეტდაღი — სკონტო; ზიმბრუ — დინამო*

### C ჯგუფი

#### პირველი ტური

**ტორპედო 3:0 ჟაშტიკი**

1:0 აშვეთია (83), 2:0 შალამბერიძე (88), 3:0 აშვეთია (89)

ჯანაშიამ ვერ გაიტანა პენალტი (19, მეკარე)

**ტორპედო:** ზოიძე, ხვადაგიანი (შალამბერიძე 75), სილაგაძე, ქემოკლიძე, თოდუა, გუჩუა, ასათიანი (ჩხეტიანი 65), ჯანაშია (კვეტენაძე 57), იონანიძე (მახვილაძე 87), აშვეთია (ახალკაცი 90), იმედაძე (პ. ჯინჭარაძე 50)

**ჟაშტიკი:** მამატკასიმოვი, ურმეევი, დოკუჩაევი, სულეიმანოვი, რაჯაბალიევი, მამანოვი, ალთიბაევი, კასიმოვი (ისროილოვი 89), ბოლდიგინი, ტიმოფეევი (კოშევოი 64), იუსუპოვი (მირზალიევი 10)

**გაფრთხილება:** კასიმოვი (59), ურმეევი (70)

**მსაჯი:** ჟუკოვსკი (ყაზახეთი)

1000 მაყურებელი

**შამქირი 1:1 დუსტლიკი**

0:1 ისაკოვი (6), 1:1 აშურმამატოვი (85ს.კ.)

*„შამქირში“ ბადრი კვარაცხელია 87-ე წუთზე შეცვალა სულეიმანოვმა*

#### მეორე ტური

**შამქირი 1:2 ტორპედო**

1:0 კვარაცხელია (7), 1:1 იონანიძე (20), 1:2 აშვეთია (60)

**შამქირი:** გ. მამედოვი (მეხტიევი 61), ქურიმოვი, იუნუსოვი, აზ. მამედოვი, აბიშოვი, მ. ყურბანოვი, მარდანოვი, ი. მამედოვი (აგ. მამედოვი 65), კვარაცხელია, ე. ყურბანოვი (ორუჯოვი 83), რზაევი (ხ. მამედოვი 64)

**ტორპედო:** ზოიძე, იონანიძე (ახალკაცი 89), არჩვაძე (მახვილაძე 71), თოდუა, ქემოკლიძე, შალამბერიძე (ასათიანი 44), აშვეთია (გვირჯიშვილი 75), სილაგაძე, ჩხეტიანი (ხვადაგიანი 66), გუჩუა, პ. ჯინჭარაძე (ჯანაშია 59)

**გაფრთხილება:** არჩვაძე (19), შალამბერიძე (25), თოდუა (26), იუნუსოვი (43), აშვეთია (44), იონანიძე (83)

**მსაჯი:** მეჟიალიუსი (ლიტვა)

3 000 მაყურებელი

**დუსტლიკი 7:0 ჟაშტიკი**

1:0 სოლიევი (5), 2:0 ისაკოვი (19), 3:0 დოკუჩაევი (21ს.კ.), 4:0 სოლიევი (56), 5:0 ახმეროვი (58), 6:0 ისაკოვი (74), 7:0 სოლიევი (78)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| დუსტლიკი | 2 | 1 | 1 | 0 | 8:1 | 4 |
| შამქირი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ჟაშტიკი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:10 | 0 |

#### მესამე ტური

*დღეს: ტორპედო — დუსტლიკი; ჟაშტიკი — შამქირი*

### D ჯგუფი

#### პირველი ტური

**ჟენისი 1:2 არაქსი**

0:1, 0:2 არა აკოფიანი (45, 45), 1:2 ტლეხუგოვი (64)

**რუსეთი (ახალგაზრდული) 4:2 ლევადია**

1:0 მისინი (2), 2:0 ბაზაევი (25), 2:1 რიჩკოვი (53პ), 3:1 როდინი (61), 3:2 ჩელნოკოვი (73), 4:2 როდინი (83პ)

#### მეორე ტური

**ლევადია 1:1 ჟენისი**

0:1 ტლეხუგოვი (63პ), 1:1 ფენინი (82)

**არაქსი 2:3 რუსეთი (ახალგაზრდული)**

1:0 აიკ აკოფიანი (8), 1:1 ბაზაევი (20პ), 2:1 აიკ აკოფიანი (27), 2:2 პავლიუჩენკო (41), 2:3 ტრიფონოვი (43)

აიკ აკოფიანმა ვერ გაიტანა პენალტი (89, მეკარე არაქსი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:4 | 6 |
| არაქსი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 3 |
| ლევადია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:1 | 1 |
| ჟენისი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |

#### მესამე ტური

*დღეს: ჟენისი — რუსეთი (ახ. ნაკრები); ლევადია — არაქსი*

შენიშვნა: რუსეთის ახალგაზრდული ნაკრები ტურნირში უკონკურსოდ მონაწილეობს



ესენგეს თასის მონაწილეებს მოსკოვში მყოფი ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი და მიშელ პლატინი მიესალმნენ



დავით მამარდაშვილი

# თსუ. ვიტ ჯორჯია. თსუ: მამარდაშვილი ისევ სტუდენტია

**თბილისური** კლუბები „ვიტ ჯორჯია“ და თსუ პარტნიორები რომ არიან არახალი ამბავია. არაერთხელ გაუცვლიათ კიდეც მოთამაშეები. არცთუ იშვიათად გადაუბირებია ნიჭიერი სტუდენტი და ბევრჯერაც დაუთმია საკუთარი ფეხბურთელი თსუ-სთვის.

იგივე მეორდება ახლაც. საგაზაფხულო ეტაპისთვის სამზადისში მოთამაშეები გაცვალეს „ვიტ ჯორჯიამ“ და თსუ-მ.

ვეტერინარული კლუბი სტუდენტებს თავისი ფარმ-კლუბის 8 ფეხბურთელით შეეწია. გაზაფხულზე სულ სხვა თსუ-ს ვიხილავთ. თავის მხრივ, სამი სტუდენტი კახა წუწუნავა, რევაზ გოცირიძე და გიორგი ადამია „ვიტ ჯორჯიასთან“ ემზადებიან.

ვეტერინარებმა კიდევ ერთი თსუელი, მეკარე დავით მამარდაშვილიც თავიანთ გუნდში მოაბრუნეს, მაგრამ დაბრუნება მცირეხნიანი გამოვიდა. მამარდაშვილი ისევ თსუ-ს მეკარე იქნება. ასე გადაწყვიტეს ხელმძღვანელებმა.

შეგახსენებთ, რომ მამარდაშვილი ქუთაისის „ტორპედოდან“ გადაბარგდა „ვიტ ჯორჯიაში“. თავიდან სერგო ჭურაძის დუბლიორად ითვლებოდა, მაგრამ მერე კონკურენციაში იმარჯვა და გუნდის პირველი მეკარეც შეიქნა.

ახალი სეზონის დაწყებისას დაოჯახდა და ბუნებრივია ფორმიდან ამოვარდა. ისევ სათადარიგოებში გადაინაცვლა და მალე სულაც თსუ-ში ამოჰყო თავი.

დათო ბედს ნამდვილად არ შეგუებია, მეთორმეტე ეროვნულის პირველ წრეშივე საიმედოდ ათამაშდა, მაგრამ მხარი დაიზიანა და იძულებით დასვენებამ და მკურნალობამ ისევ დაღი დააჩნია.

მეთორმეტე ეროვნულს მამარდაშვილი თსუ-ში ჩაამთავრებს, მაისის ბოლოს კი, მისი და კლუბის ხელმძღვანელთა გადასაწყვეტი იქნება, თუ სად ითამაშებს ტანმაღალი და ათლეტური მეკარე.

**დათო დანელია**

*საქართველოს ნაკრებისა და ესპანეთის „სოსიედადის“ ქართველმა თავდამსხმელმა გიორგი დემეტრაძემ პარასკევს მენისკის ოპერაცია გაიკეთა და მას შემდეგ საწოლშია, მტკივან მუხლს სასტუმრო „არანსასუში“ მკურნალობს.*

*უიღბლოო, ნაღდად ითქმის გიორგი დემეტრაძეზე. ესპანურ „სოსიედადთან“ ჩვენებურმა 20 დეკემბერს კონტრაქტი რომ გააფორმა, პრიმერადივიზიონში საშობაო არდადეგები დაიწყო, ჩემპიონატი 6 იანვარს განახლდა და მეორე დღეს, „სოსიედადის“ პირველივე მატჩში დემეტრაძეს თამაში სულ 20 წუთი დასცალდა. მერე ახალმა მწვრთნელმა, უელსელმა ჯონ ტოშაკმა შეცვალა და როგორც ნამატჩევს მანვე განაცხადა, დემეტრაძის შეცვლა ტაქტიკური მოსაზრებებით ყოფილა განპირობებული, თუმც გიორგიმ სულ სხვა რამ გვითხრა, როცა გუშინ სან სებასტიანში შევეხმიანეთ — კუნთები დამეჭიმაო. ამ თამაშიდან 12 დღეში კი დემეტრაძე გუნდის ერთ-ერთი ვარჯიშისას მძიმედ დაშავდა...*

# გიორგი დემეტრაძე: გავიტანე და გამიტანეს



— ორმხრივი თამაში გვქონდა. ბურთი მივიღე, მცველი მოვატყუე, დავარტყი, გავიტანე და ფეხიც გამიშეშდა. ნაბიჯი ვეღარ გადავდგი, მოედნიდან საკაცით გამიყვანეს. გუნდის ექიმმა მარჯვენა მუხლზე დამხედა და დიაგნოზიც მაშინვე დამისვა — მენისკი. მერე საავადმყოფოში წამიყვანეს და პარასკევს ოპერაციაც გამიკეთეს. ახლა წოლითი რეჟიმი მაქვს, მითხრეს, ერთი კვირა არ გაიაროო. სასტუმროში დამაბრუნეს, აქ უფრო მომაქცევენ ყურადღებას.

**— ორ თვეს ვერ ითამაშებსო, გაზვიადებული ხომ არ არის?**

— მეც ასე მითხრეს, მაგრამ იმედი მაქვს, ადრეც გამოვჯანმრთელდები. გუშინ მნახა ექიმმა და შესაძლოა, ორ კვირაში ვარჯიში დაიწყოო, დამამშვიდა. ჯერჯერობით ყველაფერი გაურთულებლად მიდის.

**— „სარაგოსასთან“ სადებიუტო მატჩისას შეცვლაზე შესული ოც წუთში რატომღა გამოგცვალეს?**

— კუნთები დამეჭიმა. ფეხებმა დატვირთვას ვერ გაუძლო. მე ხომ უთამაშებელი ვიყავი და რამდენიმე დღის ნავარჯიშევს მომიხდა პრიმერადივიზიონში თამაში. მოკლედ, ბედი არ მაქვს, თითქოს კუნთების ტკივილი არ მყოფნიდა და ეს ოპერაცია დამჭირდა.

**— თანაგუნდელებმა მოგინახულეს?**

— რა თქმა უნდა, ბიჭებმაც და მწვრთნელმაც. ტოშაკმა დამამშვიდა, ეგ არაფერი, გამოჯანმრთელების მერე შენი დახმარების იმედი გვაქვსო, მითხრა. არადა, აქეთ დასახმარებელი ვარ. ყურადღებას არც კლუბის ხელმძღვანელები მაკლებენ.

**— შეინარჩუნებს „სოსიედადი“ ადგილს პრიმერადივიზიონში?**

— უნდა შევინარჩუნოთ. ყოველ შემთხვევაში, ყველა იმედიანადაა განწყობილი, ტოშაკიც ამბობს, არ გავვარდებითო, ვნახოთ. 33 წელია, „სოსიედადი“ პრიმერადივიზიონიდან არ დაქვეითებულა და რაღა მაინცდამაინც ჩემი გადმოსვლის შემდეგ გაუწყრება ღმერთი. ისე, გუშინ, „ოსასუნასთან“ სტუმრად მნიშვნელოვანი ქულა ავიღეთ.

**— უკრაინასთან ამხანაგურ მატჩს გამოტოვებ?**

— თუ ვარჯიში ორ კვირაში დავიწყე, მწვრთნელებმა ნაკრებში ეგებ გამომიძახონ კიდეც, თუ არადა მარტში, რუმინელების წინააღმდეგ სათამაშოდ ნაღდად მზად ვიქნები.

**კობა ინასარიძე**

# წიკლაურმა კრილია უქართველოდ დატოვა

**უქართველოდ** დარჩა სამარის „კრილია სოვეტოვი“. გეხსომებათ, გასული ჩემპიონატი რუსეთის უმაღლესლიგელ ამ კლუბში სამმა ქართველმა ჩაამთავრა.

მას მერე კი ბევრი რამ შეიცვალა, კონტრაქტდამთავრებული დავით გვარამაძე სამარელებს დაემშვიდობა და გუნდიდან წამოვიდა. ზურაბ ფოფხაძეს „ფრთებთან“ ერთწლიანი კონტრაქტი კი ჰქონდა დარჩენილი, მაგრამ მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო — კარიერის გაგრძელება ჩინეთში ირჩია და „კრილიას“ მხოლოდ სამარაშივე დაბადებულ-გაზრდილი ზურაბ წიკლაური შემორჩა, თუმც, როგორც გაირკვა დროებით, გუშინწინ კლუბის ხელმძღვანელების გადაწყვეტილებით წიკლაური სამარელებმა ერთი წლით ელისტის „ურალანში“ გაანათხოვრეს ნახევარმცველ ტეტერინთან ერთად.

თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ წიკლაურისნაირი ფორვარდი „კრილიას“ არ ჰყავს და გუნდის ყველაზე სუსტი რგოლიც თავდასხმაა, მაშინ კლუბის მესვეურთა გადაწყვეტილება ცოტა უცნაურიც ჩანს. მით უფრო უცნაურია „კრილიას“ პრეზიდენტის გერმან ტკაჩენკოს სიტყვებიც: „ზურაბ წიკლაური ტალანტია, მაგრამ ჩვენი ამგვარი ნაბიჯი მაინც გამართლებული მგონია, რადგან ბოლო დროს ამ ფეხბურთელმა თავდაჯერება დაკარგა და მის აღსადგენად გარემოს შეცვლა სჭირდება. ამ მხრივ კი „ურალანი“ საუკეთესო ვარიანტია“.

დაიბრუნებს თუ არა წიკლაური თავდაჯერებას ელისტაში ვერაფერს გეტყვით, ერთი რამ კი ფაქტია, „კრილიას“ პრეზიდენტის დელიკატური ახსნა უფრო სხვა რამეზე მიგვანიშნებს — სამარული კლუბი შეძლებით ვერ დაიკვეხნის და „ურალანთან“ საიჯარო გარიგებაც უფრო კლუბის ბიუჯეტის შევსების აუცილებლობითაა განპირობებული.

**ბაატა ძგანტალიანი**

ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი

◆ სუ ჯოკ აკუპუნქტურა
◆ სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
◆ კვებისადა ფიზიკური რეჟიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით

თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109

# საშუასეზონო მიდი-მოდი

| | გასხვისებულები | ახალწვეულები | სეზონთშორისი |
|---|---|---|---|
| **ლოკომოტივი** *გივი ნოდია* | აბრამიძე, გონჩაროვი, პარამონოვი (სკონტო, ლატვია), ლევან სილაგაძე, თოდუა (ტორპედო), რუსია (ცსკა, უკრაინა) | გივი ნოდია (მთავარი მწვრთნელი) | |
| **ტორპედო** *დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი* | ქანტურია (ბათუმი), ჩხაიძე (მერანი), თურმანიძე, შეყრილაძე, ვაჩიბერაძე, მეგრელაძე (?) | დიდავა (მაკაბი, თ-ა, ისრაელი), აშვეთია (ალანია, რუსეთი), ლევან სილაგაძე, თოდუა (ლოკომოტივი), ქემოკლიძე, პ. ჯინჭარაძე (დინამო), ახალკაცი (კოლხეთი), გვირჯიშვილი (ცხინვალი), ბაბუნაშვილი (სამგურალი); რევაზ ძოძუაშვილი (ერთ-ერთი მთავარი მწვრთნელი) | კოლხეთი 0:0, ჟაშტიკ აკ ალტინი (ყირგიზეთი) 3:0, შამქირი (აზერბაიჯანი) 2:1 |
| **დინამო** *რევაზ არველაძე* | ქემოკლიძე, პ. ჯინჭარაძე (ტორპედო), სახვაძე (რიდი, ავსტრია), გადელია (?) | იაგორაშვილი (პროიზერ კიოლნი, გერმანია), ჩივაძე, მიკუჩაძე, მანჯავა, ქარდავა (დინამო 2) | დილა 4:0, გორდა 4:3 |
| **ვიტ ჯორჯია** *თემურ მახარაძე* | დევანოსიძე (ფიურტი, გერმანია), სტურუა (თსუ) | გოგობერიშვილი (ანჟი, რუსეთი), არსოშვილი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), გოცირიძე, წუწუნავა, ადამია (თსუ), ფეიქრიშვილი (ვალენსია) | სიონი 2:1, თსუ 2:0 |
| **კოლხეთი** *სოსო ფილია* | ახალკაცი (ტორპედო), მაღლაკელიძე (მერანი), ფრანგიშვილი (სამგურალი), გ. ჩიტაია, ბ. ჩიტაია (დილა), კედელაშვილი (გორდა), დავითნიძე (ნ.ნოვგოროდი, რუსეთი), ხუჭუა (?, რუსეთი) | ქვაჩახია, მ. ქობულაძე (ბათუმი), ნიჟნიაძე (სიონი), მუმლაძე (იბერია შევარდენი), კ. ვადაჭკორია (თსუ), ვართაგავა (ხობი) | ტორპედო 0:0, ბათუმი 4:1, 0:1 |
| **მერანი** *ოთარ გაბელია* | პოდლესნი (ზარია, უკრაინა) | მაღლაკელიძე (კოლხეთი), ჩხაიძე (ტორპედო), ი. შენგელია (სპარტაკი, მოსკოვი, რუსეთი); ოთარ გაბელია (მთავარი მწვრთნელი) | |
| **ბათუმი** *ასლან ბალაძე* | ბედიაშვილი, სოხაძე (გორდა), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (კოლხეთი), სიდამონიძე (ტავრია, უკრაინა), თარგამაძე (სიონი), ბ. შენგელია, ბარქაია, გაბისონია (ტრანსფერზე არიან), ჩოხელი, სიხარულიძე, ქერაშვილი (?) | ქანტურია (ტორპედო), ი. მახარაძე, მაჭუტაძე, ტულუში (არ თამაშობდნენ) | კოლხეთი 1:4, 1:0 |
| **სიონი** *სპარტაკ არჩვაძე* | ნიჟნიაძე (კოლხეთი), გამცემლიძე, პეტრიაშვილი, დიმიტრიშვილი, მ. გოგოლაძე (?) | თარგამაძე (ბათუმი), ტარიელაშვილი (თორი), მოსულიშვილი, ძაბირაძე (არ თამაშობდნენ) | ვიტ ჯორჯია 1:2 |
| **გორდა** *იასონ ალადაშვილი* | | ბედიაშვილი, სოხაძე (ბათუმი), კედელაშვილი (კოლხეთი), ა. გელაძე, თ. მეტრეველი (არ თამაშობდნენ) | დინამო 3:4, მილანი 3:2 |
| **დილა** *ვაჟა ხაჩირაშვილი* | | ა. ბოკერია, ერაძე (თსუ), რ. ხაჭაპურიძე (ცხინვალი), გ. ჩიტაია, ბ. ჩიტაია (კოლხეთი) | დინამო 0:4 |
| **თსუ** *მერაბ კოჭლაშვილი* | გოცირიძე, წუწუნავა, ადამია (ვიტ ჯორჯია), ა. ბოკერია, ერაძე (დილა), კ. ვადაჭკორია (კოლხეთი), გუგუნავა (?) | სტურუა (ვიტ ჯორჯია), ბერიანიძე, ქილაძე, ელყანიშვილი, დათუნაიშვილი, დ. სულავა, ბეროშვილი, ე. მერებაშვილი, შოშიაშვილი, ჯობავა, ა. ლობჟანიძე (ვიტ ჯორჯია 2) | ვიტ ჯორჯია 2 2:0, ვიტ ჯორჯია 0:2 |
| **იბერია შევარდენი** *ნოდარ აკობია* | ს. გიგიაძე (ტავრია, უკრაინა), ბინაძე, ოდიკაძე, ლ. ხმალაძე (სპარტაკი, სუმი, უკრაინა), მუმლაძე (კოლხეთი), ვარდანიძე, ჩომახიძე, გ. ნოზაძე (?) | ნოდარ აკობია (მთავარი მწვრთნელი) | |

**შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია**

## ინგლისი

### XXIV ტური

**სანდერლენდი 0:0 ბრედფორდი**

სანდერლენდი: სორენსენი, დ. უილიამსი, ტომე, კრადოკი, გრეი, შათჩისონი, რაე, მაკკენი, ს. შვარცი (კილბეინი 73), ნ. ქუინი (დიჩიო 74), ფილიპსი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
ბრედფორდი: გ. უოლში, აზერტონი, მოლენაარი, ობრაიენი, ლოურენსი, უინდასი, მაკკოლი, ჯეკობსი, ჯესი, რ. ბლეიქი (ბიგრი 66), სონდერსი (უორდი 59)
მწვრთნელი: ჯიმ ჯეფერისი
გაფრთხილება: უოლში
47 812 მაყურებელი

**ჩელსი 4:1 იფსვიჩი**

0:1 სტიუარტი (23), 1:1 პოიეტი (45), 2:1 უაიზი (58), 3:1 პოიეტი (65), 4:1 ჰასელბაინკი (73პ)
ჩელსი: კუდიჩინი, ბაბაიარო, დესაი, ტერი, ფერერი (გრონკიაერი 78), უაიზი, პოიეტი, დალა ბონა (იოკანოვიჩი 83), ძოლა, გუდიონსენი (მელხიოტი 46), ჰასელბაინკი
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
იფსვიჩი: რ. რაიტი, უილნისი, ჰრეიდარსონი, მაკგრილი, კროფტი (ჯ. რაიტი 70), ჰოლანდი, კლაპჰამი, მეჯილტონი, მ. სტიუარტი, შოუკროფტი, ა. არმსტრონგი (უეინ ბრაუნი 74)
მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი
გაფრთხილება: დალა ბონა, უაიზი, ფერერი
გაძევება: მაკგრილი (72)
34 948 მაყურებელი

**ქოვენთრი 1:3 ევერტონი**

0:1 ჯემილი (8), 0:2 კადამარტერი (15), 0:3 კემპბელი (31), 1:3 კარსლი (86პ)
ქოვენთრი: კირკლენდი, ედვორთი, ბ. ქუინი, ბრინი, კონჯიჩი (პალმერი 26), ტომპსონი, ოსტიჩი, კარსლი, ტელფერი (ჩიპო 46), ზუნიგა (ალოიზი 59), ჰაჯი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
ევერტონი: მირე, უოტსონი, ბოლი, ანსუორთი, კლილენდი (კლარკი 32), ტალი, ჯემილი, ალექსანდერსონი (ჯევონსი 27), პემბრიჯი, კ. კემპბელი, კადამარტერი
გაფრთხილება: ჯემილი
19 174 მაყურებელი

**დერბი ქაუნთი 1:1 მანჩესტერ სიტი**

1:0 პაუელი (49), 1:1 ჰაუი (51)
დერბი ქაუნთი: პოომი, მავენე, კარბონარი, ვესტი, დელაპი, ჰიგინბოთემი (ლ. მორისი 87), ბარლი, დ. პაუელი, მიური (მარტინი 71), დ. ბარტონი, კრისტი
მწვრთნელი: ჯიმ სმიტი
მანჩესტერ სიტი: ვივერი, ჰაუი, რიჩი (გრენვილი 80), პრიორი, დანი, უიტლი, ვიკენსი, ჰაალანდი, ტიატო (რაიტ-ფილიპსი 52), ჰაკერბი (გოტერი 68), ვანჩოპე
მწვრთნელი: ჯო როილი
გაფრთხილება: მავენი, ვესტი, ტიატო, ვანჩოპე
31 174 მაყურებელი

**ლიდსი 1:3 ნიუკასლი**

1:0 კინი (2), 1:1 სოლანო (43პ), 1:2 აკუნია (44), 1:3 ამეობი (86)
ლიდსი: პ. რობინსონი, მილსი, ვუდგეიტი, რადებე, მატეო, ბოიერი, დაკური, ბაკე, უილკოქსი (ა. სმიტი 79), რობი კინი, ვიდუკა
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
ნიუკასლი: გივენი, უ. ბარტონი, ა. ჰიუზი, გომა, ე. ქუინი, სოლანო, ლი (ბასედასი 73), აკუნია, სპიდი, ამეობი (მარსელინიო 90), გალაჰერი (ლუა ლუა 74)
მწვრთნელი: ბობი რობსონი
გაფრთხილება: რადებე, ვუდგეიტი, სოლანო
40 005 მაყურებელი

**ლესტერი 0:0 არსენალი**

ლესტერი: როისი, როუეტი, მ. ელიოტი, ტაგარტი, იმპი, გ. ჯოუნსი, იზეტი (ჯილკრისტი 68), სევიჯი, დავიდსონი, სტარიჯი (გუნლაუგსონი 81), მანჩინი (აკინბი 73)
მწვრთნელი: პიტერ ტეილორი
არსენალი: სიმენი, დიქსონი, კიოუნი, ადამსი, სილვინიო, ლიუნგბერგი (ედუ 46; ბერკამპი 62), ვიეირა, პარლოუ, პირესი, ანრი, ვილტორდი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: ჯოუნსი, სტარიჯი, სილვინიო, კიოუნი
გაძევება: ჯოუნსი (41)
21 872 მაყურებელი

**ლივერპული 0:0 მიდლსბრო**

ლივერპული: ვესტერველდი, ბაბელი, ენჩოსი, ჰიიპია, კარაგერი, ჯერარდი, ჰამანი, ლიტმანენი (მერფი 75), შმიცერი, ბარმბი (ფაულერი 62), ჰესკი (ოუენი 46)
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
მიდლსბრო: შვარცერი, ეჰიოგუ, ფესტა (კუპერი 23), ვიკერსი, ფლემინგი, კარამბუ (სტამპი 63), გორდონი, ოკონი (მასტო 62), ინსი, ბოკშიჩი, ვილანი
მწვრთნელი: ტერი ვენეიბლზი
გაფრთხილება: ჰამანი, ოკონი, კუპერი
43 042 მაყურებელი

**მანჩესტერი 2:0 ასტონ ვილა**

1:0 გ. ნევილი (57), 2:0 შერინგემი (87)
მანჩესტერი: ბარტეზი, გ. ნევილი, ირვინი, სტამი, ფ. ნევილი, ბატი, როი კინი, გრინინგი (ჩედვიკი 62), გიგზი, შერინგემი, სოლსკიაერი (ენდი კოული 63)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ასტონ ვილა: ჯეიმსი, ა. რაიტი, სტონტონი, ბერი (ჟინოლა 82), ალფაი, ს. სტოუნი, ბოატენგი, ლ. ჰენდრი, დაბლინი, პაბლო ანხელი (ვასელი 64), მერსონი
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
გაფრთხილება: ბათი, ბოატენგი, სტოუნი
67 533 მაყურებელი

**ტოტენჰემი 0:0 საუთჰემპტონი**

ტოტენჰემი: ი. უოქერი, ფრიონდი (ლეონარდსენი 77), ს. კემპბელი, პერი, ანდერტონი, ლ. ფერდინანდი (მაკივენი 21), რებროვი, დოჰერთი, იანგი, კლემენსი, კინგი
მწვრთნელი: ჯორჯ გრემი
საუთჰემპტონი: პ. ჯოუნსი, დოდი, ლუნდეკვამი, რიჩარდსი, ოკლი, დრეიპერი, კ. დევისი, ბიტი, ბრიჯი, ელ ხალეჯი, კაჩლული (პახარსი 83)
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
გაფრთხილება: რიჩარდსი
36 095 მაყურებელი

**ჩარლტონი — ვესტ ჰემი**

ნუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა.



REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერი — ასტონ ვილა 2:0. ალან რაიტი (№3) ტედი შერინგემის დამჭერი ვერ გამოდგა

# მანჩინი და სხვები

**მგონი**, ამგვარი რამ ჯერ არ მომხდარა: გასულ უქმეებზე გათამაშებული პრემიერლიგის ოცდამეოთხე ტურის შემდეგ „უილიამ ჰილის" საბუკმეკერო კანტორამ წარმოუდგენლად დასცა ფსონი „მანჩესტერ იუნაიტედის" ჩემპიონობაზე. ჯერჯერობით ეს ფსონი 100/1-ზე შეადგენს, რომელიც „უილიამ ჰილმა" მას შემდეგ გამოაქვეყნა, რაც კვირა საღამოს „სანდერლენდმა" უვარგისად ითამაშა შინ „ბრედფორდთან" და წაგებასაც გადაურჩა — სტუმართა დინ ვინდასმა 53-ე წუთზე ცარიელ კარში ვერ შეაგდო ბურთი. სანდერლენდის „ლაითზე" მყოფ სვენ გორან ერიკსონს საინტერესო არაფერი უნახავს.

„მანჩესტერმა" კი მორიგი სამი ქულა ჩაიწერა და მეორე ტაიმში გატეხა „ასტონ ვილა". პირველი გოლი სტუმართა საჯარიმოში შევარდნილმა გარი ნევილმა გაიტანა როი კინის მიერ დარტყმული საჯარიმოს შემდეგ. მანჩესტერის საცქერლად „ოლდ ტრეფორდზე" მობრძანებულ ერიკსონს მოედანზე დევიდ ბექემი არ დაუხვდა — კანში გაფრენილიყო ორიოდ დღით. პოლ სქოულზიც ისვენებდა. სერ ალექს ფერგიუსონი აღარც მალავს, რომ თავის ფეხბურთელებს ასვენებს და რაც მთავარია, ენდობა მათ. თოთხმეტი წლის წინათ, მენეჯერად ახლადდანიშნული ფერგი ჩეშირის პაბებში დაეძებდა გალოთებულ ნორმან უაიტსაიდსა და პოლ მაკგრატს, რათა ვარჯიშზე მოეყვანა ისინი, ახლა კი ნდობა იმგვარად ამაღლებია, რომ თავად უშვებს ფეხბურთელებს გულის გადასაყოლებლად.

მეორე გოლი, რა თქმა უნდა, ტედი შერინგემმა შეაგდო შეხვედრის მიწურულს, „ვილას" რიგებში კი პირველად გამოჩნდა არგენტინული „რივერ პლეიტისგან" 9,8 მილიონად ნაყიდი კოლუმბიელი ხუან პაბლო ანხელი. „ის ჯერ ვერ შეეჩვია ჩვენებურ ამინდს — თქვა ბირმინგენელთა მენეჯერმა ჯონ გრეგორიმ — დიდებული ტექნიკა გვიჩვენა, მაგრამ თამაშში ვერ ჩაერთო".

შაბათს კიდევ შედგა დებიუტი. ლესტერის „ფილბერტ სტრიტზე" ახალი მელიები გამოჩნდნენ: ბოლო დროს „ლაციოს" მეორე მწვრთნელად მომუშავე 36 წლის რობერტო მანჩინი ამიერიდან ლესტერელთა შეტევებს წარუძღვება, მეგოლედ კი „დერბისგან" ნაყიდი დინ სტარიჯი მოიაზრება. „ლესტერ" — „არსენალის" მატჩში გოლი არ გასულა, იმის მიუხედავად, რომ მასპინძლები მე-40 წუთიდან ათნი დარჩნენ, რახან მეტიუ ჯონსი ორი ყვითლით გავიდა მოედნიდან. ეჰ, „არსენალმა" 6:1 მოუგო „ლესტერს" ერთი თვის წინათ, მაგრამ ერთი თვის წინათ მეთოფეები ჩემპიონობასაც აპირებდნენ.

კვლავ არ წააგო ტერი ვენეიბლზის „მიდლსბრომ" და კვლავ არ გაუშვა გოლი, ამჯერად „ენფილდზე". „ბოროს" ბოლო 13 შეხვედრიდან 12 წაეგო ამ სტადიონზე, მაგრამ ვენეიბლზისგან დამუნათებულ გუნდს უკვე მერვე თამაშია არ წაუგია და არც ამჯერად შერცხვა. მეორე ტაიმში შემოსულმა მაიკლ ოუენმა კი ორი ნაღდი შანსი გაუშვა ხელიდან.

ამასობაში „ნიუკასლმა" ლამაზად სძლია „ლიდსს" ლიდსშივე: რობი კინის გოლით დაწინაურებული მასპინძლები სულ ერთი წუთით იყვნენ წინ — ნორბერტო სოლანომ მალევე გაათანაბრა პენალტით, კლარენს აკუნიამ კი მოხდენილი საბრძოლო გოლით დააწინაურა სტუმრები. მასპინძელთა უთავბოლო შეტევები მაშინღა შენელდა, როცა შოლა ამეობიმ წერტილი დასვა.

კიდევ ერთი 0:0 „უაით ჰარტ ლეინზე" იყო, სადაც „ტოტენჰემმა" ვერაფერი გააწყო „საუთჰემპტონთან". ამ თამაშიდან საინტერესო ის შეიძლება იყოს, რომ სამხრეთელთა მწვრთნელი გლენ ჰოდლი მალე ეგებ „ტოტენჰემს" ჩაუდგეს სათავეში, რომლის ახალ პატრონებსაც ჯორჯ გრემი თვალში არ მოსდით.

ქინქლაძის გარეშე დარჩენილმა „დერბიმ" და „მანჩესტერ სიტიმ" კი თითო საუცხოო გოლი გაუტანეს ერთმანეთს და ცხრილის ბოლოში შეცვალეს რაღაც, რახან „ქოვენთრიმ" შინ წააგო „ევერტონთან", რომელსაც 26 დეკემბრის შემდეგ გოლი არ ჰქონდა გატანილი.

„იფსვიჩ თაუნი" ლონდონში ხვდებოდა „ჩელსის" და თითქოს მეშვიდე გასვლით გამარჯვებაზეც ოცნებობდა, რახან მისმა მთავარმეგოლემ მარკუს სტიუარტმა ზედიზედ მეშვიდე მატჩში გაიტანა თავისი გოლი, რითაც 17-ე სალიგო ბურთი ჩაიწერა. თამაში კი, რა თქმა უნდა, ამ გოლით არ დასრულებულა. ასეთი ფრთაგაშლილი „ჩელსიც" კარგა ხანია ალარავის უნახავს. სტუმართა კარის ძელს მოხვედრილი ბურთების თვლას აღარ მოვყვებით, საბოლოოდ კი კლაუდიო რანიერის გუნდმა 4:1 მოიგო.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | მანჩესტერი | 24 | 17 | 5 | 2 | 56:16 | 40 | 56 | 12 | 10 | 1 | 1 | 33:6 | 27 | 31 | 12 | 7 | 4 | 1 | 23:10 | 13 | 25 |
| 2 | სანდერლენდი | 24 | 12 | 7 | 5 | 31:22 | 9 | 43 | 12 | 8 | 4 | 0 | 16:5 | 11 | 28 | 12 | 4 | 3 | 5 | 15:17 | -2 | 15 |
| 3 | არსენალი | 24 | 11 | 8 | 5 | 39:23 | 16 | 41 | 12 | 9 | 3 | 0 | 31:8 | 23 | 30 | 12 | 2 | 5 | 5 | 8:15 | -7 | 11 |
| 4 | ლივერპული | 23 | 12 | 4 | 7 | 42:26 | 16 | 40 | 12 | 9 | 2 | 1 | 25:8 | 17 | 29 | 11 | 3 | 2 | 6 | 17:18 | -1 | 11 |
| 5 | იფსვიჩი | 24 | 12 | 4 | 8 | 36:30 | 6 | 40 | 12 | 6 | 4 | 2 | 19:10 | 9 | 22 | 12 | 6 | 0 | 6 | 17:20 | -3 | 18 |
| 6 | ნიუკასლი | 24 | 11 | 4 | 9 | 31:32 | -1 | 37 | 12 | 7 | 2 | 3 | 18:12 | 6 | 23 | 12 | 4 | 2 | 6 | 13:20 | -7 | 14 |
| 7 | ლესტერი | 23 | 10 | 6 | 7 | 24:25 | -1 | 36 | 12 | 6 | 4 | 2 | 16:12 | 4 | 22 | 11 | 4 | 2 | 5 | 8:13 | -5 | 14 |
| 8 | ჩელსი | 23 | 9 | 7 | 7 | 43:29 | 14 | 34 | 12 | 9 | 2 | 1 | 33:11 | 22 | 29 | 11 | 0 | 5 | 6 | 10:18 | -8 | 5 |
| 9 | ჩარლტონი | 23 | 9 | 5 | 9 | 31:36 | -5 | 32 | 11 | 7 | 3 | 1 | 18:7 | 11 | 22 | 12 | 2 | 2 | 8 | 13:29 | -16 | 8 |
| 10 | ტოტენჰემი | 24 | 8 | 7 | 9 | 30:34 | -4 | 31 | 12 | 8 | 4 | 0 | 22:9 | 13 | 28 | 12 | 0 | 3 | 9 | 8:25 | -17 | 3 |
| 11 | ვესტ ჰემი | 22 | 7 | 8 | 7 | 31:26 | 5 | 29 | 11 | 4 | 4 | 3 | 17:11 | 6 | 16 | 11 | 3 | 4 | 4 | 14:15 | -1 | 13 |
| 12 | ლიდსი | 22 | 8 | 5 | 9 | 32:31 | 1 | 29 | 12 | 6 | 1 | 5 | 21:18 | 3 | 19 | 10 | 2 | 4 | 4 | 11:13 | -2 | 10 |
| 13 | ასტონ ვილა | 22 | 7 | 8 | 7 | 23:24 | -1 | 29 | 10 | 4 | 4 | 2 | 14:10 | 4 | 16 | 12 | 3 | 4 | 5 | 9:14 | -5 | 13 |
| 14 | საუთჰემპტონი | 24 | 7 | 8 | 9 | 28:34 | -6 | 29 | 12 | 6 | 2 | 4 | 18:15 | 3 | 20 | 12 | 1 | 6 | 5 | 10:19 | -9 | 9 |
| 15 | ევერტონი | 23 | 7 | 5 | 11 | 24:34 | -10 | 26 | 11 | 3 | 4 | 4 | 13:14 | -1 | 13 | 12 | 4 | 1 | 7 | 11:20 | -9 | 13 |
| 16 | მიდლსბრო | 24 | 5 | 9 | 10 | 27:30 | -3 | 24 | 12 | 3 | 4 | 5 | 14:16 | -2 | 13 | 12 | 2 | 5 | 5 | 13:14 | -1 | 11 |
| 17 | დერბი ქაუნთი | 24 | 5 | 9 | 10 | 25:41 | -16 | 24 | 12 | 4 | 6 | 2 | 15:16 | -1 | 18 | 12 | 1 | 3 | 8 | 10:25 | -15 | 6 |
| 18 | სიტი | 24 | 5 | 6 | 13 | 28:43 | -15 | 21 | 12 | 3 | 2 | 7 | 16:19 | -3 | 11 | 12 | 2 | 4 | 6 | 12:24 | -12 | 10 |
| 19 | ქოვენთრი | 24 | 5 | 6 | 13 | 23:43 | -20 | 21 | 12 | 2 | 4 | 6 | 9:18 | -9 | 10 | 12 | 3 | 2 | 7 | 14:25 | -11 | 11 |
| 20 | ბრედფორდი | 23 | 3 | 7 | 13 | 16:41 | -25 | 16 | 11 | 2 | 4 | 5 | 10:17 | -7 | 10 | 12 | 1 | 3 | 8 | 6:24 | -18 | 6 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| მ. სტიუარტი (იფსვიჩი) | 15 |
| ანრი (არსენალი) | 13 |
| ჰასელბაინკი (ჩელსი) | 13 |
| შერინგემი (მანჩესტერი) | 13 |
| ვიდუკა (ლიდსი) | 12 |

**XXV ტური**

30 იანვარი
არსენალი — ბრედფორდი
ჩარლტონი — დერბი ქაუნთი
ლიდსი — ქოვენთრი
31 იანვარი
სანდერლენდი — მანჩესტერი
ასტონ ვილა — იფსვიჩი
ჩელსი — ნიუკასლი
ევერტონი — მიდლსბრო
სიტი — ლივერპული
საუთჰემპტონი — ლესტერი
ვესტ ჰემი — ტოტენჰემი

## პირველი დივიზიონი

### XXIX ტური

**უოტფორდი 1:3 ფულემი**

0:1, 0:2 ბოა მორტე (60, 68), 1:2 ჰელგუსონი (79), 1:3 საჰა (82)

**ბარნლი 2:1 ბარნსლი**

1:0 ჯონსონი (23), 2:0 პეიტონი (61), 2:1 ჰოუარდი (77)

**კრ. პალასი 2:2 ჯილინგემი**

0:1, 0:2 სონდერსი (43, 59), 1:2 ფრიდმანი (82), 2:2 ფორსელი (84)

**ნორვიჩი 1:0 ქუინზ პარკი**

1:0 ები (33)

**პორტსმუთი 2:1 უიმბლდონი**

1:0 ბრედბერი (16პ), 1:1 იუელი (20), 2:1 ქუოში (28)

**შეფილდ უენსდი 0:3 ბოლტონი**

0:1 გარდნერი (19), 0:2 რიკეტსი (40), 0:3 მარშალი (88)

**სტოკპორტი 1:1 გრიმსბი**

1:0 ვისი (9), 1:1 დონოვანი (90)

**ვესტ ბრომვიჩი 2:1 შეფილდ იუნ.**

1:0 ფოქსი (62), 1:1 ბუმსოლიდო (75), 2:1 ჰიუზი (84)

**ქრიუ — ნოტინგემი**
**პრესტონი — ვულვერჰემპტონი**
**ტრანმერი — ჰადერსფილდი**
**ბირმინგემი — ბლექბერნი**

გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფულემი | 27 | 21 | 4 | 2 | 65:20 | 67 |
| ბოლტონი | 29 | 18 | 6 | 5 | 49:23 | 60 |
| ბლექბერნი | 28 | 16 | 7 | 5 | 45:28 | 55 |
| ვესტ ბრომვიჩი | 29 | 16 | 5 | 8 | 39:32 | 53 |
| უოტფორდი | 27 | 15 | 4 | 8 | 48:36 | 49 |
| ბირმინგემი | 26 | 14 | 5 | 7 | 37:27 | 47 |
| ნოტინგემი | 28 | 14 | 4 | 10 | 37:32 | 46 |
| შეფილდ იუნ. | 29 | 12 | 7 | 10 | 31:29 | 43 |
| ბარნლი | 27 | 12 | 6 | 9 | 28:30 | 42 |
| პრესტონი | 28 | 12 | 5 | 11 | 35:39 | 41 |
| უიმბლდონი | 28 | 10 | 8 | 10 | 42:33 | 38 |
| პორტსმუთი | 28 | 7 | 13 | 8 | 29:32 | 34 |
| ვულვზი | 28 | 8 | 9 | 11 | 29:32 | 33 |
| ჯილინგემი | 28 | 7 | 11 | 10 | 37:39 | 32 |
| კრ. პალასი | 28 | 8 | 8 | 12 | 41:44 | 32 |
| ნორვიჩი | 28 | 8 | 8 | 12 | 24:34 | 32 |
| ბარნსლი | 29 | 8 | 6 | 15 | 30:41 | 30 |
| სტოკპორტი | 29 | 6 | 11 | 12 | 38:48 | 29 |
| გრიმსბი | 27 | 7 | 6 | 14 | 25:39 | 27 |
| ჰადერსფილდი | 27 | 6 | 8 | 13 | 27:34 | 26 |
| ტრანმერი | 27 | 7 | 5 | 15 | 28:45 | 26 |
| უენსდი | 29 | 7 | 5 | 17 | 30:51 | 26 |
| ქუინზ პარკი | 27 | 4 | 13 | 10 | 29:40 | 25 |
| ქრიუ | 27 | 7 | 4 | 16 | 22:37 | 25 |

## მეორე დივიზიონი

28-ე ტური: ბრისტოლი — ნორთჰემპტონი 2:0; ნოთსი — როტერჰემი 4:1; რედინგი — როვერსი 1:0; უოლსოლი — სუონსი 5:1; უიგანი — ოლდემი 3:1. ბორნმუთი — ოქსფორდი; ბრენტფორდი — სუინდონი; ბერი — სტოკი; კოლჩესტერი — მილუოლი; პიტერბრო — ლუთონი; პორტველი — რექსჰემი; უიკომბი — კემბრიჯი გადაიდო

## მესამე დივიზიონი

28-ე ტური: კარდიფი — პლიმუთი 4:1; დარლინგტონი — ჩესტერფილდი 0:3; ჰარტლპული — კარლაილი 2:2; ლეიტონი — საუთენდი 0:2; შრიუსბერი — ჩელტენემი 1:0; ტორკი — ექსეტერი 2:1; იორკი — მაკლსფილდი 1:3. ბრაიტონი — ბარნეტი; ჰალიფაქსი — ბლექპული; ჰალი — როჩდეილი; მენსფილდი — კიდერმინსტერი; სკანთორპი — ლინკოლნი გადაიდო

## იტალია

### XV ტური

### მილანი 3:2 რომა

1:0 ლეონარდო (3), 2:0 შევჩენკო (22), 2:1 ტოტი (41), 3:1 შევჩენკო (44), 3:2 ტოტი (87პ)
მილანი: აბიატი, როკე ჟუნიორი, კოსტაკურტა, მალდინი, ამბროზინი, სერჟინიო, კოკო, ალბერტინი (ჯუნტი 75), ლეონარდო (ბობანი 69), შევჩენკო, ხოსე მარი (ბა 89)
მწვრთნელი: ალბერტოძაკერონი
რომა: ლუპატელი, ძაგო, სამუელი, ალდაირი, კაფუ, ტომაზი, კ. ძანეტი, კანდელა, ტოტი, ბატისტუტა, დელვეკიო (მონტელა 62)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: ალბერტინი, კაფუ, ძაგო, როკე ჟუნიორი, ჯუნტი
61 688 მაყურებელი

### ლაციო 2:0 ინტერი

1:0 კრესპო (4), 2:0 სალასი (75პ)
ლაციო: პერუცი, პანკარო, ნესტა, ფერნანდუ კოუტუ, ფავალი, პობორსკი, დ. ბაჯო, ნედველი (სიმეონე 57), ხ. ვერონი (ბარონიო 76), კრესპო, სალასი
მწვრთნელი: დინო ძოფი
ინტერი: ფრეი, სიმიჩი, ბლანი, კორდობა, ბროკი, იუგოვიჩი (პაჩეკო 82), დი ბიაჯო, ხ. ძანეტი, ზეედორფი, ჰაქან შუქური, რეკობა
მწვრთნელი: მარკო ტარდელი
გაფრთხილება: სიმეონე
70 000 მაყურებელი

### პერუჯა 0:1 იუვენტუსი

0:1 ინძაგი (59)
პერუჯა: მაცანტინი, რივალტა (ტარანა 87), მატერაცი, დი ლორეტო, ზე მარია, ბლაზი, პარიზი, პიერი, ანი, ვრიზასი, საუდატი
მწვრთნელი: სერსე კოზმი
იუვენტუსი: ვან დერ სარი, ბირინდელი (პარამატი 64), იულიანო, მონტერო, პესოტო, ძამბროტა, ტაკინარდი, დავიდსი, ზიდანი, ფ. ინძაგი (კოვაჩევიჩი 86), ტრეზეგე (კონტე 75)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: მონტერო, ბლაზი, ძამბროტა, ტარანა
20 000 მაყურებელი

### ბარი 2:1 რეჯინა

0:1 კოცა (27), 1:1 ინოჩენტი (36), 2:1 ანდერსონი (80პ)
ბარი: ჟილე, ნექროიზი, მაცარელი, ინოჩენტი, პეროტა, დ. ანდერსონი, მარკიჩი (დელ გროსო 64), მ. მარკოლინი, ოსმანოვსკი, კასანო (მასინგა 69), ენინაია
მწვრთნელი: ეუჯენიო ფასკეტი
რეჯინა: ტაიბი, მეცანო (ბერნინი 46), სტოვინი, ოზადოგანი, მორაბიტო, კოცა, რ. ვერონი (მოცარტი 62), ვარგასი, ვიკარი (ჟირანეკი 46), დიონიჯი, მარაზინა
მწვრთნელი: ფრანკო კოლომბა
გაფრთხილება: მეცანო, ვიკარი, ვარგასი, მოცარტი, ენინაია
10 799 მაყურებელი

### პარმა 1:1 ლეჩე

1:0 მილოშევიჩი (53), 1:1 ლუკარელი (90)
პარმა: ბუფონი, სარტორი, ტურამი, ფ. კანავარო (პ. კანავარო 84), ჟუნიორი, ფუზერი (აპია 65), ალმეიდა (ბოგოსიანი 79), ლამუში, სერჟიუ კონსეისაუ, დი ვაიო, მილოშევიჩი
მწვრთნელი: არიგო საკი
ლეჩე: კიმენტი, ჟუარესი, ვიალი, სავინო (კოლონელო 74), ბალერი (პიანჯერელი 71), ჯორჯეტი, კონტიკიო, ინგესონი, ტონეტო, კ. ლუკარელი, ოსორიო (ვუგრინეცი 57)
მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი
გაფრთხილება: ალმეიდა, კონტიკიო
16 000 მაყურებელი

### ბოლონია 1:0 ვერონა

1:0 ლოკატელი (5)
ბოლონია: პალიუკა, ფალკონე, პადალინო, კასტელინი, ნერვო (ბრიოსკი 90), ოლივე (პიაჩენტინი 86), ლიმა, ვოლპე, ლოკატელი, ხულიო კრუზი, ოლივეირა (ბინოტო 74)
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
ვერონა: ფერონი, ოდო, ლაურსენი, აპოლონი (გონელა 35), ცვიტანოვიჩი (კამორანეზი 46), კასეტი, იტალიანო, კოლუჩი, მელისი, ადაილტონი (ჯილარდინო 61), ბონაცოლი
მწვრთნელი: ატილიო პეროტი
გაფრთხილება: კოლუჩი, გონელა, იტალიანო, ოლივე
23 000 მაყურებელი

### ნაპოლი 0:1 უდინეზე

0:1 სოსა (68)
ნაპოლი: მანჩინი, ბალდინი, კიროგა, ტროიზე, საბერი, პეკია (მორიერო 71), ხუსაინი, ჯაკომო ტედესკო (იანკულოვსკი 58), ბაჩინი, ედმუნდო (სესა 41), ნ. ამორუზო
მწვრთნელი: ემილიანო მონდონიკო
უდინეზე: ტურჩი, ძამბონი, სოტილი, გარგო, ალბერტო, ფიორე (ელგერა 85), ჯანიკედა, იორგენსენი (ბისგაარდი 90), დიასი, სოსა, მარჯოტა (გაარდე 77)
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
გაფრთხილება: გარგო, ჯანიკედა, მარჯოტა
50 000 მაყურებელი

### ვიჩენცა 1:1 ბრეშა

0:1 უბნერი (3), 1:1 ძაული (48)
ვიჩენცა: სტერკელე, კომოტო, მარკო აურელიო, დიკარა, მაურიციო როსი (სომეზე 46), ლონგო (პ. ძანეტი 56), ფირმანი (კარდონე 46), ბეგეტო, ძაული, ტონი, კ. ესპოზიტო
მწვრთნელი: ედუარდო რეია
ბრეშა: კასტელაცი, პეტრუცი, კალორი, ბონერა, დიანა (მარინო 64), ე. ფილიპინი, ბიზოლი, ა. ფილიპინი, ბაკინი, თურქილმაზი (კოზმინსკი 65), უბნერი
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: ბიზოლი, ბეგეტო, კოზმინსკი, ბაკინი, მარინო, ტონი
გაძევება: დიკარა (68)
16 000 მაყურებელი

### ატალანტა 0:0 ფიორენტინა

ატალანტა: პელიცოლი, სივილია, პაგანინი, კარერა, ზაური, კ. ძენონი, დ. ძენონი (ბელინი 88), დონატი (ბერეტა 66), დონი, როსინი, განცი (პინარდი 73)
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
ფიორენტინა: ტოლდო, ტორიჩელი, რეპკა, პიერინი, ვანოლი (ტაროცი 60), ბრეშანი (კ. ამორუზო 36), კოისი, დი ლივიო, რუი კოშტა, კიეზა, ნუნუ გომეში (ლეანდრო 90)
მწვრთნელი: ფატიჰ თერიმი
გაფრთხილება: ბრეშანი, ტორიჩელი, დონი
24 000 მაყურებელი

# მეორე მარცხი მილანში

**ესეც** მეთხუთმეტე ტური და „რომას“ მინუს „იუვენტუსი“ მხოლოდ სამ ქულასღა უდრის. ყველაფერი კი იმიტომ, რომ „რომა“ „მილანს“ ეწვია და 2:3 წააგო, ხოლო ტურინელებმა პერუჯაში იძალეს 1:0.

ერთი სიტყვით, უკრაინელმა ანდრეი შევჩენკომ ასე თუ გააგრძელა, შეიძლება ევროპის 2001 წლის საუკეთესო ფეხბურთელი გახდეს. თანაც, წლეულს არც ევროპის ჩემპიონატია და არც მსოფლიოსი, ნაკრების წარუმატებლობამ ხელი რომ შეუშალოს. იქნებ იანვარში ამაზე საუბარი ძალიან ნაადრევიც ჩანდეს. მაგრამ რას გაუგებთ შევჩენკოს — სერია A-ში პირველსავე სეზონში ბომბარდირი რომ გახდებოდა, ვინმე ელოდა?

შევჩენკოზე კი სიტყვა იმიტომ ჩამოვარდა, რომ მან კვირა საღამოს „რომას“ კარში ორი გოლი გაიტანა — სამიდან ორი. ის, მესამე, ქრონოლოგიურად კი პირველი, ლიდერ სტუმარს ბრაზილიელმა ლეონარდომ შეუგდო. თანაც თამაშის დაწყებისთანავე, მესამე წუთზე. მან ეს საჯარიმო დარტყმით შეძლო.

მეორე გოლი ტაიმის შუაში, 22-ე წუთზე გავიდა. შევჩენკოს ასისტენტობა დემეტრიო ალბერტინიმ გასწია, როდესაც მოედნის ცენტრიდან შენიშნა უკრაინელის ხელსაყრელი პოზიცია და მეკარესთან პირისპირ შეიყვანა. შევჩენკომ გოლკიპერი ახლოს არ მიუშვა, განზე გაიწია და ბურთი დაუცველ კარში შეაგდო.

აღსანიშნავია, რომ რომაელთა დაცვაში ბზარი შეინიშნებოდა, რის გამოც მილანელებმა მათ საჯარიმოში ერთი ორჯერ კიდევ შეძლეს სახიფათოდ შევარდნა, მაგრამ ტაიმის ბოლო მონაკვეთში მოვლენებმა ნელ-ნელა საპირისპირო კართან გადაინაცვლა. ერთ ეპიზოდში გაბრიელ ბატისტუტამ ერთობ უცნაურად ააცილა თავი მოხერხებულად ჩაწოდებულ ბურთს, მაგრამ მე-40 წუთზე ანგარიში მაინც შეიცვალა: ფრანჩესკო ტოტიმ საჯარიმოს კარგა გარედან დაარტყა, ჩასაჭრელად გადამხტარ მალდინის ბურთი იდაყვზე მოხვდა, ტრაექტორია მცირედ იცვალა და მეკარისგან მარცხნივ, ძელთან ახლოს ბადეში შევარდა.

შესვენებამდე ცოტა ხნით ადრე გოლის გატანა, მოგეხსენებათ, ფსიქოლოგიურად ძალიან მნიშვნელოვანია, ხოლო ორის გატანა შეიძლება გადამწყვეტიც აღმოჩნდეს... მართლაც, ამ წუთებში „რომა“ აღმავლობას განიცდიდა და ვინძლო, მოედნის კიდესთან მიჭრილი ფაბიო კაპელო სწორედ მეორე გოლისკენაც მოუწოდებდა თავის შეგირდებს, მაგრამ, სად იყო და სად არა, სერჟინიომ კონტრშეტევა წამოიწყო, საჯარიმოში დაბალი პასი ჩააწოდა და იქ შევჩენკომ ბურთი ხაზს მიღმა შეაგდო.

დაიწყო მეორე ტაიმი და 12 წუთის შემდეგ უკრაინელმა კინაღამ მესამე გოლი შეაგდო, ხოლო ცოტა ხანში, 100 მეტრის გადაღმა ბატისტუტას ჯარიმის მოსაგერიებლად კრისტიან აბიატის გვარიანი ნახტომი დასჭირდა.

თამაშის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე კი როკე ჟუნიორმა ბატისტუტა საკუთარ საჯარიმოში წააქცია. დაინიშნა პენალტი, რომელიც ტოტიმ გაიტანა.

ამრიგად, „რომა“ დამარცხდა, სეზონში მეორედ და რაც ყველაზე საინტერესოა, ორივე მარცხი ერთსა და იმავე სტადიონზე, „სან სიროზე“ შეემთხვა: ჯერ „ინტერისგან“, მერე „მილანისგან“.

„იუვენტუსმა“ კი, როგორც მოგახსენეთ, პერუჯაში მოიგო. ხომ გახსოვთ, ბოლოს როდის ითამაშეს ტურინელებმა პერუჯაში? დიახ, იმ თქეშიან საღამოს, როდესაც 0:1 წააგეს და წყალდიდობის გამო კარგა ხნით შეწყვეტილი თამაში ძლივს დაამთავრეს. ეს შარშან მაისში, წინა ჩემპიონატის ბოლო ტურში მოხდა. იმ დღეს „ბებერმა ქალბატონმა“ სკუდეტო დაკარგა. მას მერე „ბებერ ქალბატონს“ სტუმრად თამაში აღარ წაუგია.

ამჯერად ყველაფერი სხვანაირად წარიმართა. კარლო ანჩელოტის ფეხბურთელები ინიციატივას მთელი შეხვედრის მანძილზე ფლობდნენ. 34-ე წუთზე ზინედინ ზიდანმა საჯარიმოდან სულ ოდნავ ააცილა მიზანს, შემდეგ პერუჯელმა მეკარემ ანდრეა მაცანტინიმ იყოჩაღა და დავიდ ტრეზეგეს არ გაატანინა, ხოლო მეორე ტაიმის მე-14 წუთზე ედგარ დავიდსმა ნახევარდაცვიდან წამოიწყო იერიში, ბურთი ფილიპო ინძაგის მიაწოდა და მან გოლი გაიტანა.

ბერგამოში „ატალანტამ“ და „ფიორენტინამ“ 0:0 ითამაშეს. ამით ის მოხდა, რომ „ატალანტამ“ ზედიზედ სამი მარცხის შემდეგ ფრედ ითამაშა, თუმცა უკვე მეოთხე შეხვედრაა, გოლი არ გაუტანია. „ფიორენტინამ“ კი ზედიზედ მეშვიდე თამაში არ წააგო, სეზონში მეშვიდე ფრე ითამაშა და ასე დაასრულა კვირა, რომელშიც მისმა თურქმა მწვრთნელმა ფატიჰ თერიმმა განაცხადა, ჩემპიონატის დასრულების შემდეგ გუნდიდან წავალო.

„პარმამ“ „ლეჩეს“ უმასპინძლა — 1:1. ესე იგი, არიგო საკიმ ძველ-ახალ გუნდში მეორე შეხვედრაში მეორე ფრე ითამაშა. ახლა პარმელებს უკვე ხუთი თამაშია, არ მოუგიათ და სწორედ „ლეჩესთან“ ერთად 20-20 ქულით ცხრილის შუაში არიან.

ძველ-ახალ გუნდში, „ლაციოში“ მეორე თამაშში მეორე გამარჯვება იზეიმა დინო ძოფმა. რომის „სტადიო ოლიმპიკოზე“ 55 ათასი ქომაგის წინაშე ანგარიში ერნან კრესპომ გახსნა. ეს მე-4 წუთზე მოხდა. ეს კრესპოს მე-7 გოლი გახლდათ სეზონში. საქმე 75-ე წუთზე მარსელო სალასმა მოათავა.

და მეტოქემ? მეტოქემ ანუ „ინტერმა“ მე-5 მარცხი იწვნია და დღეს მე-12 ადგილზეა.

**ბაჩუნა ძიძიგური**




მილანი — რომა 3:2. მასპინძელთა ბრაზილიელი ლეონარდოს ამ ჯარიმას ლიდერის კარში პირველი გოლი მოჰყვა

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 რომა | 15 | 10 | 3 | 2 | 28:12 | 16 | 33 | 7 | 5 | 2 | 0 | 11:4 | 7 | 17 | 8 | 5 | 1 | 2 | 17:8 | 9 | 16 |
| 2 იუვენტუსი | 15 | 8 | 6 | 1 | 24:13 | 11 | 30 | 7 | 4 | 2 | 1 | 11:7 | 4 | 14 | 8 | 4 | 4 | 0 | 13:6 | 7 | 16 |
| 3 ლაციო | 15 | 8 | 3 | 4 | 26:17 | 9 | 27 | 8 | 5 | 1 | 2 | 13:5 | 8 | 16 | 7 | 3 | 2 | 2 | 13:12 | 1 | 11 |
| 4 ფიორენტინა | 15 | 6 | 7 | 2 | 29:19 | 10 | 25 | 7 | 5 | 1 | 1 | 18:9 | 9 | 16 | 8 | 1 | 6 | 1 | 11:10 | 1 | 9 |
| 5 ატალანტა | 15 | 6 | 5 | 4 | 16:12 | 4 | 23 | 8 | 3 | 3 | 2 | 8:5 | 3 | 12 | 7 | 3 | 2 | 2 | 8:7 | 1 | 11 |
| 6 მილანი | 15 | 6 | 5 | 4 | 25:23 | 2 | 23 | 8 | 4 | 3 | 1 | 18:12 | 6 | 15 | 7 | 2 | 2 | 3 | 7:11 | -4 | 8 |
| 7 ბოლონია | 15 | 7 | 2 | 6 | 19:17 | 2 | 23 | 8 | 5 | 2 | 1 | 10:5 | 5 | 17 | 7 | 2 | 0 | 5 | 9:12 | -3 | 6 |
| 8 უდინეზე | 15 | 7 | 1 | 7 | 26:22 | 4 | 22 | 8 | 5 | 0 | 3 | 19:11 | 8 | 15 | 7 | 2 | 1 | 4 | 7:11 | -4 | 7 |
| 9 პარმა | 15 | 5 | 5 | 5 | 17:16 | 1 | 20 | 8 | 4 | 2 | 2 | 11:7 | 4 | 14 | 7 | 1 | 3 | 3 | 6:9 | -3 | 6 |
| 10 ლეჩე | 15 | 5 | 5 | 5 | 19:24 | -5 | 20 | 7 | 3 | 2 | 2 | 12:13 | -1 | 11 | 8 | 2 | 3 | 3 | 7:11 | -4 | 9 |
| 11 პერუჯა | 15 | 5 | 4 | 6 | 20:20 | 0 | 19 | 8 | 3 | 3 | 2 | 13:9 | 4 | 12 | 7 | 2 | 1 | 4 | 7:11 | -4 | 7 |
| 12 ინტერი | 15 | 4 | 6 | 5 | 16:19 | -3 | 18 | 7 | 3 | 3 | 1 | 10:6 | 4 | 12 | 8 | 1 | 3 | 4 | 6:13 | -7 | 6 |
| 13 ვიჩენცა | 15 | 4 | 4 | 7 | 16:23 | -7 | 16 | 7 | 2 | 3 | 2 | 7:9 | -2 | 9 | 8 | 2 | 1 | 5 | 9:14 | -5 | 7 |
| 14 ვერონა | 15 | 3 | 6 | 6 | 18:26 | -8 | 15 | 7 | 3 | 3 | 1 | 11:10 | 1 | 12 | 8 | 0 | 3 | 5 | 7:16 | -9 | 3 |
| 15 ნაპოლი | 15 | 3 | 5 | 7 | 19:24 | -5 | 14 | 8 | 2 | 2 | 4 | 12:14 | -2 | 8 | 7 | 1 | 3 | 3 | 7:10 | -3 | 6 |
| 16 ბრეშა | 15 | 2 | 7 | 6 | 15:20 | -5 | 13 | 7 | 1 | 5 | 1 | 7:8 | -1 | 8 | 8 | 1 | 2 | 5 | 8:12 | -4 | 5 |
| 17 რეჯინა | 15 | 4 | 1 | 10 | 12:27 | -15 | 13 | 7 | 3 | 1 | 3 | 5:8 | -3 | 10 | 8 | 1 | 0 | 7 | 7:19 | -12 | 3 |
| 18 ბარი | 15 | 3 | 3 | 9 | 13:24 | -11 | 12 | 8 | 3 | 1 | 4 | 9:11 | -2 | 10 | 7 | 0 | 2 | 5 | 4:13 | -9 | 2 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| შევჩენკო (მილანი) | 13 |
| ბატისტუტა (რომა) | 10 |
| ტოტი (რომა) | 9 |
| სოსა (უდინეზე) | 8 |
| კიეზა (ფიორენტინა) | 8 |
| ლუკარელი (ლეჩე) | 8 |

### XVI ტური

27 იანვარი
ლეჩე — ბოლონია
რეჯინა — პერუჯა
28 იანვარი
ბრეშა — მილანი
ფიორენტინა — ლაციო
ინტერი — ბარი
იუვენტუსი — ვიჩენცა
რომა — ნაპოლი
უდინეზე — ატალანტა
ვერონა — პარმა

## სერია B

### XIX ტური

### კალიარი 3:0 ჯენოა

1:0, 2:0 სუაზო (18, 44), 3:0 კამარატა (55)

### კიევო 2:1 სიენა

1:0 დე ჩეზარე (38), 1:1 კავალო (85), 2:1 ს. ლანა (87)

### პისტოიეზე 3:1 მონცა

1:0 ბიზარი (21), 1:1 ძანინი (58), 2:1 ძინი (77), 3:1 ბაიანო (80)

### რავენა 0:1 კოზენცა

0:1 ძამპანა (57)

### სამპდორია 1:1 პესკარა

0:1 პალადინი (20), 1:1 ლუიზო (35)

### ტორინო 2:0 სალერნიტანა

1:0 კოლომბო (2), 2:0 მასპერო (29)

### ტრევიზო 0:3 პიაჩენცა

0:1 ამბროზეტი (13), 0:2, 0:3 კაჩა (27პ, 56)

### ემპოლი 2:3 ვენეცია

0:1 ვალტოლინა (4), 1:1 მაკარონე (28პ), 1:2 პავანი (41), 2:2 იაკობინო (64), 2:3 დი ნაპოლი (70)

### ჩიტადელა 2:0 ანკონა

1:0 კავერძანი (83), 2:0 მარტუშელო (87)

### კროტონე — ტერნანა

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიევო | 19 | 10 | 5 | 4 | 27:17 | 35 |
| პიაჩენცა | 19 | 10 | 4 | 5 | 24:14 | 34 |
| ვენეცია | 19 | 8 | 9 | 2 | 29:22 | 33 |
| კოზენცა | 19 | 9 | 5 | 5 | 22:17 | 32 |
| კალიარი | 19 | 8 | 7 | 4 | 31:17 | 31 |
| ტორინო | 19 | 9 | 4 | 6 | 23:21 | 31 |
| სამპდორია | 19 | 7 | 9 | 3 | 26:17 | 30 |
| ტერნანა | 18 | 8 | 6 | 4 | 25:19 | 30 |
| ანკონა | 19 | 8 | 5 | 6 | 22:19 | 29 |
| კროტონე | 18 | 8 | 4 | 6 | 22:22 | 28 |
| სიენა | 19 | 6 | 8 | 5 | 27:24 | 26 |
| ჩიტადელა | 19 | 5 | 9 | 5 | 24:25 | 24 |
| ემპოლი | 19 | 7 | 3 | 9 | 21:25 | 24 |
| სალერნიტანა | 19 | 5 | 6 | 8 | 19:21 | 21 |
| პისტოიეზე | 19 | 5 | 5 | 9 | 22:25 | 20 |
| ჯენოა | 19 | 4 | 8 | 7 | 19:23 | 20 |
| ტრევიზო | 19 | 4 | 8 | 7 | 18:24 | 20 |
| რავენა | 19 | 2 | 9 | 8 | 15:28 | 15 |
| პესკარა | 19 | 1 | 8 | 10 | 15:28 | 11 |
| მონცა | 19 | 3 | 2 | 14 | 18:41 | 11 |

## სერია C1/A

მე-19 ტური: ალბინოლეფე — რეჯანა 0:2; ალესანდრია — ალძანო 0:1; ბრეშელო — სპეცია 2:1; კარარეზე — ლუკეზე 2:3; ლეკო — ჩეზენა 0:2; ლუმეცანე — კომო 2:3; მოდენა — არეცო 4:1; პიზა — სპალ 0:2; ვარეზე — ლივორნო 1:1

## სერია C1/B

მე-19 ტური: ატლეტიკო — ტორესი 2:3; დი სანგრო — ბენევენტო 3:0; ფერმანა — კატანია 2:1; ჯულიანოვა — პალერმო 2:2; აკილა — სავოია 1:2; ლოდიჯანი — აველინო 1:1; ნოჩერინა — ფ. ანდრია 0:3; ჩეზარე — მესინა 0:0; ვიტერბეზე — ასკოლი 0:1

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წრე და რეალი: არ გინდათ წრიალი!

## ესპანეთი

XIX ტური

### ოსასუნა 1:1 სოსიედადი

0:1 იდიაკესი (56პ), 1:1 იანკაუსკასი (78ს.კ.)
ოსასუნა: ნუნო, ბიტორ ოკიო, კრუჩაგა, მატეო, იანგუასი, განკედო, ლორესი (არმონი 82), ალფრედო, პალასიოსი (ალფონსო 65), არმენტანო, ივან როსადო
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
სოსიედადი: ალბერი, კორინო, ლოპეს რეკარტე, პიკაბეა, ლორენი, ფუენტესი (ხაბი ალონსო 65), ლუის ალბერტო, ტაიფუნი, ხოხლოვი (ლორენტე 84), იანკაუსკასი, იდიაკესი (ხაურეგი 80)
მწვრთნელი: ჯონ ტოშაკი
გაფრთხილება: ალფრედო, პიკაბეა, ლორენი, პალასიოსი, ტაიფუნი, ლორესი
გაძევება: პიკაბეა (77)
19 533 მაყურებელი

### ვალენსია 0:1 ბარსელონა

0:1 დე ბური (6)
ვალენსია: კანისარესი, აიალა, ალბელდა, ანგლომა, კარბონი, ჯუკიჩი, ბარახა (კილი გონსალესი 65), ვისენტე, მენდიეტა, კარეუ, ხუან სანჩესი (ანგულო 46)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
ბარსელონა: რეინა, ფ. დე ბური, აბელარდო, რაიციგერი, ხერარდი, ლუის ენრიკე, კოკუ, გვარდიოლა, სიმაო, რივალდო, კლუივერტი (ოვერმარსი 88)
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
გაფრთხილება: აიალა, რაიციგერი, კარბონი, ლუის ენრიკე, ვისენტე, გვარდიოლა, რივალდო, კილი გონსალესი, ანგლომა
გაძევება: ლუის ენრიკე (43), კარბონი (51)
50 000 მაყურებელი

### მალაგა 1:3 დეპორტივო

1:0 დარიო სილვა (10), 1:1 მაკაი (32), 1:2, 1:3 სკალონი (80, 90)
მალაგა: კონტრერასი, დ. ლარაინსარი, ვალკარსე, როტეტა, როხასი, დე ლოს სანტოსი, რუფეტე, მოვილია (ზარატე 65), კანაბალი, აგოსტინიო (ბრავო 46), დარიო სილვა
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
დეპორტივო: ხ. მოლინა, პელდერი, სეზარ სამპაიო, რომერო, მანუელ პაბლო, ემერსონი (ვალერონი 64), დონატო, სკალონი, ფრანი (კაპდევილა 90), პანდიანი, მაკაი (ნაიბეტი 86)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: დარიო სილვა, მანუელ პაბლო, კანაბალი, ფრანი, პელდერი
18 000 მაყურებელი

### ვალიადოლიდი 2:2 რეალი

1:0 კამინერო (3), 1:1 რობერტო კარლოსი (46), 1:2 მორიენტესი (51), 2:2 ფერნანდო (75პ)
ვალიადოლიდი: ბიზარი, ტორეს გომესი, გარსია კალვო, მარკოსი, პაინცე, ფერნანდო სალესი (კავიედესი 69), ხესუსი, ანტონიო ლოპესი, კამინერო (რიკეტი 80), ეუსებიო (ფერნანდო 29), პაჩონი
მწვრთნელი: ფრანსისკო ფერარო
რეალი: კასილიასი, კარანკა, იერო, რობერტო კარლოსი, სალგადო, მაკელელე, სელადესი (მაკმანამანი 79), სავიო (გუტი 66), ფიგუ, მორიენტესი (მუნიტისი 79), რაული
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: იერო, ხესუსი, ანტონიო ლოპესი, სალგადო, სელადესი, ტორეს გომესი, რობერტო კარლოსი, ფიგუ
18 000 მაყურებელი

### ბილბაო 3:1 რასინგი

1:0 გერერო (46), 2:0, 3:0 ურსაისი (53, 75), 3:1 ამავისკა (79)
ბილბაო: ლაფუენტე, ი. ლარაინსარი, ლაკრუსი, ლარასაბალი, ორბაისი, იესტე (ფელიპე 69), ი. გერერო (ალკისა 86), ურუტია, ოსკარ ვალესი, ურსაისი, ხ. ეჩებერია (ხავი გონსალესი 90)
მწვრთნელი: ფრანსისკო ჩიჩი როხო
რასინგი: ლემესი, ხუანმა, ტაისი (ბესჩასტნიხი 71), ნერუ (ესტევესი 60), მელბერგი, არსენო, მაცონი, ამავისკა, კოლსა, მორანი (ბინედა 60), ესპინია
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
გაფრთხილება: გერერო, მაცონი, ესტევესი, ფელიპე, იესტე, მორანი, ნერუ, მელბერგი
გაძევება: ოსკარ ვალესი (62)
36 000 მაყურებელი

### ოვიედო 1:1 მალიორკა

0:1 ეტოო (16), 1:1 მიოლერი (80)
ოვიედო: ესტებანი, ბორისი, მარტინოვიჩი (გასპარი 46), დანჟუ, ონოპკო, ი. ტომიჩი, კეიტა, ივან ანია, ამიევა (მიოლერი 60), ოლი, რუბენი (პაუნოვიჩი 46)
მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
მალიორკა: ლეო ფრანკო, ნადალი, ოლაიზოლა, მიგელ სოლერი, ფინიდი, მარკოსი, ენგონგა, იბაგასა, ლუკე (კარლოსი 57; ნოვო 83), ეტოო (სტანკოვიჩი 60)
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
გაფრთხილება: ფინიდი, ოლაიზოლა, სტანკოვიჩი
23 000 მაყურებელი

### ალავესი 0:2 ნუმანსია

0:1 კაკო მორანი (21), 0:2 პაჩეტა (85)
ალავესი: ერერა, ჟელი, ტელიესი, კარმონა, კონტრა, ასტუდილიო, დესიო, პაბლო, კრუიფი (ჯ. ტომიჩი 64), მაგნო (ივან ალონსო 46), ხავი მორენო
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
ნუმანსია: ნუნიესი, ანტია, პაჩეტა, სორია, ნაგორე (მუნისი 71), ხოსე მანუელი, მარინი, კაკო მორანი (პირი 83), ოქტავიო, რუბენ ნავარო (ოხედა 65), ინიაკი
მწვრთნელი: მარიანო გარსია რემონი
გაფრთხილება: პაბლო, ხოსე მანუელი, ტელიესი
13 544 მაყურებელი

### რაიო ვალეკანო 1:1 ლას პალმასი

0:1 პაბლო ლაგო (29), 1:1 ბოლო (39)
რაიო ვალეკანო: კელერი, ბალესტეროსი, დე კონტანა, მინგო, ალკასარი (მაურო 68), გლაუჩიო, კვედო, პოშნერი, მიჩელი (ბარტელტი 77), ბოლიჩი, ბოლო (სემბრანოსი 84)
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
ლას პალმასი: ნაჩო გონსალესი, ოლიასი, ალვარო, შურერი, ედუ ალონსო, იარნი (ანხელი 78), სემვისი, ხოსიკო, ულარე, პაბლო ლაგო, ელოი
მწვრთნელი: სერჯიო კრესიჩი
გაფრთხილება: პოშნერი, ნაჩო გონსალესი, იარნი
8 000 მაყურებელი

### ესპანიოლი 2:1 ვილიარეალი

1:0 მარტინ პოსე (23), 2:0 ტამუდო (58), 2:1 კრაიოვიანუ (88)
ესპანიოლი: მორა, ტოლედო, პოჩეტინიო, კრისტობალი, სოლდევილა, როხერი, გალკა (მორალესი 80), სერხიო, ველამასანი, ტამუდო (სერანო 86), მარტინ პოსე (ოსკარი 81)
მწვრთნელი: ფრანსისკო პაკო ფლორესი
ვილიარეალი: ლოპეს ვალეხო, კიკე მედინა, არუაბარენა, ბერუე, ხავი როკა (გალვანი 78), ამორი (ესკუდა 78), კანია, კალეხა (ხავი გარსია 46), ხორხე ლოპესი, მოიზესი, კრაიოვიანუ
მწვრთნელი: ვიქტორ მანრიკე
გაფრთხილება: მოიზესი, სერხიო, პოჩეტინიო, ბერუე
18 100 მაყურებელი

### სელტა 1:1 სარაგოსა

1:0 კატანია (17), 1:1 მარტინ ველისკა (24)
სელტა: კავალიერო, ბერიზო, იაგო, კასერესი, ველასკო, მოსტოვოი, კარპინი (მაკკარტი 83), ჯოვანელა, კატანია (პაბლო 75), ვაგნერი, გუსტავო ლოპესი (ედუ 66)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
სარაგოსა: ხუანმი, რებოსიო, ფერონი (იორდი 83), პაკო ხემესი, ლანა, კუარტერო, აკუნია, ხოსე იგნასიო, მარტინ ველისკა, ესნაიდერი (ჟამელი 79), მონტენეგრო (სეზარი 72)
მწვრთნელი: ლუის კოსტა
გაფრთხილება: კატანია, იორდი, სეზარი, კასერესი, ბერიზო
18 000 მაყურებელი



ვალენსია — ბარსელონა 0:1. ვალენსიელი რობერტო აიალა (მარჯვნივ) ბურთსაც ურტყამდა და ფეხბურთელებსაც

**კიდევ** კარგი, მატჩი მხოლოდ 90 წუთს გრძელდება, თორემ ვინ იცის, კიდევ რამდენ კაცს გააძევებდნენ „ვალენსია“ — „ბარსელონას“ შეხვედრაში. მსაჯს სულ თერთმეტჯერ დასჭირდა ყვითელი ბარათი, ამათგან ლუის ენრიკე და ამადეო კარბონი ორ-ორჯერ გააფრთხილა. არადა, მსაჯიც რა შუაშია — უხეშობდნენ და რა ექნა. თუნდაც ის ეპიზოდი რად ღირს, რობერტო ფაბიან აიალამ წაქცეული სიმაო რომ ჩაწიხლა, აქაოდა, წონასწორობა დავკარგე და შემთხვევით დავაბიჯეო. არბიტრიც გულმოწყალე აღმოჩნდა და აიალა გაძევებას გადაურჩა (გაფრთხილებული უკვე იყო). ჩვენ კი შევნიშნოთ, რომ საწყალ სიმაოს ერთხელაც დააბიჯა და ხუთჯერაც, თან გამეტებით.

ჩხუბის გარდა ფეხბურთელები თამაშობდნენ კიდეც და აღსანიშნავია, რომ არცთუ ურიგოდ. მასპინძელთაგან კილი გონსალესმა, იონ კარეუმ, გაისკა მენდიეტამ და მიგელ ანხელ ანგულომ, ხოლო სტუმართაგან რივალდომ და პატრიკ კლუივერტმა კარგა ბლომად სახიფათო მომენტები შექმნეს, თუმცა ვერ გაიტანეს. ვალენსიელთა იერიშებს კატალონიელთა დაცვა იგერიებდა, ბარსელონელები კი სანტიაგო კანისარესს ვერა და ვერ ატყუებდნენ.

თუმცა კანისარესი ერთხელ მაინც შეცდა. შეხვედრის დასაწყისშივე ფრანკ დე ბურის უშორესი დარტყმის მიმართულება ვერ გამოიცნო — ჯერ მარცხნივ გადაიხარა და როცა მარჯვნივ წასულ ბურთს ნახტომი შეაგება, გვიანი იყო. ეს ერთი შეცდომა „ვალენსიას“ მეორე ადგილთან გამოთხოვებად დაუჯდა და სულაც მეოთხეზე მოექცა.

გავახსენებთ, ერთ წელზე ოდნავ მეტი ხნის წინ „რეალის“ მაშინდელი მწვრთნელი ჯონ ტოშაკი ამ გუნდის მაშინდელ მეკარე ალბანო ბიზარიზე ამბობდა, ეგ ისეთ ბურთებს უშვებს, ჩემი შვილიშვილიც კი აიღებდაო. დღეს არც ერთია „სამეფო კლუბში“ და არც მეორე. თუკი ტოშაკის და „რეალის“ პირველ შებმამდე სამიოდე თვე კიდევ დარჩა, „ვალიადოლიდში“ გადაბარგებული ბიზარი ამ კვირას დაუხვდა ძველ მეგობრებს და თავადაც გამოსცადა რობერტო კარლოსის ჯადო-საჯარიმოსა და ფერნანდო მორიენტესის დარტყმულის ძალა. თუმცა არც ვალიადოლიდელები დარჩენილან ვალში — მე-4 წუთზე ხოსე ლუის კამინერომ ფერნანდო იეროს აჯობა და თავურით გახსნა ანგარიში. ბოლოსკენ, როცა უკვე „რეალი“ იგებდა, ალბერტ სელადესისგან შევიწროვებული ფერნანდო ფერნანდესი გაიშხლართა სტუმართა საჯარიმოში და მონადირებული პენალტიც თავადვე გაიტანა. ამ ფრემ „რეალის“ რვამატჩიანი (პრიმერადივიზიონში) მოგებათა სერია შეწყვიტა.

ზედიზედ სამი მატჩი მოეგო „ლას პალმასს“ და მეოთხეს ველარ შესწვდა, კანარელები დედაქალაქში ვალეკანოელ ხუან ანტონიო პერეს ბოლოს გოლმა დაალალატა და თამაში ფრედ დასრულდა. საინტერესოა, რომ ამ ტურში ქულები ხუთმა წყვილმა გაიყო, რაც საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა.

ვერა და ვერ გაიმართა წელში უკვე ნახსენები ჯონ ტოშაკი. მეოთხე კვირაა, „სოსიედადში“ მუშაობს, სამი შეხვედრა ჩაატარა და გამარჯვება არ უგემია. არადა, შეეძლო, რადგან ედგარას იანკაუსკასის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი იჩიგო იდიაკესმა გამოიყენა და „ოსასუნაც“ გამთანაბრებელს არ ჰგავდა. ორწუთიან მონაკვეთში ყველაფერი თავდაყირა დადგა — 77-ეზე მეორე გაფრთხილებისთვის სტუმრებს ხოსე ანტონიო პიკაბეა გაუძევეს და 78-ეზე ლიტველმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. ასე რომ, ჯონ ტოშაკის მონაგარი ჯერჯერობით ორად-ორი ქულაა და ასე თუ გაგრძელდა, „სოსიედადი“ მეორე დივიზიონში ამოყოფს თავს.

ტოშაკზე უიღბლო ვიქტორ ფერნანდესია, „სელტას“ მწვრთნელი. ერთი კვირის წინ ვწერდით, თუ მოხსნიან, არ გაგიკვირდეთო და ახლაც იმავეს გავიმეორებთ. „სელტას“ 5 ნოემბრის მერე არ მოუგია, ამ პერიოდში კი ათი თამაში ჩაატარა. სწორედ ამიტომ „სარაგოსასთან“ საშინაო ფრემ ვიგოელი ფანები სულ გადარია, ისინი ერთხმად მოითხოვდნენ ფერნანდესის გაგდებას.

გალისიელთა მეორე გუნდის, „დეპორტივოს“ მწვრთნელ ხავიერ ირურეტას არავინ ემუქრება, რადგან გუნდი იგებს, თუმცა ქომაგებს გვარიანად ანერვიულებს. წინა ტურში „სუპერდეპორმა“ ბოლო ორ წუთში გატანილი ორი ბურთით დაამარცხა „ვალენსია“ და ახლაც მალაგაში ორი გვიანი გოლით გაიმარჯვა.

სანამ ლაკორუნიელები მინდორზე ოფლს ღვრიდნენ, მათი ბრაზილიელი ჯალმინია სასამართლოში მიბრძანებული იყო და ფეხბურთის ფედერაციას უჩიოდა, რადგან ერთი კვირის წინ თანაგუნდელი ვიქტორის გალახვისთვის მიღებული ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია ებევრა.

„ვილიარეალი“ ბარსელონაში „ესპანიოლთან“ დამარცხდა. სტუმრებს ვერაფრით დაეხმარა მათი ახალი ვარსკვლავი მარტინ პალერმო, რომელიც თამაშს ტრიბუნიდან უცქერდა და დებიუტი, ალბათ, მომდევნო ტურში ექნება.

მომდევნო ტურიდან კი პრიმერადივიზიონში მეორე წრე დაიწყება, თუმცა პირველი ჯერ არ დასრულებულა — ხვალ „რეალი“ და „სარაგოსა“ მე-12 ტურის გამოტოვებულ მატჩს გამართავენ.

**გიორგი დარჯანია**

## მეორე დივიზიონი

XXI ტური

### ატლეტიკო 2:1 ხეტაფე

0:1 უგო (63), 1:1 რობერტო (70), 2:1 უგო ლეალი (76)

### კომპოსტელა 1:1 ელჩე

1:0 ოენი (29), 1:1 სერბანი (77)

### ეიბარი 1:0 სევილია

1:0 ლენისი (32)

### უნივერსიდადი 1:0 ალბასეტე

1:0 სანტანა (90)

### ბადახოსი 1:1 ლევანტე

1:0 ხავი მორო (49), 1:1 ლიმა (58)

### ბეტისი 1:0 ხაენი

1:0 კუელიარი (46)

### ფეროლი 1:0 უელვა

1:0 ნოგეირა (12)

### კორდობა 2:0 სპორტინგი

1:0 გალიეგო (51), 2:0 სივორი (88)

### ესტრემადურა 0:0 ლეიდა

### მურსია 1:2 სალამანკა

0:1 კ. მუნტიანუ (76), 1:1 ზარატე (77), 1:2 კიკე მარტინი (83)

### ტენერიფე 3:2 ლეგანესი

1:0 ლუსენპოფი (28), 1:1 ალექსი (55), 2:1 კურო ტორესი (58), 3:1 ლუის მარტი (68), 3:2 მაკუკულა (84)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სევილია | 21 | 12 | 4 | 5 | 32:19 | 40 |
| ბეტისი | 21 | 11 | 6 | 4 | 20:12 | 39 |
| ტენერიფე | 21 | 11 | 5 | 5 | 33:19 | 38 |
| სალამანკა | 21 | 10 | 5 | 6 | 24:20 | 35 |
| უელვა | 21 | 7 | 11 | 3 | 15:10 | 32 |
| კორდობა | 21 | 8 | 6 | 7 | 18:19 | 30 |
| ლევანტე | 21 | 6 | 11 | 4 | 25:21 | 29 |
| ბადახოსი | 21 | 6 | 11 | 4 | 20:18 | 29 |
| ალბასეტე | 20 | 7 | 8 | 5 | 17:15 | 29 |
| ეიბარი | 21 | 7 | 8 | 6 | 17:15 | 29 |
| სპორტინგი | 21 | 7 | 7 | 7 | 27:23 | 28 |
| მურსია | 21 | 7 | 7 | 7 | 29:26 | 28 |
| ატლეტიკო | 21 | 7 | 7 | 7 | 24:23 | 28 |
| ესტრემადურა | 21 | 7 | 6 | 8 | 19:21 | 27 |
| ხაენი | 21 | 7 | 5 | 9 | 14:20 | 26 |
| ლეგანესი | 21 | 4 | 11 | 6 | 25:24 | 23 |
| ელჩე | 21 | 5 | 8 | 8 | 23:29 | 23 |
| კომპოსტელა | 21 | 6 | 5 | 10 | 21:33 | 23 |
| ფეროლი | 20 | 5 | 6 | 9 | 20:26 | 21 |
| ხეტაფე | 21 | 5 | 6 | 10 | 21:30 | 21 |
| ლეიდა | 21 | 3 | 8 | 10 | 21:29 | 17 |
| უნივერსიდადი | 21 | 2 | 9 | 10 | 15:28 | 15 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ხავი მორენო (ალავესი) | 15 |
| რივალდო (ბარსელონა) | 12 |
| კლუივერტი (ბარსელონა) | 10 |
| რაული (რეალი) | 9 |
| დელი ვალდესი (მალაგა) | 9 |
| კატანია (სელტა) | 9 |

### XX ტური

27-28 იანვარი

სელტა — ოსასუნა
ესპანიოლი — სარაგოსა
რაიო ვალეკანო — ვილიარეალი
ალავესი — ლას პალმასი
ოვიედო — ნუმანსია
ვალიადოლიდი — მალიორკა
ვალენსია — რეალი
მალაგა — ბარსელონა
ბილბაო — დეპორტივო
რასინგი — სოსიედადი

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | რეალი | 18 | 12 | 3 | 3 | 43:21 | 22 | 39 | 8 | 7 | 0 | 1 | 24:6 | 18 | 21 | 10 | 5 | 3 | 2 | 19:15 | 4 | 18 |
| 2 | დეპორტივო | 19 | 11 | 4 | 4 | 34:18 | 16 | 37 | 9 | 7 | 2 | 0 | 18:2 | 16 | 23 | 10 | 4 | 2 | 4 | 16:16 | 0 | 14 |
| 3 | ბარსელონა | 19 | 11 | 3 | 5 | 39:27 | 12 | 36 | 9 | 7 | 1 | 1 | 21:10 | 11 | 22 | 10 | 4 | 2 | 4 | 18:17 | 1 | 14 |
| 4 | ვალენსია | 19 | 10 | 5 | 4 | 29:13 | 16 | 35 | 10 | 8 | 1 | 1 | 20:4 | 16 | 25 | 9 | 2 | 4 | 3 | 9:9 | 0 | 10 |
| 5 | მალიორკა | 19 | 8 | 7 | 4 | 28:25 | 3 | 31 | 9 | 6 | 2 | 1 | 17:11 | 6 | 20 | 10 | 2 | 5 | 3 | 11:14 | -3 | 11 |
| 6 | რაიო ვალეკანო | 19 | 7 | 8 | 4 | 38:28 | 10 | 29 | 10 | 5 | 4 | 1 | 22:11 | 11 | 19 | 9 | 2 | 4 | 3 | 16:17 | -1 | 10 |
| 7 | ლას პალმასი | 19 | 8 | 4 | 7 | 23:35 | -12 | 28 | 9 | 5 | 1 | 3 | 11:14 | -3 | 16 | 10 | 3 | 3 | 4 | 12:21 | -9 | 12 |
| 8 | მალაგა | 19 | 8 | 3 | 8 | 30:29 | 1 | 27 | 10 | 6 | 2 | 2 | 21:14 | 7 | 20 | 9 | 2 | 1 | 6 | 9:15 | -6 | 7 |
| 9 | ბილბაო | 19 | 7 | 5 | 7 | 27:25 | 2 | 26 | 9 | 6 | 1 | 2 | 20:12 | 8 | 19 | 10 | 1 | 4 | 5 | 7:13 | -6 | 7 |
| 10 | ვილიარეალი | 19 | 7 | 5 | 7 | 23:22 | 1 | 26 | 9 | 3 | 4 | 2 | 9:10 | -1 | 13 | 10 | 4 | 1 | 5 | 14:12 | 2 | 13 |
| 11 | სარაგოსა | 18 | 5 | 9 | 4 | 24:20 | 4 | 24 | 9 | 4 | 4 | 1 | 17:10 | 7 | 16 | 9 | 1 | 5 | 3 | 7:10 | -3 | 8 |
| 12 | ალავესი | 19 | 7 | 3 | 9 | 29:27 | 2 | 24 | 10 | 5 | 1 | 4 | 14:10 | 4 | 16 | 9 | 2 | 2 | 5 | 15:17 | -2 | 8 |
| 13 | ესპანიოლი | 19 | 7 | 3 | 9 | 21:23 | -2 | 24 | 10 | 5 | 1 | 4 | 12:10 | 2 | 16 | 9 | 2 | 2 | 5 | 9:13 | -4 | 8 |
| 14 | ოვიედო | 19 | 7 | 3 | 9 | 23:33 | -10 | 24 | 10 | 7 | 2 | 1 | 23:12 | 11 | 23 | 9 | 0 | 1 | 8 | 0:21 | -21 | 1 |
| 15 | ვალიადოლიდი | 19 | 4 | 10 | 5 | 22:25 | -3 | 22 | 10 | 4 | 6 | 0 | 13:7 | 6 | 18 | 9 | 0 | 4 | 5 | 9:18 | -9 | 4 |
| 16 | სელტა | 19 | 5 | 5 | 9 | 22:30 | -8 | 20 | 10 | 4 | 5 | 1 | 16:11 | 5 | 17 | 9 | 1 | 0 | 8 | 6:19 | -13 | 3 |
| 17 | ნუმანსია | 19 | 5 | 4 | 10 | 20:30 | -10 | 19 | 9 | 3 | 2 | 4 | 10:12 | -2 | 11 | 10 | 2 | 2 | 6 | 10:18 | -8 | 8 |
| 18 | ოსასუნა | 19 | 3 | 8 | 8 | 20:29 | -9 | 17 | 10 | 2 | 5 | 3 | 11:12 | -1 | 11 | 9 | 1 | 3 | 5 | 9:17 | -8 | 6 |
| 19 | რასინგი | 19 | 3 | 5 | 11 | 20:33 | -13 | 14 | 9 | 3 | 3 | 3 | 12:12 | 0 | 12 | 10 | 0 | 2 | 8 | 8:21 | -13 | 2 |
| 20 | სოსიედადი | 19 | 3 | 5 | 11 | 17:39 | -22 | 14 | 10 | 1 | 4 | 5 | 10:21 | -11 | 7 | 9 | 2 | 1 | 6 | 7:18 | -11 | 7 |




# ინგლისი კაპიტანს ემშვიდობება

## ცამეტი წელი თვალის ერთი გადავლებით

**კვირას** ტონი ადამსმა თქვა, სანაკრებო კარიერა დავასრულეო. ინგლისელთა კაპიტნის ნათქვამს ქვემოთ ისევ მივუბრუნდებით, იქამდე კი ერთი ძველი გულთმისნობის ამბავი გავიხსენოთ.

1987 წელს ესპანეთის ნაკრებმა მადრიდში ინგლისს უმასპინძლა. ის ამხანაგური მატჩი სტუმრებმა 4:2 მოიგეს და იმითაა ცნობილი, რომ ინგლისელთაგან ოთხივე გოლი გარი ლინეკერმა გაიტანა. თუმცა ახლა ჩვენ ის გვაინტერესებს, რომ მაშინ ეროვნულ გუნდში დებიუტი ჰქონდა ტონი ადამსს, რომელზეც მატჩის შემდეგ მწვრთნელმა ბობი რობსონმა თქვა — ნახავთ, ეს ბიჭი მალე კაპიტანიც გახდებაო. ისე აგიხდათ ყველა ნატვრა.

რობსონის ამ წინასწარმეტყველებას საფუძველი ჰქონდა: 20 წლის ტონი ადამსი „არსენალის" უცვლელი ცენტრალური მცველი გახლდათ და იმ წელს ლიგის თასის მოგებაში დიდი წვლილიც შეიტანა. ესპანეთთან მატჩის შემდეგ რამდენიმე თვეში ტონი ადამსი „არსენალის" კაპიტანიც გახდა — ყველაზე ახალგაზრდა კლუბის 115-წლიან ისტორიაში.

„ძალიან მიჭირს ნაკრებიდან წასვლა — თქვა გუშინწინ ადამსმა — მაგრამ ასაკი და ჯანმრთელობა მაიძულებს. ვგრძნობ, რომ ორგანიზმი მეფიტება და ორ ფრონტზე ერთდროულად ბრძოლას ვეღარ შევძლებ. ნაკრებში დარჩენა ნიშნავს, რომ კლუბს რაღაც უნდა დავაკლო, ამას კი ვერ ვიზამ — „არსენალი" ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს." გავიხსენოთ, რომ გასულ სეზონში ადამსმა ორჯერ გაიკეთა თიაქრის ოპერაცია, ამასთანავე ფეხის, ზურგის და საზარდულის ტრავმებიც აწუხებდა. რაც შეეხება „არსენალს", ადამსი იქ 17 წლიდან თამაშობს.

13 წელი ნაკრებში, 66 მატჩი, 13-ჯერ კაპიტნის სამკლაური და 5 გოლი — ეს სტატისტიკური მონაცემები ტონი ადამსის დამსახურებას სრულად, ცხადია, ვერ ასახავს. „ტონი გენიოსი ფეხბურთელია, უპატიოსნესი კაცი და ყველა მწვრთნელის ოცნება" — ამბობს პიტერ ბერდსლი, ინგლისის ნაკრების ყოფილი წევრი, რომელიც ადამსის სადებიუტო მატჩის მონაწილეა. „სვენ გორან ერიკსონს დიდი თავსატეხი გაუჩნდა, ტონის დონის ფეხბურთელები ბევრნი არ არიან" — ეს გარი ლინეკერის სიტყვებია. თავად ერიკსონმა კვირასვე, „სანდერლენდი" — „ბრედფორდის" მატჩის შემდეგ თქვა: „ადამსის წასვლა, რა თქმა უნდა, სამწუხაროა. ის ნაკრების ერთ-ერთი მთავარი ფიგურა და გუნდის ნამდვილი ლიდერი იყო, ხოლო „არსენალში" კვლავაც ასეთად რჩება. ცხადია, მას დაველაპარაკები და შევეცდები, დაბრუნებაზე დავიყოლიო, თუმცა ვეჭვობ, აქედან რამე გამოვიდეს — ადამსი ის კაცი არაა, ყოველდღე ცვლიდეს გადაწყვეტილებას." აღვნიშნოთ, რომ ერიკსონმა ამას წინათ თქვა, ნაკრების კაპიტნად დევიდ ბექემი მყავს შერჩეულიო და ადამსის უცაბედი წასვლის ერთ-ერთი მიზეზი ეგებ ესეც იყოს. გადაწყვეტილება მართლაც მოულოდნელი აღმოჩნდა — ხუთშაბათს მიცემულ ინტერვიუში ის წასვლაზე არაფერს ამბობდა.

ტონი ადამსი ახლაა გამოცდილი ფეხბურთელი, თორემ კარიერის დასაწყისში მეტოქე გუნდის გულშემატკივართა ყოველ შეძახილზე იბნეოდა. ეს ფანებმაც შენიშნეს — დაიწყებოდა: „ეეე-უუუ!" ან „ვირო, ვირო!" და ადამსიც ცდებოდა.

ტონი ადამსი ამგვარ, ფეხბურთისთვის ჩვეულ ამბებს მალე შეეჩვია და ვირის ძახილიც შეწყდა. უფრო რთული ალკოჰოლისადმი მიდრეკილებასთან ბრძოლა გამოდგა. 1991 წლის დადგომას ის ესექსის ციხეში შეხვდა, სადაც ნასვამ მდგომარეობაში მანქანას მართვისთვის ოთხთვიან პატიმრობას იხდიდა. ციხემ ადამსი თითქოს გამოაფხიზლა — ზედიზედ მოიგო ინგლისის ჩემპიონატი, ასოციაციის თასი, ევროპის თასების მფლობელთა თასი, დააბრუნეს ნაკრებშიც, მაგრამ... ევრო 96-ზე ნახევარფინალში გერმანიასთან მარცხის შემდეგ ის კვლავ კლინიკაში მოხვდა და მისი მკურნალობა შვიდ კვირას გაგრძელდა.

გავიხსენოთ, რომ გასულ ოქტომბერში ტონი ადამსმა სწორედ გერმანიასთან მატჩისას მოირგო კაპიტნის სამკლავური უკანასკნელად. ასე რომ, მხოლოდ კევინ კიგანისთვის არ გამომდგარა ის მატჩი ბოლო.

ისე, მომდევნო შეხვედრა ინგლისს 28 თებერვალს ესპანელებთან უწევს. ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ — ტონი ადამსის 13 წელი ესპანეთიდან ესპანეთამდე.

**გიორგი დარჯანია**



ნაკრების კაპიტნის სამკლაურს ადამსი დევიდ ბექემს დაუთმობს

## ბელგია

XIX ტური

### აალსტი 4:2 გენკი

0:1 სონკი (5), 1:1 აელბრეხტი (12), 1:2 სონკი (45), 2:2 აელბრეხტი (51), 3:2 დე ვილდე (77), 4:2 ჭააკოზია (87)

აალსტი: კუიოვიჩი, დე საედელერი, დე კისერი, არტსი, ფილიპოვიჩი, ვან დე ბოში, რეიჯელი (ჭააკოზია 86), კესტენსი, აელბრეხტი (რიგო 79), ტიბო (დე ვილდე 36), როჟერიო

მწვრთნელი: ვიმ დე კონინკი

### ლიერსი 2:1 სენტ ტრუიდენი

0:1 სხოკერტი (54), 1:1, 2:1 ვერეტენნიკოვი (59, 66)

ლიერსი: დემანი, სმეტსი, ვან მეირი (მოდკენსი 60), დაემსი, შიშილაძე, სნოექსი, ლეენი, ვერეტენნიკოვი, ვან დოორენი, კავენსი, პიესმანსი (სომერსი 79)

მწვრთნელი: ვალტერ მეესი

გაფრთხილება: შიშილაძე

### ჰარელბეკე 1:0 შარლერუა

1:0 ტომპსონი (61)

### ლუვიე 0:4 სტანდარდი

0:1 მორნარი (9), 0:2 ვუილო (40), 0:3 დრაგუტინოვიჩი (52), 0:4 პრისინეჩკი (87)

### ბევერენი 2:1 ანტვერპენი

1:0 როდრიგესი (13), 2:0 ტუსი (33), 2:1 სერჯენტი (35)

### მეხელენი 3:3 გენტი

0:1 ლემპერო (5), 0:2 იოლი (18), 0:3 კრუში (28), 1:3 კანუსი (67), 2:3 გვადალუპე (81), 3:3 მიუსენი (90)

### ბეერსხოტი 2:0 ლოკერენი

1:0 მუტავჯიჩი (52პ), 2:0 დაგანო (71)

### ბრიუგე 2:2 მუსკრონი

1:0 ვერმანტი (3პ), 1:1 ლადონი (33), 2:1 ვერშეინი (50), 2:2 ილსტროვიჩი (63)

### ვესტერლო — ანდერლეხტი

გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 18 | 16 | 1 | 1 | 57:12 | 49 |
| ანდერლეხტი | 18 | 15 | 3 | 0 | 53:15 | 48 |
| სტანდარდი | 19 | 11 | 4 | 4 | 49:23 | 37 |
| გენტი | 18 | 9 | 5 | 4 | 37:29 | 32 |
| შარლერუა | 19 | 10 | 2 | 7 | 35:33 | 32 |
| მუსკრონი | 19 | 9 | 4 | 6 | 40:27 | 31 |
| ვესტერლო | 18 | 9 | 4 | 5 | 33:27 | 31 |
| ლიერსი | 19 | 9 | 4 | 6 | 31:25 | 31 |
| ბეერსხოტი | 19 | 9 | 1 | 9 | 34:28 | 28 |
| ლოკერენი | 19 | 7 | 6 | 6 | 26:28 | 27 |
| ბევერენი | 19 | 7 | 5 | 7 | 18:35 | 26 |
| ანტვერპენი | 19 | 7 | 1 | 11 | 24:29 | 22 |
| გენკი | 19 | 5 | 6 | 8 | 23:27 | 21 |
| აალსტი | 19 | 4 | 4 | 11 | 21:45 | 16 |
| სენტ ტრუიდენი | 19 | 3 | 4 | 12 | 20:36 | 13 |
| მეხელენი | 19 | 2 | 5 | 12 | 25:44 | 11 |
| ჰარელბეკე | 19 | 3 | 1 | 15 | 22:60 | 10 |
| ლუვიე | 19 | 1 | 6 | 12 | 13:38 | 9 |

## პორტუგალია

XVIII ტური

### ბენფიკა 2:1 პორტუ

1:0 ვან ჰოიდონკი (26პ), 1:1 ნუნო კაპუშო (41), 2:1 ვან ჰოიდონკი (79)

### ბელენენსეში 5:0 ავეში

1:0 მარკაუ (5), 2:0 ფილგუერა (15), 3:0, 4:0 გუგა სანტუში (19, 27), 5:0 მარკაუ (79)

### ფერეირა 1:1 სალგეირუში

1:0 დიასი (1), 1:1 ჟოაუ პედრუ (20)

### კამპომაიორენსე 1:0 ჟილ ვისენტე

1:0 დეტინიუ სანტუში (35)

### ფარენსე 2:1 სპორტინგი

1:0 რუი ჟორჟე (42ს.კ.), 2:0 მარკო ნუნუ (54), 2:1 ბარბოსა (90)

### ბოავიშტა 1:0 ბეირა მარი

1:0 ერვინ სანჩესი (64)

### გიმარაეში 0:0 ბრაგა

### ამადორა 1:2 ლეირია

0:1 პერეირა (7), 0:2 დერლეი სილვა (82), 1:2 კენედი (84პ)

### მარიტიმუ — ალვერკა

ნუხელ გვიან გაიმართა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოავიშტა | 18 | 12 | 5 | 1 | 38:12 | 41 |
| პორტუ | 18 | 12 | 1 | 5 | 37:16 | 37 |
| სპორტინგი | 18 | 11 | 3 | 4 | 30:17 | 36 |
| ბენფიკა | 18 | 10 | 4 | 4 | 31:17 | 34 |
| ბელენენსეში | 18 | 10 | 4 | 4 | 26:14 | 34 |
| ბრაგა | 18 | 9 | 6 | 3 | 29:20 | 33 |
| ფერეირა | 18 | 7 | 6 | 5 | 24:16 | 27 |
| ლეირია | 18 | 6 | 7 | 5 | 20:26 | 25 |
| სალგეირუში | 18 | 8 | 1 | 9 | 19:28 | 25 |
| ფარენსე | 18 | 6 | 6 | 6 | 22:24 | 24 |
| მარიტიმუ | 17 | 6 | 5 | 6 | 18:16 | 23 |
| ალვერკა | 17 | 6 | 3 | 8 | 23:28 | 21 |
| ბეირა მარი | 18 | 5 | 5 | 8 | 20:27 | 20 |
| გიმარაეში | 18 | 4 | 6 | 8 | 20:27 | 18 |
| კამპომაიორენსე | 18 | 3 | 7 | 8 | 15:30 | 16 |
| ჟილ ვისენტე | 18 | 2 | 4 | 12 | 10:26 | 10 |
| ავეში | 18 | 2 | 4 | 12 | 17:38 | 10 |
| ამადორა | 18 | 2 | 3 | 13 | 14:31 | 9 |

## ექვსთა ტურნირი ანთალიაში

### გალათასარაი 2:0 ვერდერი

1:0, 2:0 ჟარდელი (44, 52)

### ბეშიქთაში 0:0 (პენ. 3:5) შტურმი

### ვერდერი 3:3 (პენ.4:3) შტურმი

1:0 ტრარესი (25), 1:1 ნოიკირხნერი (34), 2:1 დონგ-ბუკი (38), 2:2, 2:3 საბიჩი (44, 70), 3:3 სტალტერი (90)




**ფრანგი** მცველი დიდიე დომი „ნიუკასლიდან" თავის ყოფილ კლუბ „პარი სენ ჟერმენში" დაბრუნდა და ხუთწლინახევრიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ფეხბურთელმა „სენტ ჯეიმსიზ პარკზე" ორი სეზონი გაატარა, თუმცა ბოლო ხანს მწვრთნელი ბობი რობსონი ძირითად შემადგენლობაში აღარ ათამაშებდა, ამიტომ ინგლისის დატოვება გადაწყვიტა. 22 წლის დომის სანაცვლოდ „ნიუკასლმა" 1998 წელს 3,5 მილიონი გირვანქა გადაიხადა, ახლა კი „პარი სენ ჟერმენში" 3 მილიონ გირვანქად გაყიდა.

**ინგლისურმა „ვესტ ჰემმა" „მეცის" მცველი საბასტიენ შემელი ინათხოვრა. ლონდონური კლუბის რამდენიმე წამყვანი მოთამაშე ამჟამად ტრავმირებულია და მწვრთნელმა ჰარი რედნაპმა 25 წლის შემელის გადაბირება ამიტომ გადაწყვიტა: „მეცი" ფეხბურთელის სანაცვლოდ 4 მილიონ გირვანქას ითხოვდა, ფულის გადახდას ვარჩიეთ, სებასტიენი დროებით გვენათხოვრებინა. იგი ძლიერი მარჯვენა მცველია და შეტევებშიც ხშირად ერთვება" — განაცხადა რედნაპმა. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ ლონდონელებმა „ბლექბერნიდან" კიდევ ერთი მცველი, შოტლანდიელი კრისტიან დეილი 2,5 მილიონ დოლარად შეიძინეს.**

**არგენტინელი** ნახევარმცველი ლუკას ბერნარდი მარსელში სამედიცინო შემოწმებას გაივლის და თუ ყველაფერი რიგზე იქნება, იქაურ „ოლიმპიკთან" ოთხწლინახევრიან კონტრაქტს გააფორმებს, ფრანგული კლუბი კი „ნიუელს ოლდ ბოიზს" 23 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ 5,7 მილიონ დოლარს გადაუხდის.

**ავსტრალიელი ფორვარდი მარკ ვიდუკა ოკეანეთის წლის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. რეფერენდუმში მან 118 ქულა მიიღო და 14-ით აჯობა ლიდსელ თანაგუნდელ ჰარი კიუელს, რომელიც შარშანდელი გამარჯვებულია. ერთნაირი ხმები დააგროვეს და მესამე ადგილზე გავიდნენ რაიმონ ელიოტი და რიჩარდ ივაი. შეგახსენებთ, რომ 25 წლის მარკ ვიდუკა „ლიდს იუნაიტედში" შარშან ივლისში ჩაირიცხა, მანამდე კი გლაზგოს „სელტიკის" ღირსებას იცავდა.**

**შვეიცარიის** ნაკრების მცველი რაფაელ ვიკი ბრემენის „ვერდერიდან" მადრიდის „ატლეტიკოში" გადაბარგდა და ახალ კლუბთან კონტრაქტი 2004 წლამდე გააფორმა. „ყველა პირობა შეთანხმებულია, კარგი მოთამაშე დავიმატეთ. მადრიდში გადმოსვლით იგი კმაყოფილია" — განაცხადა ესპანეთის მეორედივიზიონული კლუბის წარმომადგენელმა.

**ნორვეგიელი თავდამსხმელი ტორე ანდრე ფლო ფლორიდაში „რეინჯერსის" ერთ-ერთი საწვრთნელი თამაშის დროს დაშავდა და ჰოსპიტალში წაიყვანეს. ფეხბურთელმა კოჭი ერთობ სერიოზულად დაიშავა და არ გამორიცხავენ, რომ მას თაბაშირის სახვევიც დასჭირდეს. ისიც ვთქვათ, რომ ახლა შოტლანდიაში ზამთრის არდადეგებია. ჩემპიონატი 31 იანვარს განახლდება, „რეინჯერსი" კი ამ პერიოდს ატლანტიკის გაღმა ატარებს.**

**გერმანიის** ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა ებე სანდმა „შალკე 04"-თან კონტრაქტი 2005 წლამდე გაახანგრძლივა. 28 წლის ფეხბურთელი სამი სეზონის წინ „ბრონდბიუში" გამოირჩა, როცა ჩემპიონატი 28 გოლით დაასრულა. სწორედ მაშინ შეამჩნია დანიის ეროვნული გუნდის ხელმძღვანელობამ და 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე სათამაშოდაც მიიწვია. სანდმა ფინალურ ეტაპზე ნიგერიის ნაკრებს გოლიც გაუტანა, თანაც მინდორზე მხოლოდ ნახევარი წუთის შესული იყო. „ბრონდბიუში" გატარებული 6 სეზონის შემდეგ თავდამსხმელი „შალკეში" გადავიდა, წლეულს კი 13 გოლი გაიტანა და ამჟამად ბუნდესლიგის ბომბარდირია.

**იტალიური „პერუჯას" მცველის მარკო მატერაცის შეძენის სურვილი მიუნხენის „ბაიერნმა" გამოთქვა და თანახმაა, სანაცვლოდ 6 მილიონი გირვანქა გადაიხადოს, თუმც ბუნდესლიგელებს მილანის „ინტერის" სახით კონკურენტიც გამოუჩნდათ. აღსანიშნავია, რომ მატერაცი ორი სეზონის წინ ინგლისში თამაშობდა — ერთი წელიწადი „ევერტონში" გაატარა. „ბაიერნისა" და „პერუჯას" წარმომადგენლები მოლაპარაკებებს უკვე აწარმოებენ და არ გამორიცხავენ, რომ ფეხბურთელი ბუნდესლიგის სეზონის განახლებამდე გადავიდეს გერმანიაში.**

**იუგოსლავიის** ნაკრების მეკარე ივიცა კრალი „პსვ ეინდჰოვენიდან" თავის ყოფილ კლუბ ბელგრადის „პარტიზანში" განათხოვრებით დაბრუნდა. ჰოლანდიაში იგი 1999 წელს „პორტუდან" გადავიდა, მაგრამ ბოლო ხანს ძირითად შემადგენლობაში თითქმის ვეღარ ხვდებოდა და სამშობლოში დაბრუნება ამჯობინა, სადაც სეზონის ბოლომდე დარჩება. „კრალთან ერთად ჩემპიონობა და თასის მოგება სავსებით ხელგვეწიფება" — განაცხადა ბელგრადელთა თავკაცმა ლუბიშა ტუმბაკოვიჩმა, რომლის გუნდიც იუგოსლავიის ჩემპიონატს ლიდერობს და ბურთების შეფარდებით უსწრებს მდევარ „ცრვენა ზვეზდას", ხოლო თასის გათამაშებაში მეოთხედფინალშია გასული.

**ალბანეთის ნაკრების ნახევარმცველი ბლეიდარ კოლა „პანათინაიკოსიდან" ათენის აეკ-ში გადავიდა. „ყოფილ კლუბთან კონტრაქტი დამისრულდა. აეკ-ი ძლიერი გუნდია და აქ გადმოსვლა ამიტომ ვარჩიე" — განაცხადა ფეხბურთელმა, რომელმაც სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.**

**ესპანური** „ოვიედოს" ფორვარდი პეტერ მიოლერი სეზონის ბოლომდე განათხოვრებით „ფულემში" ითამაშებს. იგი ლონდონში გუშინ გვიან უნდა ჩასულიყო. დანიელ ფეხბურთელს ოვიედოელთა მწვრთნელმა რადომირ ანტიჩმა განუცხადა, რომ ძირითად შემადგენლობაში აღარ დააყენებდა. მიოლერი „ოვიედოში" 1998 წელს „პსვ ეინდჰოვენიდან" ჩაირიცხა, თუმცა სასტარტოში მხოლოდ 10 თამაში დაიწყო და ოდენ სამი გოლი გაიტანა. არ გამორიცხავენ, რომ ფორვარდმა ინგლისის პირველდივიზიონურ კლუბთან უფრო ხანგრძლივი კონტრაქტი გააფორმოს.

# გაურკვევლობა თურქეთში

**ჩვენი** მეზობლები გაურკვევლობაში არიან: ჯერაც ვერ გადაუწყვეტიათ, ჩემპიონატის მატჩების ტრანსლირების უფლება ვის მიანიჭონ და, შედეგად, როგორც ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია აცხადებს, შესაძლებელია, ზამთრის არდადეგების დასრულების შემდეგ ჩემპიონატი არც განახლდეს.

„თუ ვერ გავარკვევთ, თამაშების ჩვენების უფლება ვის ექნება, დიდი შანსია, სეზონი ჯერჯერობით არ განახლდეს" — იუწყება ფედერაციის პრეს-ატაშე. საქმე, აი, რაშია: ფედერაციამ ამ თვეში გააუქმა კონტრაქტი ტელეკომპანია „ტელეონთან", რომელიც პირველობის მატჩებს აჩვენებდა. საფეხბურთო მოხელეები ბრალს სდებენ მედიის წარმომადგენლებს, რომ მათ რაღაც პირობები ვერ შეასრულეს, „ტელეონი" კი ურჩობს, საქმის სასამართლოში შეტანას და ჩივილს აპირებს.

ფედერაცია უფრო ღირსეულ ტელეკომპანიას ეძებს და ამისთვის ტენდერიც კი გამოაცხადა, მაგრამ წინა კვირას დაგეგმილი პროცესი გადაიდო. ცნობისთვის, არდადეგების მერე თურქული კლუბები მოედნებს 26 იანვარს უნდა დაბრუნებოდნენ.

# ანელკას ჟურნალისტი შემოელახა



გავაქანე და დავარტყი! ნიკოლა ანელკა ძმას კლოდს ესაუბრება

**პარიზის** სენ ჟერმენის პოლიციის უბანში „ეკიპის“ რეპორტიორი სებასტიენ ტარანგო გამოცხადდა და განაცხადა, ანელკამ მცემაო. თან მოწმეებიც მიიყვანა.

ჟურნალისტი ამბობს, საწვრთნელ ბაზაზე მივედი და ვარჯიშის შემდეგ გარეთ გამოსულ ანელკას ინტერვიუ ვთხოვე, მან კიდევ გამარტყაო. მოწმეებმაც თავების კანტური დაიწყეს, ნამდვილად ეგრე იყოო.

აზლა ანელკასაც მოვუსმინოთ: „საშინლად არ მიყვარს ინტერვიუები, ის კი ჩამაცივდა, დამელაპარაკეო. ვერაფრით მოვიცილე და ბოლოს ვუთხარი, ხომ არ გინდა, გითავაზო-მეთქი. მან კიდევ, აბა, სცადეო. ჰოდა, მეც დავარტყი. ჩხუბისთავი სულაც არ ვარ და უსიამოვნებას არ ვეძებ. რა ვქნა, უსიამოვნებამ თავად მომძებნა“.

შეფიქრიანებულია, „პარი სენ ჟერმენის“ პრეზიდენტი ლორან პერპერი — პრესასთან ურთიერთობის დაძაბვას ერიდება და ამავე დროს ანელკას წყენინებაც არ სურს, ამიტომ პრეზიდენტი კომენტარისგან ჯერჯერობით თავს იკავებს და ამბობს, ლუის ფერნანდესისგან ინციდენტის დეტალებს შევიტყობ და ჩემს აზრს მერე მოგახსენებთო.

## საბერძნეთი

მე-15 ტური: ოლიმპიაკოსი — არისი 4:1; პანაჰაიკი — პაოკ 1:2; იონიკოსი — ირაკლისი 2:2; აეკ — ქსანტი 2:0; პანათინაიკოსი — კალამატა 1:0; პანილიაკოსი — იანინა 1:0; ეთნიკოსი — ათინაიკოსი 2:2; ოფი — პანიონიოსი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 15 | 12 | 2 | 1 | 49:14 | 38 |
| პანათინაიკოსი | 15 | 10 | 5 | 0 | 26:8 | 35 |
| პაოკ | 15 | 8 | 5 | 2 | 31:24 | 29 |
| ირაკლისი | 15 | 8 | 3 | 4 | 23:15 | 27 |
| აეკ | 15 | 8 | 3 | 4 | 29:22 | 27 |
| იონიკოსი | 15 | 7 | 5 | 3 | 24:19 | 26 |
| ეთნიკოსი | 15 | 6 | 3 | 6 | 19:28 | 21 |
| არისი | 15 | 5 | 4 | 6 | 16:18 | 19 |
| ქსანტი | 15 | 5 | 3 | 7 | 9:16 | 18 |
| პანიონიოსი | 15 | 3 | 8 | 4 | 16:19 | 17 |
| პანაჰაიკი | 15 | 3 | 5 | 7 | 19:26 | 14 |
| პანილიაკოსი | 15 | 2 | 6 | 7 | 11:22 | 12 |
| ოფი | 15 | 2 | 5 | 8 | 17:26 | 11 |
| ათინაიკოსი | 15 | 3 | 2 | 10 | 19:33 | 11 |
| იანინა | 15 | 2 | 4 | 9 | 20:29 | 10 |
| კალამატა | 15 | 1 | 7 | 7 | 20:29 | 10 |

## საფრანგეთი

### თასის 1/32 ფინალი

ვანდევრი (მოყვ.) — ლევალუა (IV) 1:2; მონტსო ლე მინი (მოყვ.) — სენ ჟორჟი (მოყვ.) 0:1; ლიუნელი (მოყვ.) — კარკასონი (მოყვ.) 0:2; ლამბრ ლე დუე (მოყვ.) — ამიენი (II) 0:2; ნანსი (II) — სტრასბური 1:2; კალე (IV) — სედანი 1:3; შალონ სიურ საონი (მოყვ.) — რეიმსი (III) 1:1 (პენ. 1:4); ამნევილი (მოყვ.) — ბულონი (IV) 0:4; ლიბურნი (IV) — გრენობლი (III) 2:2 (პენ. 2:4); ტაონი (მოყვ.) — მარსელი 0:4; დიეპი (IV) — მეცი 1:2; კლერმონი (III) — სოშო (II) 2:2 (პენ. 7:6); შოლე (მოყვ.) — ლა როშ სურ იონი (IV) 0:0 (პენ. 5:6); ლანსი — ტრუა 2:2 (პენ. 3:5); სენტ ომერი (მოყვ.) — შერბური (IV) 1:0; კონკარნო (მოყვ.) — ფონტენეი (IV) 1:2; ლიონი — კაენი (II) 3:2; ლავალი (II) — ანჟერი (II) 0:1; ტუარი (III) — პარი სენ ჟერმენი 0:2დ.დ. (0:0); მონტმორილონი (მოყვ.) — სანი (მოყვ.) 1:2; ბეიო (მოყვ.) — ვანე (IV) 0:2; ოსერი — ლილი 1:0; აიაჩო (II) — სენტ ეტიენი 2:3დ.დ. (2:2); სეტე (IV) — კანი (II) 2:1; ვალანსი (III) — მონაკო 1:0; შატორუ (II) — ტულუზი 0:0 (პენ.10:9); ლე მანი (II) — აიაჩო (II) 1:0; ენონე (მოყვ.) — ბასტია 0:3; პასი სურ ეორი (III) — ნანტი 0:9; მარკ ან ბაროელი (მოყვ.) — ვასკეალი (II) 0:2; რენი — გენგამი 2:1; ისუარი (მოყვ.) — ბორდო 0:5



# რიოს კუ-რიო-ზი

## ნუ შეაწყობთ ფეხებს მაგიდაზე

**საინტერესო** ამბავია: მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული მცველი, ყმაწვილი ინგლისელი რიო ფერდინანდი დაშავდა და შიშობენ, რომ პრემიერლიგის მომავალი ტურის მატჩს „ასტონ ვილას“ წინააღმდეგ გამოტოვებს. საოცრება კი ის გახლავთ, რომ „ლიდსის“ ფეხბურთელს ტრავმა არც თამაშის დროს მიუღია, არც ვარჯიშისას და არც რაიმე უბედურ შემთხვევაში დაშავებულა — იჯდა თავისთვის, ტელევიზორს უყურებდა და ფეხები მაგიდაზე ჰქონდა შემოწყობილი. რომ წამოდგა, მუხლი ასტკივდა. მოგვიანებით ექიმებმა გასინჯეს და უთხრეს, მყესები გაქვს დაჭიმული, ცოტა ხანს დასვენება მოგიწევსო.

გაოცებულია „ლიდსის“ თავკაცი დევიდ ოლირი და ამბობს, გუნდში ისედაც ლაზარეთია გახსნილი, ამდენი ფეხბურთელი გვაკლია და ახლა ფერდინანდის ეს კურიოზული ტრავმაღა გვაკლდაო. „რიოს ფეხები დაბალ, მრგვალ მაგიდაზე კარგა ხანს გაუნძრევლად, ერთ პოზაში ჰქონია შემოწყობილი. ასეთი საოცარი ტრავმაც ამან განაპირობა“ — განაცხადა მწვრთნელმა „ლიდსის“ ოფიციალურ საინტერნეტო გვერდზე. ბუნებრივია, იმითაც დაინტერესდნენ, თამაშს როდის განაახლებსო. „ოთხშაბათის მატჩისთვის ალბათ ვერ გამოჯანმრთელდება, მაგრამ რთული ტრავმა არაა, ამიტომ ველით, რომ „ლივერპულის“ წინააღმდეგ უკვე დაგვეხმარება“ — იყო პასუხი.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ რიო ფერდინანდი „ლიდსში“ ნოემბრის შემდეგ ირიცხება. „ვესტ ჰემიდან“ „ელანდ როუდზე“ მისი გადაყვანა 18 მილიონი გირვანქა დაჯდა. მას შემდეგ მან „ლიდსში“ რვაჯერ ითამაშა. წინა ტურში მისი თანაგუნდელები შინ „ნიუკასლთან“ 1:3 დამარცხდნენ, მაგრამ რიოს ის შეხვედრა მცირე ტრავმის გამო არ ჩაუტარებია. ეტყობა, დაახლოებით იმ დროს ტელევიზორს უყურებდა და ფეხები მაგიდაზე ჰქონდა შემოწყობილი...




ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# აივერსონი ოინბაზობს, კიდი ცოლს სცემს

19 იანვარი

**ფილადელფია 97:86 ნიუ ჯერსი**

ფილადელფია: ოლი (10), მაკი (21), ლინჩი (8), ჰილი (9 ქულა, 10 მოხსნა), რეთლიფი (17); ბაფორდი (16), კუკოჩი (14), სანჩესი (2), ჯონსი

ნიუ ჯერსი: მარბერი (26), ჰარისი (4), ჯეკსონი (13), ვან ჰორნი (10), მარტინი (4); ვილიამსი (12 ქულა, 11 მოხსნა), ნიუმენი (10), დუგლასი (5), სტეფანია (4 წუთი, 2 ქულა, 1 მოხსნა)

20 იანვარი

**ნიუ ჯერსი 123:103 ჩიკაგო**

ნიუ ჯერსი: მარბერი (33 ქულა, 12 პასი, 11 მოხსნა), ჰარისი (14), ჯეკსონი (3), ვან ჰორნი (31), ვილიამსი (16 ქულა, 11 მოხსნა); ნიუმენი (16), სტეფანია (15 წუთი, 6 ქულა, 5 მოხსნა, 1 ჩაჭრა), დუგლასი (4), ეშმეიერი

ჩიკაგო: დრიუ (2), მერსერი (22), არტესტი (17), ბრენდი (28 ქულა, 10 მოხსნა), მილერი (6); ელ ამინი (11), ფიზერი (10), ბენჯამინი (2), ტარლაჩი (2), კროუფორდი (2), ჰოიბერგი (1), ბაგარიჩი

ამ უქმეებზე ჩვენებური ვლადიმერ სტეფანიას „ნიუ ჯერსი ნეთსმა“ ორი, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული შეხვედრა ჩაატარა. ორივე მატჩი სავსებით ლოგიკურად დასრულდა: „ბადეებმა“ პარასკევ ღამით ვერაფერი გააწყვეს აღმოსავლეთში უძლიერეს „ფილადელფიასთან“, ერთი დღის შემდეგ კი უსუსტეს „ჩიკაგოს“ ისევე იოლად გაუმკლავდნენ, როგორც წინადღეს მათ — „ფილადელფია“. „ნეთსის“ ქართველი ლეგიონერი ვოვა სტეფანიაც არ მჯდარა უქმად, პირველ შეხვედრაში ოთხი წუთით გამოჩნდა მოედანზე, ორი სროლიდან ერთი ჩააგდო და ერთი მოხსნაც მიითვალა. ჩვენებურს „ჩიკაგოსთან“ გაცილებით მეტხანს მოუწია თამაშმა, შესაბამისად, მისი შედეგიანობაც გაიზარდა. მართალია, თამაშიდან ჩაგდებების არცთუ მაღალი პროცენტული მაჩვენებელი აქვს, მაგრამ „ბულზთან“ მან რიგიანად ისროლა და ოთხი სროლიდან სამს მეტოქის კალათში მიუჩინა ადგილი.

თავად „ნიუ ჯერსი“ ფილადელფიაში დასაკლავად განწირული ცხვარივით ეახლა იქაურ „სიქსერზს“. ბაირონ სკოტსა და მის შეგირდებს მაშინღა მიეცათ იმედი, როცა შეიტყვეს, რომ მასპინძელთა ლიდერი ალენ აივერსონი მუხლს იტკივებდა და თავისიანებს ვერაფრით დაეხმარებოდა, თუმცა შეხვედრის პირველივე მეოთხედის შემდეგ ყურები ჩამოყარეს. მასპინძლებმა უაივერსონობა არ დაიტყვეს, მეტოქეს მატჩის დაწყებისთანავე შტურმი მოუწყვეს და თორმეტწუთეულში 30 ქულა ჩაუგდეს, თავად კი საკუთარ კალათში ოდენ 12 მიიღეს.

როგორც ხედავთ, „ფილადელფიამ“ დასაწყისშივე მოუთავა ხელი მეტოქეს და შეხვედრა აუღელვებლად მიიყვანა ბოლომდე. მასპინძლებმა მხოლოდ ბოლო მეოთხედში მოიდინეს ცოტაოდენი ოფლი. სტუმართა ლიდერი სტივენ მარბერის პირველ ნახევარში მხოლოდ ოთხ ქულას დასჯერდა, მესამე მეოთხედში კი გადაირია, თავის გუნდს 21 ქულა მოუტანა და „ნიუ ჯერსიმ“ სხვაობა ექვს ქულამდეც დაიყვანა. მასპინძლებმა რომ შეიტყვეს, ესენი სახიფათოდ დაგვიახლოვდნენო, იკადრეს და კვლავ მოწყდნენ მეტოქეს.

„ჩიკაგოსთან“ შეხვედრა კი სრულიად სხვაგვარი სცენარით წარიმართა, აქ სტეფანიას გუნდი, როგორც სურდა, ისე ატრიალებდა მეტოქეს. პირველი ნახევარი „ბადეებმა“ 37:23 მოიგეს და არც მერე გაუშვიათ მატჩის სადავეები ხელიდან. ის კი არა, სტივენ მარბერიმ თავისი ხუთწლიან კარიერაში ორი რეკორდიც დაამყარა — 11 მოხსნა და პირველი სამმაგი დუბლი. მანამდე მარბერის ეს არასდროს გაეკეთებინა, რადგან ამპლუით გამთამაშებელს ყოველთვის უჭირდა ბურთის მოხსნა, უსახურ „ჩიკაგოსთან“ კი, რომელსაც ლიგაში ყველაზე სუსტი შემადგენლობა ჰყავს, 188-სანტიმეტრიან სტივენს ფარზე ბრძოლა არ გასჭირვებია. ამასთან, მან 33 ქულას მოუყარა თავი და სეზონში მეთერთმეტედ გადააბიჯა 30-ქულიან ზღურბლს. მარბერის არც კეით ვან ჰორნი ჩამორჩა და 31 ქულით სეზონის რეკორდი გაიუმჯობესა. მათმა „ნიუ ჯერსიმ“ კი ბოლო ოთხ თამაშში მესამედ იმარჯვა. რაც შეეხება „ჩიკაგოს“, მისთვის ეს მარცხი ზედიზედ მერვე გახლდათ.

მომდევნო შეხვედრას „ნიუ ჯერსი“ 23 იანვარს საკრამენტოში იქაურ „კინგზთან“ ჩაატარებს. ვოვა სტეფანიას იქ იუგოსლაველ ცენტრ ვლადე დივაცთან მოუწევს შეჭიდება.

19 იანვარი

**შარლოტი 98:105 მილუოკი**

შარლოტი: მაშბურნი (26 ქულა, 10 მოხსნა, 10 პასი), ვესლი (23), დევისი (18)

მილუოკი: კასელი (23), რობინსონი (20), ჰანტერი (17)

**ტორონტო 101:79 ვაშინგტონი**

ტორონტო: კარტერი (25)

ვაშინგტონი: ჰოვარდი (14)

**დეტროიტი 91:97 ნიუ იორკი**

დეტროიტი: სტეკჰაუზი (37 ქულა, 10 პასი), სმიტი (17 ქულა, 10 მოხსნა)

ნიუ იორკი: ჰიუსტონი (34), რაისი (18)

**სიეტლი 93:98 მინესოტა**

სიეტლი: პატერსონი (23), მეისონი (22), ბეიკერი (16)

მინესოტა: პილერი (24), ბრენდონი (21), გარნეტი (16 ქულა, 17 მოხსნა)

**დენვერი 91:88 კლივლენდი**

დენვერი: მაკდაიესი (20 ქულა, 16 მოხსნა), ვან ექსელი (19 ქულა, 10 პასი)

კლივლენდი: მილერი (17)

**ფინიქსი 95:103 გოლდენ სტეიტი**

ფინიქსი: რობინსონი (30), როჯერსი (23), მარიონი (18 ქულა, 10 მოხსნა)

გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (24 ქულა, 13 მოხსნა), ჯეკსონი (20 ქულა, 16 მოხსნა), სურა (18)

**ვანკუვერი 86:97 მაიამი**

ვანკუვერი: რივზი (21)

მაიამი: ჯონსი (26), მეისონი (16 ქულა, 11 მოხსნა)

**ლეიკერსი 114:101 ჰიუსტონი**

ლეიკერსი: ონილი (41 ქულა, 11 მოხსნა), ბრაიანტი (29)

ჰიუსტონი: ფრენსისი (27), მობლი (18)

ძლევამოსილ სვლას აგრძელებს „მილუოკი“. ამ პარასკევს „ბაქსმა“ მორიგი, ზედიზედ მეექვსე და ამასთან, ერთობ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა შარლოტში იქაურ „კრაზანებთან“. მნიშვნელოვანი, რადგან „მილუოკი“ დღესდღეობით ცენტრალურ დივიზიონს ლიდერობს, „შარლოტი“ კი მისი უმთავრესი მოცილე გახლავთ. ამ გამარჯვებით „ბაქსმა“ პირველობა განიმტკიცა, „შარლოტმა“ კი ზედიზედ მეოთხე მარცხი იწვნია და ახლა „კრაზანების“ ბუდეში დიდი არეულობაა. შარლოტელები პანიკაში თუ არა, გვარიანად დამფრთხალნი მაინც არიან და ეს ამ თამაშშიც გამოჩნდა. მასპინძლები ორ მძლავრ მეფარეს — სურდოშეყრილ ელდენ კემპბელსა და ფეხმტკივან დერიკ კოულმენს მოისაკლისებდნენ და ალბათ, ამის გამო თავიანთი თავის იმედი ნაკლებად ჰქონდათ. „მილუოკიმ“ პირველი ნახევარი თორმეტი ქულის სხვაობით მოიგო. მასპინძლებმა, მართალია, მოახერხეს ამ დეფიციტის დაფარვა და მესამე მეოთხედის მიწურულს 73:71 დაწინაურდნენ კიდეც, მაგრამ ბოლო მეოთხედი აშკარად ჩააფლავეს. სტუმართა თავდამსხმელმა ჯეისონ კეფიმ დასკვნით თორმეტწუთეულში ცხრა ქულა მიითვალა და სულ მთლად წაუხდინა ნირი „კრაზანებს“. კეფის მშვენივრად აუბა მხარი დაბალმა თანაგუნდელმა, სემ კასელმა, ერთ მონაკვეთში ზედიზედ 11 ქულა ჩაუგდო მასპინძლებს და თავისიანებს ეს მონაკვეთი 11:4 მოაგებინა, რის შემდეგაც „ბაქსი“ ცხრა ქულით დაწინაურდა და თამაშმა აზრი დაკარგა.

„მილუოკისა“ და „შარლოტის“ დარად, მნიშვნელოვანი მატჩი ჰქონდათ „სიეტლსა“ და „მინესოტას“, ოღონდ თუ პირველი ორი დივიზიონში პირველობისთვის იბრძვის, ბოლო ორს კონფერენციის რვა მოწინავეს შორის ყოფნაც აკმაყოფილებს. „სიეტლი“ და „მინესოტა“ ერთმანეთის უშუალო, ამასთან, პრინციპული მეტოქეები არიან და აი, ასეთ შეხვედრაში „სიეტლმა“ გერი პეიტონი მოისაკლისა. ეს ტრავმის გამო არ მომხდარა, გერი თუ მოედანზე არ არის (თავის ათწლიან კარიერაში მხოლოდ სამი შეხვედრა გამოტოვა), მხოლოდ დისკვალიფიკაციის გამო და ასე იყო ახლაც. წინა მატჩში პეიტონი ერთ დროს თავის შემცვლელს, აწ კი „სიეტლის“ მთავარ მწვრთნელს გაუგებარი მიზეზის გამო ყველას თანდასწრებით აუხირდა და კლუბმაც ერთი თამაშის გამოტოვებით დასაჯა. უპიმისობა „სონიქსს“ თვალნათლივ დაეტყო. „ცოტა უცნაურია, ამ ქალაქში სათამაშოდ ჩამოხვიდე და გერის ვერსად მოჰკრა თვალი. მისმა არყოფნამ ჩვენ გაცილებით გაგვიიოლა საქმე, პეიტონი არა მარტო „სონიქსის“, არამედ მთელი ქალაქის სპორტული სიმბოლოა, რადგან სიეტლის არც ერთ პროფესიულ გუნდს ასეთი დონის მოთამაშე არ ჰყავს“ — ამბობდა მინესოტელი კევინ გარნეტი, რომელიც პეიტონს კარგად იცნობს, თუნდაც სიდნეის ოლიმპიადიდან, სადაც ისინი თანაგუნდელები იყვნენ. გარნეტი მართალი იყო. უპეიტონო „სიეტლმა“ მის „მინესოტას“, მართალია, დიდი წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ გამარჯვებისთვის ძალები აღარ ეყო. აქ პეიტონმა დაასრულა ზედიზედ ჩატარებული 356-მატჩიანი სერია, რომელიც ყველაზე გრძელია მოქმედ კალათბურთელთა შორის.



ლეიკერსი — მაიამი. კობი ბრაიანტი (მარცხნივ) და მაიამელი ენტონი მეისონი

ლიდერი მოისაკლისა კიდევ ერთმა დასავლელმა „ფინიქს სანზმა“. ჯეისონ კიდის არყოფნამ ისევე იმოქმედა „ფინიქსის“ თამაშის ხარისხზე, როგორც პეიტონისამ — „სიეტლისაზე“. არც კიდს მიუღია ტრავმა. იგი სხვა რამით იტანჯება — ამას წინათ ცოლი შემოელახა და ლამის საციხოდ გაუხდა საქმე. მართალია კალათბურთელმა დანაშაული მოინანია და სახალხოდ ბოდიშიც მოიხადა, მაგრამ როგორც თავად ამბობს, მისი ბოდიში მეუღლეს ფიზიკურ თუ სულიერ ტკივილს ვერ მოუშუშებს. ამიტომ კალათბურთელს გადაუწყვეტია, ცოტა ხნით მაინც დაანებოს თავი მეტოქეთა რბევას და საყვარელ ადამიანთან ძველი ურთიერთობა აღადგინოს. მას არ უთამაშია, „გოლდენ სტეიტთან“, რაც საკმარისი გახდა, რომ „ფინიქსს“ წაეგო მეტოქესთან, რომელსაც ბოლო ექვსი თამაშია, არ მოუგია. ის კი არა, კიდი არ მიჰყვება თავის გუნდს ექვსთამაშიან გასვლით ტურნეზე. იქნებ გუნდმა მას ეს არ აპატიოს, მაგრამ ლიგის ერთ-ერთი უძლიერესი მოთამაშე თავისას მაინც არ იშლის.

20 იანვარი

**პორტლენდი 101:111 საკრამენტო**

პორტლენდი: ვოლესი (25, სტუდემაიერი (21), საბონისი (18)

საკრამენტო: ვებერი (34 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი), სტოიაკოვიჩი (20)

**სან ანტონიო 109:112 ორლანდო**

(ძირითადი დრო 96:96)

სან ანტონიო: დანკანი (29 ქულა, 17 მოხსნა), რობინსონი (28 ქულა, 17 მოხსნა, 6 დაფარება)

ორლანდო: მაკგრეიდი (38)

**დალასი 97:79 დენვერი**

დალასი: ნოვიცკი (27 ქულა, 12 მოხსნა), ფინლი (23)

დენვერი: ვან ექსელი (16)

20 იანვარი დასავლელ ბობოლათათვის ერთობ ნავსიანი გამოდგა. ორმა მათგანმა — „პორტლენდმა“ და „სან ანტონიომ“ წაიფორხილა, მაგრამ თუ პირველის მარცხი [illegible] „საკრამენტოსთან“ არცთუ დიდი მოულოდნელობა გახლდათ, მეორეს შინაური წაგება „ორლანდოსთან“ ნამდვილ სენსაციად უნდა მოინათლოს. ექსჩემპიონი „სფურზი“ უკვე პირველი მეოთხედის შემდეგ 12 ქულით აგებდა და მთელი დარჩენილი დრო ამ სხვაობის გაქვითვას მოანდომა, მატჩი ოვერტაიმშიც კი გადაიყვანა, მაგრამ იქ დამარცხდა. ეს „სან ანტონიოს“ ზედიზედ მეოთხე მარცხი გახლდათ. ერთბაშად ამდენი მატჩი „სფურზს“ ბოლო სამნახევარი საზონია, არ წაუგია, ანუ მას შემდეგ, რაც ტიმ დანკანი ჰყავს. ამ სეზონში დანკანი ინერტულად ირჯება, „ორლანდოსთან“ კი ოფლის მოდენა იკადრა და რიგინადაც ითამაშა. მას არც თანაგუნდელი დევიდ რობინსონი ჩამორჩა, თუმც ორივე გიგანტი 21 წლის ორლანდოელმა ტრეისი მაკგრეიდიმ დაჩრდილა.

21 იანვარი

**ნიუ იორკი 74:87 ინდიანა**

ნიუ იორკი: ჯონსონი (22), სპრიუელი (18)

ინდიანა: როუზი (24)

**ვაშინგტონი 94:90 ატლანტა**

ვაშინგტონი: ჰამილტონი (29), ჰოვარდი (25), ვიტნი (18)

ატლანტა: ნაითი (31 ქულა, 10 პასი)

**ფილადელფია 106:110 ტორონტო**

(ძირითადი დრო 96:96)

ფილადელფია: აივერსონი (51)

ტორონტო: კარტერი (39 ქულა, 10 მოხსნა, 8 პასი)

**იუტა 109:98 ფინიქსი**

იუტა: მელოუნი (30)

ფინიქსი: როჯერსი (27), რობინსონი (20)

**ლეიკერსი 92:103 მაიამი**

ლეიკერსი: ბრაიანტი (34), ონილი (31)

მაიამი: ჯონსი (26), მეისონი (23), ჰარდევეი (22)

**გოლდენ სტეიტი 94:91 ბოსტონი**

გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (31)

ბოსტონი: პირსი (28 ქულა, 11 მოხსნა), უოლკერი (23)

**ვანკუვერი 94:96 მინესოტა**

ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (24 ქულა, 11 მოხსნა), დიკერსონი (24)

მინესოტა: გარნეტი (20), ბრენდონი (20)

**დეტროიტი 98:102 მილუოკი**

დეტროიტი: ბაროსი (22), ეტკინსი (19)

მილუოკი: რობინსონი (26), კასელი (20)

**სიეტლი 109:107 საკრამენტო**

სიეტლი: პეიტონი (30), პატერსონი (21 ქულა, 11 მოხსნა)

საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (30), ვებერი (25 ქულა, 18 მოხსნა, 5 დაფარება)

21 იანვარს „ტორონტოსთან“ შინაურ შეხვედრაში ფილადელფიელმა ალენ აივერსონმა 51 ქულას მოუყარა თავი და მწვრთნელ ლარი ბრაუნს ნიშნსაც მოუგებდა, რომ არა ერთი გარემოება — „ფილადელფიამ“ წააგო. ბრაუნმა, როგორც ყოველთვის, ახლაც გააკრიტიკა ურჩი შეგირდები და ამის საკმაო მიზეზიც ჰქონდა. „მარტო ეგ ვერაფერს მოიგებს, მარტოს არავის არაფერი მოუგია. ეგ კი ბურთს ხელიდან არ უშვებს და თითქოს ქუჩაში იყოს, ერთი ეთამაშება ხუთ კაცს. ამ დროს კი მისი თანაგუნდელები წინ და უკან უთავბოლოდ დარბიან და მის ოინბაზობას შეჰყურებენ“ — ამბობდა ლარი ბრაუნი. მას ტორონტოელი კოლეგა ლენი ვილკენსიც დაეთანხმა: „აივერსონი ოვერტაიმში მარტო გვეთამაშებოდა და ამან გაცილებით გააიოლა ჩვენი საქმე“.

ასეც იყო. აივერსონმა ოვერტაიმში ათი ქულა ჩააგდო, სხვა მასპინძელთაგან ქულაც არავის გაუკეთებია, „ტორონტომ“ კი მშვენივრად ისარგებლა ამით. არადა, დამატებით დრომდე საქმე თითქოს არც უნდა მისულიყო, „ფილადელფია“ თავიდანვე სჯობნიდა მეტოქეს და უკვე საწყისი მეოთხედის შემდეგ 16 ქულის სხვაობითაც უგებდა. მერე კი აივერსონმა თავისებურად გაუტია და დიდგულობამ რაც მოუტანა, ამას შეხვედრის ანგარიშიც აჩვენებს.

წინადღით მარცხნაჭამ დასავლელ ბობოლებს 21 იანვარს „ლეიკერსიც“ შეუერთდა. უკვე უცხო თვალიც კარგად ხედავს, რომ ჩემპიონთა სამზარეულოში ყველაფერი რიგზე ვერ არის: ლოსანჯელესელები დაცვაში თამაშს უარობენ, „მაიამი“ კი ერთ-ერთი მრავალთაგანი აღმოჩნდა, რომელმაც ამით კარგად ისარგებლა.

**ირაკლი ფირაშვილი**

# ჩრდილოეთი ევროპის ჩრდილში

## ბელარუსები, ესტონელები და ბასკო ბათუმში შეიყრებიან

NEBL

**ვილნიუსში** გაიმართა ჩრდილოეთ ევროპის საკალათბურთო ლიგის (NEBL) მეორე დივიზიონის, იგივე „ჩელენჯ კაპის" კენჭისყრა. ამ ლიგაში მოთამაშე ერთადერთ ქართულ გუნდს, ქვეყნის ჩემპიონ ბათუმის „ბასკოს" მეტოქეებად „გროდნო 93" (ბელარუსი), ტარტუს „დელტა" (ესტონეთი) და „მინსკი" (ბელარუსი) ერგო. ეს გუნდები პირველ ჯგუფში მოხვდნენ, რომლის თამაშებიც, ლიგის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით, 16-18 თებერვალს გაიმართება ბათუმში. მეორე ჯგუფის გუნდები ნორვეგიაში ითამაშებენ, მესამე ჯგუფის — გერმანიაში.

პირველ ეტაპზე თითო ჯგუფში თითო ტური მოეწყობა. ჯგუფიდან სამი საუკეთესო მეორე ეტაპზე გავა. მათ დაემატება NEBL-ის პირველი დივიზიონის ექვსი აუტსაიდერი და სკანდინავიის ლიგის ჩემპიონი. თექვსმეტი გუნდი ოთხ ჯგუფად დაიყოფა და ორ-ორი საუკეთესო გავა მეოთხედფინალში. ამ ეტაპზე თამაშები პლეი ოფის სისტემით, მიმოსვლით მოეწყობა. გამარჯვებულები „ოთხთა ფინალში" ითამაშებენ და „ჩელენჯ კაპის" ჩემპიონს გამოავლენენ. NEBL-ის პირველ დივიზიონში კი ექვსი გუნდი გადავა — „ოთხთა ფინალის" მონაწილეებს მეოთხედფინალში დამარცხებული ორი საუკეთესო დაემატებათ.

# მუხლმტკივანი ბოისა დილაობით ოლიმპიელია

## გაფუჭებულმა ტაბლომ ტულუშის დებიუტი გადადო

**ლიუბლიანის** „სლოვანის" ქართველი ფორვარდის, ვლადიმერ ბოისას მარცხენა მუხლს არა და არ დაადგა საშველი. ტრავმამორჩენილმა ვლადიმერმა 2000 წლის ბოლო ტურში, 27 დეკემბერს ითამაშა „ლოკა კავას" წინააღმდეგ და ტკივილმაც უმალ შეახსენა თავი. მას შემდეგ „სლოვანმა" ორი მატჩი ითამაშა, ბოისას კი არც ერთში მიუღია მონაწილეობა. იგი მკურნალობს და ამის გამო ერთობ შეზღუდულად ვარჯიშობს — მხოლოდ ბურთის სროლის და შტანგით მუშაობის საშუალება აქვს. სლოვენიელმა ექიმებმა კიდევ ერთხელ გამოიკვლიეს ქართველი კალათბურთელის მუხლი და დაასკვნეს, საოპერაციო არ ხარო. ბოისას კვირაში ერთხელ მუხლში ნემსს უკეთებენ, რომელიც, მისივე თქმით, საკმაოდ მოუხდა. როდის დაიწყებს თამაშს ვლადიმერი, ჯერჯერობით უცნობია.

ამ დღეებში ბოისას დაუკავშირდა მისი მფლობელი გუნდის, ლიუბლიანის „ოლიმპიას" ხელმძღვანელობა, ჯანმრთელობის ამბავი გამოკითხა და უთხრა, ამიერიდან დილაობით ჩვენთან ივარჯიშებო. ამასობაში ბოისას მენეჯერმა აცნო, შენით გერმანული კლუბი, ფრანკფურტის „სკაილაინერზია" დაინტერესებული და რომ მორჩები, შესაძლოა, გერმანიაში მოგიხდეს წასვლა გასინჯვა-მოლაპარაკებებისთვისო. შეგახსენებთ, რომ „სკაილაინერზი" ევროლიგაში თამაშობდა, მაგრამ მეორე ეტაპზე ვერ გავიდა.

შაბათს, სლოვენიის ჩემპიონატის მე-16 ტურში „სლოვანს" არ უთამაშია. მას „კრაშკი ზიდარისთვის" უნდა ემასპინძლა, მაგრამ შეხვედრა გადაიდო — „კოდელიევოს" დარბაზში ტაბლო გაფუჭდა. მატჩი 27 იანვარს გაიმართება. ასე გადაიდო „სლოვანის" კიდევ ერთი ქართველი წევრის, უკანახაზელ კოტე ტულუშის დებიუტი სლოვენიის ჩემპიონატში. ტულუშს იმდენად მოუწონებია თავი „სლოვანის" მწვრთნელ ტომო მაჰორიჩისთვის, რომ ამ უკანასკნელმა ქართველის ოფიციალურ შეხვედრაში გამოყვანა გადაწყვიტა. სლოვენიაში, მოგეხსენებათ, უცხოელ კალათბურთელებზე ლიმიტია დაწესებული — გუნდს ოთხი ლეგიონერის გამოყვანა შეუძლია. ჰოდა, სანამ ბოისა ტრავმირებულია, მის, როგორც უცხოელის ადგილს ტულუში დაიკავებს. სხვათა შორის, კოტეს თორმეტი ნომრით უნდა ეთამაშა, იმავე ნომრით, რომლითაც ბოისა ასპარეზობს.



ვლადიმერ ბოისა

# საკალათბურთო ქართლოს-ჰაოსიანა

## საქართველოს ბავშვთა ლიგა საერთაშორისო რანგს იძენს

**მიმდინარე** საკალათბურთო სეზონში რიგით VI ჩემპიონატს ატარებს საქართველოს ბავშვთა საკალათბურთო ლიგა, რომელიც სამ ასაკობრივ ჯგუფად არის დაყოფილი. თითოეულში 24 გუნდი მონაწილეობს.

გვესაუბრება საქართველოს ბავშვთა საკალათბურთო ლიგის პრეზიდენტი მერაბ კეკელიძე:

„სამ ასაკობრივ ჯგუფად დაყოფილი ჩემპიონატის პირველ ჯგუფში მოხვდნენ უფროსი ასაკის კალათბურთელები, რომლებიც 1984-1985 წლებში არიან დაბადებულნი. მეორე, ანუ საშუალო ასაკის ჯგუფში 1986-1987 წლებში დაბადებულნი ასპარეზობენ. უმცროსი ასაკის ჯგუფს კი 1987 წელს დაბადებულნი შეადგენენ. ასპარეზობა ეროვნული ჩემპიონატის ანალოგიური სისტემით ტარდება. სეზონის ბოლოს თითოეულ ჯგუფში ოთხი საუკეთესო გუნდი პირველობას პლეი ოფის პრინციპით გაითამაშებს, ამჟამად კი ჩემპიონატში შესვენებაა გამოცხადებული და მისი განახლება თებერვლის პირველ რიცხვებში გვაქვს დაგეგმილი. აღსანიშნავია, რომ ახალი წლიდან უფროს ასაკობრივ ჯგუფში თამაშის სურვილი გამოთქვეს სომხეთის წარმომადგენლებმა. ჯერჯერობით სომხების ჩემპიონატში ჩართვა მოლაპარაკების დონეზეა და თუ ისინი მონაწილეობის მიღებას გადაწყვეტენ, ჩვენი მხრიდან პრობლემა არ ექნებათ.

სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ყოველ ჩემპიონატში საქართველოს ახალ-ახალი რეგიონები მონაწილეობენ. წლეულს ჩემპიონატში პირველად ჩაერთვნენ ახმეტის, წალენჯიხის, ბორჯომის, სამტრედიის და ონის გუნდები. მადლობის მეტი რა მეთქმის ზუგდიდის და ხაშურის წარმომადგენლების მიმართ, რომელთაც სამივე ასაკობრივ ჯგუფში თამაშობენ. ზოგიერთმა რაიონმა კი (ზუგდიდი, წალენჯიხა, ხაშური) ჩემპიონატის ტურებსაც კი უმასპინძლა და მომავალშიც აპირებს იგივეს. სავალალო სიტუაციაა ქუთაისში, რომლის ჭაბუკები აგერ უკვე რამდენიმე წელია, ჩემპიონატში არ მონაწილეობენ. არადა, ვინ იფიქრებდა, რომ ერთ დროს ქართული კალათბურთის მექად ქცეული ქუთაისი ვაჟთა კალათბურთზე გულს ასე აიყრიდა.

ბავშვთა ლიგის პირველ ჩემპიონატში ჭაბუკების პარალელურად გოგონებმაც იასპარეზეს. მომდევნო წლებში ქალთა კალათბურთში შექმნილი პრობლემების გამო შემცირდა გოგონათა ჯგუფები და ლიგის ჩემპიონატებიც აღარ ტარდებოდა. ამჯერად ლიგის ხელმძღვანელებისა და გოგონათა გუნდების მწვრთნელთა ერთობლივი ძალისხმევით კვლავ განახლდა პირველობა, სადაც 12 გუნდი მონაწილეობს. ჭაბუკებისგან განსხვავებით, ქუთათურები აქ ასპარეზობენ და თბილისელებთან ერთად ფავორიტებადაც არიან მიჩნეულნი. მათ გარდა ჩემპიონატში მონაწილეობენ ბათუმის, ბორჯომის, თელავის და გორის გუნდები.

აღსანიშნავია, რომ ბავშვთა ლიგაში ჭაბუკ კალათბურთელებთან ერთად ოსტატობას იმაღლებენ ახალგაზრდა არბიტრები. ბევრი მათგანი დღეს უმაღლესი ლიგის წამყვანი მსაჯია. კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა მსაჯობს ჩვენს ჩემპიონატს და იმედია, რომ მათი რიგები კიდევ უფრო შეივსება."

**როლანდ ლაბუჩიძე**


რესტორანი მზიანი ღამე






განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით
დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3
(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)

მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### ინგლისი. პრემიერლიგა
24 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 001 | ასტონ ვილა-ლიდსი | 2,2 | 2,9 | 3,2 |

### ინგლისი. II დივიზიონი
23 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 002 | ბერი-ბრენტფორდი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 23.45 | 003 | კემბრიჯი-ბორნმუთი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 23.45 | 004 | კოლჩესტერი-სუინდონი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 23.45 | 005 | ოლდემი-ლუთონი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 23.45 | 006 | უოლსოლი-როტერჰემი | 1,7 | 3,1 | 4,2 |

### ინგლისი. III დივიზიონი
23 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 007 | მენსფილდი-კიდერმინსტერი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 23.45 | 008 | შრიუსბერი-კარდიფი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 23.45 | 009 | იორკი-ჩესტერფილდი | 3,4 | 3,1 | 1,9 |

### ესპანეთი. I დივიზიონი
24 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 010 | რეალი-სარაგოსა | 1,35 | 4,0 | 7,5 |

### ინგლისი. თასის 1/32 ფინალი. გადათამაშება
23 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 011 | ნოთსი-უიმბლდონი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 23.45 | 012 | სკანთორპი-ბარნლი | 3,2 | 3,2 | 2,0 |

### ინგლისი. ლიგის თასის 1/2 ფინალი. II მატჩი
24 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 013 | ლივერპული-კრისტალ პალასი | 1,15 | 5,6 | 10,0 |

### იტალია. თასის 1/2 ფინალი. I მატჩები
24 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 014 | უდინეზე-პარმა | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| | | 25 იანვარი | | | |
| 24.00 | 015 | მილანი-ფიორენტინა | 1,8 | 2,9 | 4,4 |

### პორტუგალია. თასის 1/8 ფინალი. გადათამაშება
23 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 016 | პორტუ-ბენფიკა | 1,7 | 3,0 | 4,4 |

### ჰოლანდია. თასის 1/8 ფინალი
24 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 017 | პსვ ეინდჰოვენი-დენ ბოსხი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | | 25 იანვარი | | | |
| 23.30 | 018 | ნაიმეგენი-ფეიენოორდი | 4,2 | 3,1 | 1,7 |

### ბელგია. თასის 1/4 ფინალი
23 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 019 | ლომელი-ლოკერენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

24 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 020 | გენკი-სერკლ ბრიუგე | 1,35 | 4,0 | 6,5 |
| 23.00 | 021 | ვესტერლო-სენტ ტრუიდენი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 23.30 | 022 | ბეერსხოტი-ანდერლეხტი | 4,0 | 3,2 | 1,75 |

### საბერძნეთი. თასის 1/8 ფინალი. II მატჩები
24 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 023 | იანინა-ირაკლისი | 3,0 | 2,9 | 2,3 |
| 20.00 | 024 | პანათინაიკოსი-პანიონიოსი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 20.00 | 025 | იონიკოსი-ქსანტი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 20.00 | 026 | პაოკ-არისი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 20.00 | 027 | ოლიმპიაკოსი-აეკ | 1,65 | 3,1 | 4,7 |

### კალათბურთი
23 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 801 | ბოსტონი-ატლანტა | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 04.00 | 802 | ვაშინგტონი-შარლოტი | 2,5 | 12,0 | 1,3 |
| 04.30 | 803 | ორლანდო-ტორონტო | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 05.00 | 804 | დალასი-ფილადელფია | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 05.00 | 805 | მილუოკი-ნიუ იორკი | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 05.00 | 806 | მინესოტა-ფინიქსი | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 05.00 | 807 | სიეტლი-ლეიკერსი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 05.30 | 808 | ჩიკაგო-პორტლენდი | 3,1 | 12,0 | 1,2 |
| 05.30 | 809 | სან ანტონიო-ვანკუვერი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 06.00 | 810 | დენვერი-ჰიუსტონი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 06.00 | 811 | იუტა-გოლდენ სტეიტი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 07.30 | 812 | საკრამენტო-ნიუ ჯერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |

24 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 813 | კლივლენდი-ჩიკაგო | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 04.30 | 814 | დეტროიტი-ფინიქსი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 04.30 | 815 | მაიამი-ტორონტო | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 05.00 | 816 | შარლოტი-ნიუ იორკი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 05.30 | 817 | ჰიუსტონი-ფილადელფია | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 07.30 | 818 | გოლდენ სტეიტი-ნიუ ჯერსი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 07.30 | 819 | კლიპერსი-სიეტლი | 2,0 | 12,0 | 1,4 |
| | | 25 იანვარი | | | |
| 05.00 | 820 | დალასი-ვანკუვერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 05.00 | 821 | ინდიანა-პორტლენდი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 05.00 | 822 | მინესოტა-ორლანდო | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 06.00 | 823 | იუტა-დენვერი | 1,2 | 12,0 | 3,1 |
| 07.30 | 824 | საკრამენტო-სან ანტონიო | 1,25 | 12,0 | 3,1 |

### კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები
24 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 825 | ბულგარეთი-ჰოლანდია | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 20.30 | 826 | საბერძნეთი-ავსტრია | 1,02 | 12,0 | 7,5 |
| 21.00 | 827 | ლატვია-სლოვაკეთი | 1,05 | 12,0 | 6,0 |
| 21.00 | 828 | უნგრეთი-შვეიცარია | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 21.30 | 829 | ესტონეთი-ბელარუსი | 1,05 | 12,0 | 6,0 |
| 21.40 | 830 | ჩეხეთი-პოლონეთი | 1,5 | 12,0 | 1,9 |
| 22.30 | 831 | ბელგია-პორტუგალია | 1,02 | 12,0 | 7,5 |
| 22.55 | 832 | ისრაელი-შვედეთი | 1,02 | 12,0 | 7,5 |
| 23.10 | 833 | სლოვენია-უკრაინა | 1,2 | 12,0 | 3,1 |
| 23.15 | 834 | ხორვატია-ინგლისი | 1,05 | 12,0 | 6,0 |
| 23.30 | 835 | ბოსნია-ფინეთი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 24.00 | 836 | ისლანდია-მაკედონია | 7,5 | 12,0 | 1,05 |

### ჰოკეი
23 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 901 | ბუფალო-კოლუმბუსი | 1,3 | 4,0 | 5,6 |
| 04.30 | 902 | მონრეალი-სენტ ლუისი | 2,6 | 4,0 | 1,75 |
| 04.30 | 903 | აილენდერსი-ოტავა | 2,7 | 4,0 | 1,7 |
| 04.30 | 904 | ტამპა ბეი-ვაშინგტონი | 2,3 | 4,0 | 1,9 |
| 05.00 | 905 | ნეშვილი-ატლანტა | 1,8 | 4,0 | 2,5 |
| 06.00 | 906 | კალგარი-ფინიქსი | 2,1 | 4,0 | 2,1 |

24 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 907 | რეინჯერსი-კაროლინა | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 04.00 | 908 | ვაშინგტონი-ფლორიდა | 1,3 | 4,0 | 5,6 |
| 04.30 | 909 | ტორონტო-ბოსტონი | 1,55 | 4,0 | 3,2 |
| 04.30 | 910 | პიტსბურგი-მონრეალი | 1,5 | 4,0 | 3,4 |
| 04.30 | 911 | დეტროიტი-ნეშვილი | 1,5 | 4,0 | 3,4 |
| 05.00 | 912 | დალასი-ნიუ ჯერსი | 1,8 | 4,0 | 2,5 |
| 07.00 | 913 | ვანკუვერი-ფინიქსი | 1,75 | 4,0 | 2,6 |
| 07.30 | 914 | ანაჰაიმი-მინესოტა | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 07.30 | 915 | სან ხოსე-ედმონტონი | 1,6 | 4,0 | 3,0 |

25 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 916 | ატლანტა-ტორონტო | 2,6 | 4,0 | 1,75 |
| 04.30 | 917 | ტამპა ბეი-ოტავა | 2,6 | 4,0 | 1,75 |
| 05.00 | 918 | სენტ ლუისი-ნიუ ჯერსი | 1,65 | 4,0 | 2,8 |
| 05.30 | 919 | ჩიკაგო-ფილადელფია | 2,5 | 4,0 | 1,8 |
| 07.30 | 920 | ლოს ანჯელესი-კალგარი | 1,55 | 4,0 | 3,2 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა №16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა №30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23. რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61

# ავსტრალიაში რა გინდოდა...



კარლოს მოია და ლეიტონ ჰიუიტი

**გასული** უქმეები ავსტრალიის ღია პირველობის კაცი ფავორიტებისთვის კატასტროფული გამოდგა. მეოთხედფინალის მიღმა დარჩნენ მსოფლიოს მეორე, მესამე, მეოთხე ჩოგნები — მარატ საფინი, პიტ სამპრასი, მაგნუს ნორმანი და მასპინძელთა მყვირალა ჯილა ლეიტონ ჰიუიტი (7).

თუმცა ყველაფერს რიგის მიხედვით მივყვეთ. აწ უკვე 21 წლის მარატ საფინის მეტოქე მერვედფინალში სლოვაკი დომინიკ ჰრბატი იყო. ამ უკანასკნელის თამაშის სტილს კაცი აღმაფრთოვანებელს, ან თუნდაც საინტერესოს ძნელად თუ უწოდებს: რობო — ჩოგბურთელების საუკეთესო ტრადიციებში აღზრდილი ჰრბატი უკანა ხაზიდან საოცარი ძალით, სისწრაფითა და სიზუსტით ბომბავს მეტოქეებს და ფონს ყოველგვარი იმპროვიზაციის ან მაყურებელთა გულის მოსაგები მცირე ხრიკებით გადის.

სეზონის დასაწყისში არცთუ საუკეთესო ფორმაში მყოფი აშშ-ის ღია პირველობის ჩემპიონი საფინი ჰრბატისთან შესაჭიდებლად მზად არ აღმოჩნდა — სტაბილური მეტოქე თითქმის არ ცდებოდა, მხოლოდ მოწოდებისა და აქა-იქ ხეირიანი შემოკლებულის ანაბარა დარჩენილი რუსი კი თავქუდმოგლეჯილი დარბოდა კორტის ერთი კიდიდან მეორეში და, თუ ბოლოს და ბოლოს თავად არ ააცილებდა ბურთს, უღონოდ აყოლებდა თვალს ჰრბატის მეტრონომივით გამოზომილ დარტყმებს.

„სირბილისა და ბურთის უკან გადაგდების მეტი არაფერი მიკეთებია, მგონი, ოფლიც კი ვერ მოვადინე მეტოქეს. ასეთი დონის ჩოგბურთელების წინააღმდეგ ასე აღარ არ თამაშობენ. არ ვიცი, რა მოხდა, ან რატომ გავისარჯე ესოდენ საზიზღრად, ვიცი, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, მალე რაღაც უნდა ვიღონო" — განაცხადა საფინმა 2:6, 6:7 (7:9), 4:6 წაგების შემდეგ.

თუ საფინის მარცხი შესანიშნავ ფორმაში მყოფ ჰრბატისთან მეტისმეტად მოულოდნელი არ ყოფილა, ტოდ მარტინის მიერ პიტ სამპრასის გამწარებას კაცი ძნელად თუ წარმოიდგენდა. ორი ვეტერანი ამერიკელის პირად შეხვედრებში აქამდე ანგარიში 17:2 იყო „პისტოლ პიტის" სასარგებლოდ, თანაც 1995 წლიდან მოყოლებული მას ზედიზედ ცამეტჯერ დაემარცხებინა გვარიანად შეჭალარავებული თანამემამულე.

„იმის ნაცვლად, რომ ჩემი ძლიერი მხარეებით მესარგებლა, პიტთან ყოველ შეხვედრაში, ვცდილობდი, რაღაც განსხვავებულად მეთამაშა. ჩემი მწვრთნელები — ხოსე და დინი მუდამ მიჩიჩინებდნენ, არასწორად იქცევიო, მაგრამ მე ჯიუტად ჩემსას ვაკეთებდი. აჰა, ბოლოს და ბოლოს, მათ დავუჯერე და არც წავაგე" — ასე ახსნა მოულოდნელი წარმატება გამარჯვებულმა.

მართლაც, იმის მაგივრად, ხაზზე მოეკალათებინა, ამჯერად მარტინი ყოველ შესაძლებელ შემთხვევაში ბადესთან გარბოდა, სამპრასს შედარებით სუსტ — ბექჰენდის მხარეს უგდებდა ბურთს და გათამაშებებს როგორც წესი იოლად და სწრაფად იგებდა. შესანიშნავად ირჯებოდა ის მიღებებზეც: მეორე ხელის შუაწელიდან მოყოლებული თითქოს წინასწარ იცნობდა, საით აპირებდა უიმბლდონის შვიდგზის ჩემპიონი მოწოდებას, ბურთს სრულ მზადყოფნაში ხვდებოდა და არანაკლები სისწრაფით აბრუნებდა უკან.

სამპრასთან მუდმივი წაგებების გარდა მარტინი იმითაცაა ცნობილი, რომ უპირატესობას ფლანგავს და გამარჯვების პირას მისული ზედმეტად ნერვიულობს-ხოლმე. ამჯერად კი ზემოთ ნახსენები არც ერთი მავნე ჩვევა აღარ გამოუვლენია — ამერიკელმა მატჩი აუღელვებლად მიიყვანა ლოგიკურ დასასრულამდე 6:7 (2:7), 6:3, 6:4, 6:4.

„არასოდეს მინახავს, ტოდს ჩემს წინააღმდეგ ასე კარგად ეთამაშოს. თავად არცთუ ურიგოდ ვირჯებოდი, მაგრამ მან დღეს აშკარად დამჯაბნა — აღნიშნა იმედგაცრუებულმა სამპრასმა — ცუდია, რომ ასე ადრეულ ეტაპზე გავვარდი, მაგრამ ჩოგბურთიდან წასვლა გულშიც არ გამივლია. წინ კიდევ რამდენიმე წელი მაქვს და მინდა, კარიერის ბოლომდე ორი-სამი დიდი სლემის ტიტულიც მოვიპოვო".

მარტინმა, რომელმაც მატჩის დასრულებისას პიტს ბოდიში მოუხადა დამარცხებისთვის (ის ჩემი მეგობარია და ყოველთვის მწყინს, როცა აგებსო), ამ უკანასკნელის ჩამოწერა მეტად ნაადრევად მიიჩნია: „ვფიქრობ, ანდრე აგასი მეტად კმაყოფილი უნდა იყოს, რომ მეოთხედფინალში სამპრასთან კი არა, ჩემთან მოუხდება შებრძოლება. შვებით ამოისუნთქავდნენ სხვებიც. ჩემი აზრით, პიტი ახლაც საუკეთესოა მსოფლიოში".

გასული სამი დღის საუკეთესო მატჩი კი მელბურნში მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგნის, კარლოს მოიას და 19 წლის ადელაიდელი ლეიტონ ჰიუიტის მარათონული ჯახი იყო. შეხვედრამ 3 საათსა და 48 წუთს გასტანა და ადგილობრივი დროით ღამის ორის ნახევარზედა დასრულდა

ჰიუიტმა მთელი მატჩის მანძილზე ლამის თითოეული გათამაშების მერე გულში მჯიღი იცა და იღრიალა, ხან ჩოგანი ურტყა კორტს და მსაჯს უწმაწური სიტყვებით გაუმასპინძლდა, იმდენი ირბინა, ავსტრალიას გადასერავდა, თუმცა მოიას მოწოდებასა და მკვლელ ფორჰენდს მაინც ვერაფერი მოუხერხა.

მანამდე ხმის ამოუღებლად, მთელი ყურადღებით მოთამაშე ესპანელმა ემოციებს გასაქანი მხოლოდ უკანასკნელი გათამაშების მერე მისცა, როცა 4:6, 6:1, 5:7, 6:2, 7:5 მოიგო — მუხლზე დაიჩოქა, ხმამაღლა შეჰყვირა და ბენდენა კორტზე დააგდო: „არაჩვეულებრივი შეხვედრა იყო, ბოლომდე ვიბრძოლე, არ დავნებდი და შედეგიც მოვიმკე. ასე ჯანმრთელად, თანაც ბედნიერად 1998-ში „რლან გაროსის" მოგების შემდეგ არ მიგრძვნია თავი. მე დავბრუნდი".

მესამე წრე

**კაცები: მაგნუს ნორმანი (4, შვედეთი) — ალექს კალატრავა (ესპანეთი) 7:6 (7:2), 3:6, 7:6 (7:2), 6:3; ევგენი კაფელნიკოვი (5, რუსეთი) — კრის ვუდრაფი (აშშ) 6:7 (3:7), 7:5, 6:2, 6:3; კარლოს მოია (ესპანეთი) — ლეიტონ ჰიუიტი (7, ავსტრალია) 4:6, 6:1, 5:7, 6:2, 7:5; ანდრეას ვინსიგერა (შვედეთი) — უეინ ფერერა (10, სამხრეთ აფრიკა) 6:0, 3:6, 6:4, 6:3; არნო კლემანი (15, საფრანგეთი) — როჯერ ფედერერი (შვეიცარია) 7:6 (7:5), 6:4, 6:4; სებასტიან გროჟანი (16, საფრანგეთი) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 6:4, 6:1, 6:4; რაინერ შუტლერი (გერმანია) — დანიელ ნესტორი (კანადა) 6:4, 6:2, 7:5; გრეგ რუზედსკი (ინგლისი) — ლარს ბურგსმიულერი (გერმანია) 6:1, 6:2, 6:1.**

**ქალები: მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — ვირჟინი რაზანო (საფრანგეთი) 7:5, 6:1; ვინუს უილიამსი (3, აშშ) — დენიზა ხლადკოვა (ჩეხეთი) 6:4, 6:1; სერენა უილიამსი (6, აშშ) — ტამარინ ტანასუგარნი (ტაილანდი) 6:1, 6:4; პაოლო სუარესი (არგენტინა) — მარი პირსი (7, საფრანგეთი) 6:3, 6:2; დაია ბედანოვა (ჩეხეთი) — ელენა დემენტიევა (9, რუსეთი) 2:6, 7:6 (7:5), 6:3; ამანდა კუტცერი (10, სამხრეთ აფრიკა) — მარლინ ვაინგარტნერი (გერმანია) 6:2, 6:4; ამელი მორესმო (13, საფრანგეთი) — ივა მაიოლი (ხორვატია) 6:4, 6:2; რიტა გრანდე (იტალია) — ევი დომინიკოვიჩი (ავსტრალია) 6:3, 6:4**

მერვედფინალი

**კაცები: დომინიკ ჰრბატი (14, სლოვაკეთი) — მარატ საფინი (2, რუსეთი) 6:2, 7:6 (8:6), 6:4; ტოდ მარტინი (აშშ) — პიტ სამპრასი (3, აშშ) 6:7 (2:7), 6:3, 6:4, 6:4; ანდრე აგასი (6, აშშ) — ენდრიუ ილი (ავსტრალია) 6:7 (1:7), 6:3, 6:0, 6:3; პატრიკ რაფტერი (12, ავსტრალია) — ტიმ ჰენმანი (8, ინგლისი) 6:2, 6:3, 6:3; ევგენი კაფელნიკოვი — ანდრეას ვინსიგერა 7:5, 7:5, 6:1; არნო კლემანი — გრეგ რუზედსკი 6:3, 6:2, 7:5; კარლოს მოია — რაინერ შუტლერი 7:6 (7:2), 6:3, 6:4; სებასტიან გროჟანი (16, საფრანგეთი) — მაგნუს ნორმანი (4, შვედეთი) 7:6 (9:7), 6:3, 0:6.**

**ქალები: ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — კიმ კლაისტერსი (15, ბელგია) 6:4, 6:0; მონიკა სელეში (4, აშშ) — ჟიუსტინ ენენი (ბელგია) 4:6, 6:4, 6:4; ანა კურნიკოვა (8, რუსეთი) — ბარბარა რიტნერი (გერმანია) 6:3, 6:1; ჯენიფერ კაპრიატი (12, აშშ) — მართა მარერო (ესპანეთი) 7:5, 6:1; მარტინა ჰინგისი — რიტა გრანდე 6:0, 6:3; ვინუს უილიამსი — ამელი მორესმო 6:2, 3:6, 6:3; სერენა უილიამსი — დაია ბედანოვა 6:2, 6:2; ამანდა კუტცერი — პაოლა სუარესი 6:1, 6:4.**

**ავთანდილ სვანიძე**



ტოდ მარტინი

## სხვადასხვა



ბორის ბეკერი ისევ ქალების ხელშია

**იქნებ** ქვემოთ მოყვანილი ისტორია ავტორის ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფად მიიჩნიოთ, მაგრამ სიტყვას გაძლევთ, რომ მისი მომზადებისას ფრიად პატივცემული უცხოური საინფორმაციო სააგენტოების თავზე სულაც არ გაგვივლია.

ამხელა შესავალს იმასაც დავუმატებთ, რომ ამ ამბის წაკითხვა 16 წლამდე ბავშვებისთვის აკძალულია.

საქმე ამჯერადაც ბულვარული პრესის პირველ გვერდებს გაშინაურებულ მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს, ბორის ბეკერს ეხება. დიდმა გერმანელმა ეს-ესაა დაასრულა ბარბარა ფელტუსთან გაჭიანურებული განქორწინების პროცესი და ისევ სასამართლოსთან მოუხდება საქმის დაჭერა: მავანი რუსი მოდელი ანჯელა ერმაკოვა აპირებს დაამტკიცოს, რომ მისი 10 თვის ცისფერთვალება და ქერა ქალიშვილის, ანას მამა ვინმე კი არა, სწორედ უიმბლდონის სამგზის ჩემპიონია.

„ბუმ-ბუმ" ბორისი კარგა ხნის მანძილზე კრინტს არ ძრავდა ლონდონში მცხოვრები 33 წლის რუსის პრეტენზიების საპასუხოდ, თუმცა პარასკევს თავისი პრესაგენტის მეშვეობით შემდეგი ოფიციალური განცხადება გააკეთა: „ვიცი, რომ მთელი ამ ამბის გარშემო ბოლო ხანებში ათასნაირ ჭორ-მართალს ამბობენ, მაგრამ სინამდვილეში საქმე არც ისე რთულადაა. არსებობს პატარა ანა და ექსპერტიზა დაადგენს, ვინ არის მისი დედა და მამა".

თუმცა თუ სხვა, ამ ამბავში კარგად გათვითცნობიერებულ წყაროებს ვენდობით, საქმე სწორედ რომ რთულად ყოფილა და ვინძლო, სკანდალურობით ბილ კლინტონ-მონიკა ლევინსკის გახმაურებულ მინი-რომანს არ ჩამორჩეს.

ჩოგბურთელი თურმე აღიარებს, რომ იაპონურ რესტორან „ნობუს" თავზე მდებარე სასტუმროს საკუჭნაოში ერმაკოვასთან სქესობრივი კავშირი დაიჭირა, მაგრამ ამის შედეგად ბავშვი რელიგიურ-ანატომიური სასწაულის შედეგად თუ დაიბადებოდა, რადგან, ბორისის მტკიცებით, მან მხოლოდ ორალური სექსით ისიამოვნა.

ფრანს-პრესსა და ინგლისურ ბულვარულ გაზეთებს თუ დავუჯერებთ, ბეკერს ჯერ კიდევ შარშან მარტში, ანას დაბადებიდან რამდენიმე დღეში მიუღია ფაქსით წერილი, რომელიც მას ბავშვის შეძენას ატყობინებდა და ამ ფაქტის საიდუმლოდ შენახვისთვის ასეულ ათასობით ფუნტს ითხოვდა.

კერძო დეტექტივების საშუალებით ჩოგბურთელმა დაადგინა, რომ ერმაკოვას რუსულ მაფიასთან აქვს კავშირი და რაც კიდევ უფრო საოცარია, ანა მართლაც მისი შვილია (არაოფიციალურმა ექსპერტიზამ ეს პატარას ნახმარი პამპერსიდან შეიტყო). ახლა თავისი ლონდონელი ადვოკატების დახმარებით ბორისს სურს დაამტკიცოს, რომ ქალბატონმა ერმაკოვამ როგორღაც მოახერხა მისი სპერმის შენახვა(!) და შემდეგ ხელოვნური განაყოფიერებით დაფეხმძიმდა.

შეეფერება თუ არა ეს ყველაფერი სიმართლეს და კიდევ ერთხელ გაფცქვნიან თუ არა 100 მილიონ დოლარზე მეტი ქონების პატრონ ბეკერს ალიმენტებით, სასამართლო პროცესი დაადგენს, რომელიც წესით, უკვე თებერვალში უნდა დაიწყოს.

ცოტათი ნათელი მოეფინა ბორისის ნაჩქარევი განქორწინების მიზეზსაც. ბარბარამ, ეტყობა, საყვარელ მეუღლეს გვერდზე ყურება არ აპატია — ერმაკოვასთან ამ უკანასკნელის „გართობის" დროს ხომ ის 7 თვის ფეხმძიმე გახლდათ წყვილის მეორე ვაჟიშვილ ელიას ბალთაზარზე, თანაც კარიერის უკანასკნელ უიმბლდონზე მოთამაშე მეუღლეს ლონდონშიც ახლდა საქომაგოდ.

* * *

**ერთი** კრიმინალური საკითხავიდან მეორეზე გადავინაცვლოთ. ჩეხეთში ხუთნახევარი წლით გაამწესეს ვირის აბანოში ერთ დროს ქვეყნის საუკეთესო ჩოგბურთელი მილან შრეიბერი.

37 წლის შრეიბერი 1986-ში აშშ-ის ღია პირველობის მეოთხედფინალისტი გახლდათ (სადაც წინა ისტორიის გმირ ბორის ბეკერთან დამარცხდა), 1988-ში სეულის ოლიმპიადაზე — ბრინჯაოსმედალოსანი წყვილებში, კარიერის დასრულების შემდეგ კი წარმატებული ბიზნესმენი გახდა.

მაგრამ ყოფილი ჩოგბურთელი კანონთან მწყრალად ყოფილა. პრაღის სასამართლომ დაადგინა, რომ შრეიბერმა არაკანონიერად გაყიდა თავისივე კომპანიის, „შრეიბერ ტენის ინვესტინგის" საერთო ფონდის აქციები. ჩოგბურთელს საქმიან ურთიერთობებში ინფორმაციის ბოროტად გამოყენებისა და თაღლითობის მუხლი მიუსადაგეს და პარასკევს გისოსებს მიღმა მიაბრძანეს. უსამართლო გზით მან დაახლოებით 300 ათასი დოლარი მიითვისა.



საქართველოს შვიდკაცა ნაკრები გრან მოდეში, არგენტინაში გაფრენამდე

# არგენტინაში ფრანგული საგზლით

**გუშინწინ** საქართველოს შვიდკაცა ნაკრები ფრანგულ გრან მოდე-დან არგენტინას, მარ დელ პლატას ჩავიდა მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპზე სათამაშოდ. საფრანგეთის სამხრეთში განვლილი მოსამზადებელი პერიოდის მერე „ბორჯღალოსანთა" მწვრთნელებმა კლოდ სორელმა და მალხაზ ჭეიშვილმა ის მორაგბეები შეარჩიეს, რომლებიც ესოდენ პრესტიჟულ ტურნირში შეეცდებიან თავისა და ქვეყნის გამოჩენას: 1 — ბესიკ ხამაშურიძე, 2 — ვასილ კაცაძე, 3 — ბადრი ხეხელაშვილი, 4 — ვასილ აბაშიძე, 5 — პალიკო ჯიმშელაძე, 6 — თედო ზიბზიბაძე, 7 — გია ლაბაძე (კაპიტანი), 8 — გიორგი ბუგიანიშვილი, 9 — მალხაზ ურჯუკაშვილი, 10 — აჩიკო ქავთარაშვილი; სამარქაფონი: დავით ცხვედიანი და ილო ზედგენიძე.

მოულოდნელია გუნდში ბადრი ხეხელაშვილის ყოფნა, რომელიც დაშავებული გახლდათ და მისი არგენტინაში თამაში სათუო იყო, თუმცა ნაკრების ექიმთა ძალისხმევით ბადრი გამოჯანმრთელდა და სორელმაც სანაკრებო ადგილი არგუნა.



# ფოსტერის ოცნება კოჟულიმ აიხდინა



მაიკლ კლიმი



გორდან კოჟულო

**ავსტრალიელმა** მაიკლ კლიმმა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში რუსი ვარსკვლავი ალექსანდრ პოპოვი დაამარცხა შაბათს, ბერლინში გამართულ მოცურავეთა მსოფლიო თასის მე-8 ეტაპი გაიმართა.

კლიმი, რომელიც სიდნეის ოლიმპიადაზე ესტაფეტაში ორი ოქროს და ორიც ინდივიდუალური ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა, შეუდარებელი გახლდათ. ძლიერი სტარტი ძლიერადვე განაგრძო და დისტანცია 47.53 წამში გაცურა. პოპოვი მას მნიშვნელოვნად ჩამორჩა — 47.989, არგენტინელმა ხოსე მეოლანსმა ფინიშს 47.61 წამში მიაღწია და მეორე ადგილი დაიკავა.

„ფაქტობრივად, ახალ სეზონში პირველად გავცურე და შედეგით ძალიან კმაყოფილი გახლავართ" — თქვა 23 წლის მოცურავემ, 200 მეტრზე მსოფლიოს ჩემპიონმა და 100 მეტრზე მეორეადგილოსანმა (პოპოვის შემდეგ) — „ოლიმპიადის შემდეგ თვენახევრის განმავლობაში არ მივარჯიშია. ახლა, სერიოზულად უნდა შევუდგე საქმეს, რათა ფუკუოკაში მსოფლიოს ჩემპიონატს მზად შევხვდე".

ხოლო პოპოვი — როგორც პარასკევს განაცხადა, 2004 წლის ოლიმპიადამდე კარიერის გაგრძელება განიზრახა — დაღლილი ჩანდა. ხუმრობა ხომ არ არის, ბერლინში კანბერადან ჩაფრინდა, სადაც სახლი აქვს.

„თუ გავითვალისწინებთ, რომ ვარჯიშს ახლახან შევუდექი, 47.98 ცუდ შედეგად არ მიმაჩნია. როგორი ვარ სინამდვილეში, ამას მსოფლიოს ჩემპიონატი გვაჩვენებს" — განაცხადა კანბერიდან ჩამოსულმა.

ბერლინელთა პრიზები ასეთი გახლდათ: საუკეთესო შედეგისთვის 66 ათასი მარკა (30 ათასი დოლარი) და 50 ათასიანი მანქანა, თუმცა მის ბედზე ცოტა ქვემოთ.

ქალთა შორის 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში გაიმარჯვა შვედმა ტერეზა ალსამარმა. მისი შედეგი გახლდათ 24.63 წამი, ხოლო მას ჩამორჩენილმა სლოვაკმა მარტინა მორავკოვამ და კანადელმა ნადინ როლანდმა დისტანცია 25.39 წამში გაცურეს. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო რეკორდი ალსამარს ეკუთვნის — 23.59

„კარგი შედეგია, კმაყოფილი ვარ" — თქვა შეჯიბრების შემდეგ შვედმა, რომელიც დილის გაცურვისას ყოფილმა სპარინგ-პარტნიორმა სანდრა ვოლკერმა დაამარცხა. შემდეგ ვოლკერმა ფინალში მონაწილეობა იუარა, რადგან ზურგზე ცურვისთვის ინახავდა ძალებს და გაიმარჯვა კიდეც 50 მეტრის 27.69 წამში დაფარვით.

„დილის წაგება აბსოლუტურად არაფერს ნიშნავდა. ეს უბრალოდ ვარჯიში იყო" — განმარტა ალსამარმა.

იმავე დღეს, 200 მეტრზე ზურგზე ცურვაში, ვაჟთა შორის ხორვატმა გორდან კოჟულიმ გამოიჩინა თავი — გაიმეორა მსოფლიო რეკორდი და, შესაბამისად, 30 ათასი დოლარიც ჩაიჯიბა. საინტერესო ის გახლავთ, რომ ჩაჯიბებაში მისმა კონკურენტმა, მარკ ფოსტერმა 50 მეტრზე თავისუფლად ცურვაში ევროპის რეკორდი დაამყარა, მაგრამ ფული ვერ მიიღო.

„რა საწყენია, რომ მსოფლიო რეკორდი ვერ დავამყარე. ვინ იცის, იქნებ შევცდი და მის დამყარებას ისევ შეფილდში უნდა შევჭიდებოდი. ბოლოს და ბოლოს იმ აუზში ხომ მიმართლებს" — განაცხადა დაღვრემილმა ფოსტერმა, რომელმაც გასულ ოთხშაბათს, შეფილდში, 50 მეტრზე ბატერფლაიში დაამხო მსოფლიოს საუკეთესო შედეგი.

**ტუტა სიხარულიძე**



# ჯიბე ცარიელი, ხელი ცარიელი
# ფული 0, მოგება 0, ქულა 0

**უქულოდ** დაასრულა უფულო საქართველოს ვაჟ ხელბურთელთა ნაკრებმა ევროპის 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი. ბოლო ორი თამაში ჩვენებმა ბოსნიაში გამართეს. მასპინძლებმა ორჯერვე გვაჯობეს, თუმცა პირველ დღეს განადგურების შემდეგ განმეორებით შეხვედრაში მხოლოდ ორბურთიან სხვაობას დასჯერდნენ.

თურქებმა, რომლებიც ჯგუფის ფავორიტებად ითვლებოდნენ, საბერძნეთის ნაკრებს ორივე მატჩი მოუგეს, პირველი ადგილი დაიკავეს და ბოსნიელებთად ერთად შემდგომ ეტაპზე თამაშის უფლებაც მოიპოვეს.

დანარჩენი ოთხი ჯგუფიდან კი ბრძოლას გააგრძელებს ბელარუსი, იტალია, სლოვაკეთი, ფინეთი, ლიტვა, შვეიცარია, ისრაელი და ჰოლანდია. თითოეული გუნდი რეიტინგით უფრო მაღლა მდგომ მეტოქეს ორმატჩიან რაუნდში შეებრძოლება, რის შემდეგაც დასკვნითი ეტაპის 11 მონაწილე გაირკვევა, ხოლო კიდევ უფრო ძლიერი ხუთი ნაკრები — რუსეთი, შვედეთი, ესპანეთი, საფრანგეთი და სლოვენია შერჩევის გარეშეა დაშვებული ფინალურ ტურნირში, რომელსაც გაისად, იანვარ-თებერვალში შვედები უმასპინძლებენ.

ბოსნია — საქართველო 28:17 (13:7)
ბოსნია — საქართველო 26:24 (13:11)
საბერძნეთი — თურქეთი 27:32 (13:21)
თურქეთი — საბერძნეთი 26:24 (12:9)

სატურნირო ვითარება

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 5 | 0 | 1 | 161:137 | 10 |
| ბოსნია | 4 | 0 | 2 | 150:138 | 8 |
| საბერძნეთი | 3 | 0 | 3 | 148:151 | 6 |
| საქართველო | 0 | 0 | 6 | 124:157 | 0 |



თუ ასე გაგრძელდა, ქართული ხელბურთი ევროპაში ფეხს ვერ მოიკიდებს

**ამასობაში** ქალებმა ჩემპიონთა ლიგის ოთხჯგუფიან ტურნირში პირველი წრე განვლეს. მოულოდნელად მეორე სასტიკი მარცხი იწვნია ლიგის ამჟამინდელმა ჩემპიონმა ვენის „ჰიპომ" და სატურნირო მდგომარეობა უკიდურესად გაირთულა. სამაგიეროდ, დანიის „ვიბორგმა", ერთადერთმა კლუბმა, რომელიც უდანაკარგოდ ასპარეზობს, ზედიზედ მესამე მოგებით მეოთხედფინალის საგზური თითქმის უკვე გაინაღდა.

A ჯგუფი: „აკვა" (რუსეთი) — „ფრედერიკსბერგი" (დანია) 30:15; „ბუდუჩნოსტი" (იუგოსლავია) — „ჰიპო" (ავსტრია) 36:28.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აკვა | 2 | 1 | 0 | 81:55 | 5 |
| ბუდუჩნოსტი | 1 | 2 | 0 | 82:74 | 4 |
| ჰიპო | 1 | 0 | 2 | 80:88 | 2 |
| ფრედერიკსბერგი | 0 | 1 | 2 | 62:88 | 1 |

B ჯგუფი: „გისენი" (გერმანია) — „ჰერცი" (უნგრეთი) 24:30; „ფეროზუსი (ესპანეთი) — „ბაეკელაგეტსი" (ნორვეგია) 26:26.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჰერცი | 2 | 0 | 1 | 90:76 | 4 |
| ფეროზუსი | 1 | 1 | 1 | 83:82 | 3 |
| ბაეკელაგეტსი | 1 | 1 | 1 | 78:84 | 3 |
| გისენი | 1 | 0 | 2 | 78:87 | 2 |

C ჯგუფი: „ლარვიკი" (ნორვეგია) — „ვიბორგი" (დანია) 22:27; „არტასი" (საბერძნეთი) — „ოლჩიმი" (რუმინეთი) 21:33.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ვიბორგი | 3 | 0 | 0 | 85:75 | 6 |
| ლარვიკი | 2 | 0 | 1 | 75:67 | 4 |
| ოლჩიმი | 1 | 0 | 2 | 79:75 | 2 |
| არტასი | 0 | 0 | 3 | 68:90 | 0 |

D ჯგუფი: „კრიმი"(სლოვენია) — „მილარი" (ესპანეთი) 30:19; „გრაზოპლასტი" (უნგრეთი) — „სპარტაკი" (უკრაინა) 32:27

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კრიმი | 2 | 1 | 0 | 83:67 | 5 |
| მილარი | 2 | 0 | 1 | 76:83 | 4 |
| გრაზოპლასტი | 1 | 1 | 1 | 82:79 | 3 |
| სპარტაკი | 0 | 0 | 3 | 78:90 | 0 |



# ლუკა გაპარდეს, ჰოსპიტალში ჩაპარდეს





ლუკა ბადოერი ავარიის ადგილიდან საავადმყოფოში ვერტმფრენით გადაიყვანეს

**კვირას** ბარსელონაში „ფერარის" ახალი მოდელის გამოცდისას უმძიმეს ავარიაში მოჰყვა ამ იტალიური საჯინიბოს ტესტ-პილოტი ლუკა ბადოერი.

პარასკევს ბადოერმა ყველაზე მეტი, 103 წრე უხიფათოდ გაიქროლა და საუკეთესო დროც აჩვენა. გუშინწინ კი ვარჯიში ახალი დაწყებული იყო, როცა მე-11 წრეზე მის ბოლიდს თითქმის 200-კილომეტრიან სიჩქარეზე ჯერ უკანა ბორბალი მოსძვრა, მერე უკანა ფრთა და წინა მარცხენა ბორბალი. მრბოლმა, ცხადია, მანქანაზე კონტროლი დაკარგა. ნახევრადდაშლილი „ფერარი" ცხვირით მოხრეშილ ზონაში ჩაერჭო, რამდენჯერმე ამოყირავდა და საბურავების დამცავ ბარიერს გადააფრინდა.

ლუკა გრძნობაზე იყო, თუმცა კისრის არეში მწვავე ტკივილს უჩიოდა. იგი ვერტმფრენით ბარსელონას ჰოსპიტალში გააქანეს. მართალია, შემოწმებისას სხვა დაზიანება არ აღმოაჩნდა, მაგრამ იტალიელი პილოტი ერთი დღით მაინც დატოვეს კლინიკაში, გუშინ კი სპეცრეისით სამშობლოში გადაიყვანეს. ასევე უკან, მარანელოში გააბრუნეს მანქანის ნარჩენები ადგილზე დეტალური გამოკვლევისთვის.

30 წლის მძღოლმა გასულ კვირას „ფერარისთან" კონტრაქტი გააფორმა, რის საფუძველზე მიხაელ შუმახერის ან რუბენს ბარიკელოს რაიმე მიზეზით სტარტზე გამოუსვლელობის შემთხვევაში მათ სწორედ ლუკა შეცვლიდა. არადა, რა ხანია, ფორმულის ყველაზე სახელოვანი გუნდის შემადგენლობაში იტალიელს აღარ უასპარეზია, თუმც საბოლოოდ ჯერ არაფერია გადაწყვეტილი.

დღეს „კატალუნია მონტმელოს" ტრასაზე ტესტები გაგრძელდება. წლევანდელი ჩემპიონატის მონაწილეთაგან ყველაზე გვიან, თითქმის ორთვიანი შესვენების შემდეგ პირველად მიუჯდება „ფერარის" საჭეს გასული სეზონის გმირი მიხაელ შუმახერი.

**გია ახალაძე**



ჰერმან მაიერი



სონია ნეფი

# სონიას გიგანტური, იანიკას სპეციალური

**გიგანტური** სლალომის ბროლის თასი, სეზონის მეხუთე გამარჯვება — ოთხი ზედიზედ — ასეთია შვეიცარიელი სონია ნეფის შედეგი მას მერე, რაც კვირას მსოფლიოს თასის გიგანტური სლალომის გაიმარჯვა. პირველი ჩამოსრიალების შემდეგ, „ოლიმპია დელე ტოფანეს" 54-კარიან ტრასაზე ნეფმა ნახევარწუთიანი უპირატესობა დაიბევა, მეორე კი საკუთარი თავის აბსოლუტური რწმენით ჩაატარა და საბოლოოდ 2 წუთით 37 წამით და 56 მეასედით გაიმარჯვა.

მეორეზე გავიდა კანადელი ელისონ ფორსიტი (2:38.04), მესამე ადგილი შარშანდელ ჩემპიონს, მიქაელა დორფმაისტერს ერგო (2:38.41).

ამრიგად, გიგანტურ სლალომში ნეფი დორფმაისტერს 235 ქულით უსწრებს. მისი მონაგარია 576 ქულა, ავსტრიელისა — 341, ხოლო დარჩენილ ორ ეტაპზე 200 ქულაღა თამაშდება.

„ზედიზედ მეოთხე ეტაპის მოგება და იმავე დღეს ჩემპიონობის დაბევება წარმოუდგენელი წარმატებაა" — განაცხადა ბედნიერმა ნეფმა, რომელმაც 9-წლიან კარიერაში მუხლის მრავალი ტრავმა გადაიტანა და დიდი ჯილდო პირველად ირგუნა.

„ჯადოსნური სეზონი მქონდა. ვერც კი ავხსნი, რატომ ვიყავი ამ ზამთარს ასე ძლიერი. სეზონის დასაწყისში ხომ მხოლოდ ერთი ან ორი ეტაპის მოგებაზე ვოცნებობდი. ახლა, ცხადია, სენტ ანტონში, მსოფლიო ჩემპიონატის ფავორიტად მიმიჩნევენ, მაგრამ უკვე ვიცი, რა მოვუხერხო ფსიქოლოგიურ ზეწოლას: შევეცდები, ჩემპიონატს როგორც ერთ ჩვეულებრივ ეტაპს, ისე მივუდგე".

ზედიზედ ოთხ ეტაპზე გამარჯვება ნეფამდე მხოლოდ დებორა კომპანიონიმ შეძლო, თუმცა იტალიელს უფრო დიდი შედეგი უმშვენებს კარიერას: 1996-97 წლების სეზონის ბოლო ოთხი და 1997-98 წლების პირველ ოთხ ეტაპზე გამარჯვება. ფაქტობრივად, მან ზედიზედ 8 ეტაპი მოიგო, ოღონდ ამ ეტაპებს ზაფხული ტიხრავდა.

ელისონ ფორსეტმა, როგორც მოგახსენეთ, მეორე ადგილი დაიკავა. ეს ზუსტად ის შედეგია, რომელიც კანადელს კორტინაში, ამ ტრასაზე წინა სეზონშიც ჰქონდა.

„კეთილი იყოს თქვენი დაბრუნებაო, რომ იტყვიან, ისე მოხდა. სეზონი ხომ ცუდად დავიწყე, მაგრამ აი, ჩამოვედი კორტინაში, ჩემს საყვარელ ტრასაზე და მეორე ადგილიც მოვიპოვე. გიგანტურ სლალომში კარგი შედეგი აქამდეც მქონდა. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ეს მეორე ადგილი კარგად გაგრძელების საწინდარია" — თქვა ფორსიტმა.

მიქაელა დორფმაისტერმა კი დეკემბერში, სესტრიერში მიღწეული წარმატების შემდეგ პირველად ადგა კვარცხლბეკზე ფეხი.

„ეს იმედს მისახავს, რომ თვის ბოლოს, მსოფლიოს ჩემპიონატზე, წარმატებას მივაღწევ" — განაცხადა მან.

კვირა შვეიცარიელთათვის ფრიად ბედნიერი დღე გამოდგა. ნეფმა ხომ გაიმარჯვა და მისმა თანამემამულემ, ლილიან კუმერმა 27-ე ადგილიდან მეხუთეზე გადაინაცვლა, ხოლო კიდევ ერთმა, კორინ რეი ბელეტმა მე-15-დან — მეშვიდეზე.

კიდევ ერთ მცირე ბროლის თასს გამოუჩნდა პატრონი. ხორვატმა იანიკამ კოსტელიჩმა, სპეციალური სლალომის ზედიზედ ექვსი ეტაპის მოგებით, სამთოთხილამურობის ამ ურთულესი სახეობის გამარჯვებულის სახელი დაიგდო.

ერთი დღით ადრე კი ავსტრიელმა ჰერმან მაიერმა ვაჟთა შორის სწრაფდაშვებაში გაიმარჯვა. აღსანიშნავია, რომ მაიერმა პარასკევსაც პირველი ადგილი დაიკავა, ოღონდ სუპერგიგანტში.

**ტუტა სიხარულიძე**

## მსოფლიოს თასი

### კაცები

კიცბიუელი. ავსტრია

19 იანვარი. სუპერგიგანტი

1. ჰერმან მაიერი (ავსტრია) 1.21,72 წთ
2. იოზეფ შტრობლი (ავსტრია) 1.22,67
3. ვერნერ ფრანცი (ავსტრია) 1.22,89

20 იანვარი. სწრაფდაშვება

1. ჰერმან მაიერი 1.56,84
2. ჰანს ტრინკლი (ავსტრია) 1.57,11
3. შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) 1.57,46
3. დარონ რალვესი (აშშ) 1.57,46

21 იანვარი. სლალომი

1. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 1.39,79
2. იურე კოსირი (სლოვენია) 1.40,11
3. ჰანს პეტერ ბურასი (ნორვეგია) 1.40,91

კომბინაცია (სლალომი+სწრაფდაშვება)

1. ლასე კიუსი (ნორვეგია) 3.40,56
2. მიხაელ ვალჰოფერი (ავსტრია) 3.40,65
3. კეტილ ამოდტი (ნორვეგია) 3.40,96

### საერთო ჩათვლა

1. ჰერმან მაიერი 993 ქულა
2. ლასე კიუსი 659
3. კეტილ ამოდტი 617

### ქალები

კორტინა დამპეცო. იტალია

19 იანვარი. სწრაფდაშვება

1. იზოლდე კოსტნერი (იტალია) 1.32,79 წთ
2. რენატა გოეჩლი (ავსტრია) 1.32,81
3. რეგინა კავანიუ (საფრანგეთი) 1.33,95

20 იანვარი. სუპერგიგანტი

1. რეგინა კავანიუ 1.26,85
2. მელანი ტარჯონი (აშშ) 1.27,10
3. რენატა გოეჩლი 1.27,17

21 იანვარი. გიგანტური სლალომი

1. სონია ნეფი (შვეიცარია) 2.37,56
2. ალისონ ფორსიტი (კანადა) 2.38,04
3. მიქაელა დორფმაისტერი (ავსტრია) 2.38,41

გიგანტური სლალომის საერთო ჩათვლა

1. სონია ნეფი 576 ქულა
2. მიქაელა დორფმაისტერი 341
3. ანია პერსონი (შვედეთი) 328

სლალომის საბოლოო ჩათვლა

1. იანიკა კოსტელიჩი (ხორვატია) 600 ქულა
2. ტრინე ბაკე (ნორვეგია) 245
3. მარტინა ერტლი (გერმანია) 234

### საერთო ჩათვლა

1. რენატა გოეჩლი 965 ქულა
2. იანიკა კოსტელიჩი 956
3. რეგინა კავანიუ 890

## ჰოკეი

19 იანვარი

**ბუფალო — ფლორიდა 1:0**

0:0 0:0 1:0

1:0 ჰამელი 59'52 (7)

**ნეშვილი — ბოსტონი 1:0**

0:0 0:0 0:0 1:0

1:0 ჰალსი 62'24 (1)

**დალასი — პიტსბურგი 6:5**

0:2 3:0 2:3 1:0

0:1 ბერანეკი 2'14 (6); 0:2 ლემიე 13'02 (10); 1:2 მარშალი 23'57 (5); 2:2 დონატო 24'31 (3); 3:2 ჰოგი 33'19 (1); 3:3 იაგრი 40'26 (27); 4:3 ჰალი 44'28 (26); 4:4 ლანგი 47'52 (16); 5:4 ზუბოვი 53'23 (6); 5:5 კოვალიოვი 54'29 (26); 6:5 სიდორი 60'42 (4)

**მინესოტა — აილენდერსი 3:2**

0:0 3:0 0:2

1:0 ჰენდრიქსონი 20'58 (9); 2:0 ლააქსონენი 22'06 (9); 3:0 ულცი 38'14 (9); 3:1 კონოლი 47'51 (5); 3:2 მაკოლტი 49'06 (7)

**ჩიკაგო — ვაშინგტონი 3:1**

1:1 1:0 1:0

0:1 რიკი 18'57 (2); 1:1 მაკამონდი 19'04 (8); 2:1 ნიულანდერი 37'34 (15); 3:1 ამონტე 59'22 (25)

**ანაჰაიმი — ფინიქსი 3:4**

1:3 1:1 1:0

0:1 დოუნი 0'41 (12); 0:2 ილონენი 1'11 (3); 1:2 მაკინისი 16'21 (16); 1:3 ბრირი 19'33 (6); 1:4 რენიკი 27'42 (17); 2:4 ტვერდოვსკი 35'23 (7); 3:4 სელიანე 49'41 (17)

**ედმონტონი — დეტროიტი 2:1**

0:0 1:0 1:1

1:0 ნიინიმაა 38'53 (7); 2:0 კომრი 49'14 (1); 2:1 ვერბიკი 57'23 (10)

**სენტ ლუისი — ვანკუვერი 3:0**

1:0 1:0 1:0

1:0 სიმპსონი 15'10 (2); 2:0 ჰეხტი 27'11 (13); 3:0 იანგი 47'56 (22)

20 იანვარი

**ტორონტო — ბუფალო 2:0**

0:0 1:0 1:0

1:0 კორსონი 37'26 (3); 2:0 კოროლიოვი 55'45 (8)

**მონრეალი — რეინჯერსი 2:2**

1:2 0:0 1:0 0:0

1:0 სავაჟი 0'20 (19); 1:1 ჰლავაჩი 10'59 (18); 1:2 ჰლავაჩი 13'58 (19); 2:2 დელაილი 50'02 (2)

**ფილადელფია — ფლორიდა 5:3**

1:1 0:1 4:1

1:0 მაკგილისი 9'50 (8); 1:1 პ. ბურე 12'17 (24); 1:2 კოზლოვი 22'45 (4); 2:2 პრიმო 40'56 (18); 3:2 პრიმო 47'55 (19); 4:2 განიე 52'34 (18); 4:3 პ. ბურე 54'03 (25); 5:3 ლანგკოუ 59'59 (9)

**ოტავა — ტამპა 3:0**

0:0 1:0 2:0

1:0 იაშინი 31'49 (19); 2:0 ზამუნერი 42'05 (14); 3:0 იაშინი 43'18 (20)

**სან ხოსე — კოლორადო 1:2**

0:1 0:1 1:0

0:1 ჰეიდუკი 10'45 (27); 0:2 საკიკი 25'00 (27); 1:2 ნოლანი 52'12 (16)

**კაროლინა — ლოს ანჯელესი 3:6**

2:1 0:3 1:2

0:1 პალფი 1'57 (23); 1:1 ონილი 11'03 (20); 2:1 ონილი 14'57 (21); 2:2 რ. ბლეიკი 32'37 (16); 2:3 რაინპრეხტი 36'19 (11); 2:4 პალფი 37'42 (24); 2:5 სმოლინსკი 50'31 (16); 3:5 კარპა 54'22 (3); 3:6 ემერსონი 59'16 (6)

**ნიუ ჯერსი — ატლანტა 3:2**

1:1 0:0 2:1

1:0 სიკორა 7'38 (14); 1:1 სტეიოსი 19'41 (7); 1:2 სარო 40'26 (2); 2:2 სიკორა 44'54 (15); 3:2 ჰოლიკი 49'41 (9)

21 იანვარი

**მინესოტა — ნიუ ჯერსი 2:4**

1:1 0:3 1:0

0:1 ბრილინი 9'37 (13); 1:1 ოდონელი 14'35 (3); 1:2 მოგილნი 21'42 (24); 1:3 მაკეი 26'12 (16); 1:4 მოგილნი 34'13 (25); 2:4 ბენიშეკი 44'35 (2)

**ნეშვილი — სენტ ლუისი 3:1**

0:0 3:0 0:1

1:0 იაჩმენევი 26'57 (10); 2:0 ტიმონენი 27'43 (9); 3:0 ჩიზარი 31'22 (7); 3:1 ისტვუდი 45'36 (5)

**ანაჰაიმი — კოლორადო 2:4**

2:4 0:0 0:0

1:0 მაკინისი 2'40 (17); 1:1 იელი 3'48 (2); 1:2 ჰეიდუკი 4'34 (28); 2:2 მაკინისი 6'55 (18); 2:3 ტანგეი 13'09 (19); 2:4 დინგმანი 15'16 (1)

**ჩიკაგო — პიტსბურგი 0:4**

0:0 0:3 0:1

0:1 სტრაკა 29'22 (19); 0:2 კორბე 34'32 (7); 0:3 ლემიე 39'28 (11); 0:4 ლანგი 41'34 (17)

**ატლანტა — აილენდერსი 4:4**

2:1 1:2 1:1 0:0

0:1 ჩერკავსკი 4'21 (16); 1:1 სილვესტრი 5'48 (5); 2:1 სარო 11'43 (3); 2:2 პერიში 21'22 (15); 2:3 ისბისტერი 27'34 (13); 3:3 დონოვანი 30'27 (7); 3:4 ისბისტერი 47'15 (14); 4:4 სარო 50'23 (4)

**კოლუმბუსი — ტამპა 3:1**

1:1 0:0 2:0

1:0 სანდერსონი 1'22 (20); 1:1 ზიუზინი 6'11 (2); 2:1 გიბორნი 40'27 (8); 3:1 ობენი 59'39 (10)

**კალგარი — დეტროიტი 4:2**

1:1 3:1 0:0

1:0 სავარი 6'10 (15); 1:1 ლარიონოვი 11'51 (7); 1:2 შენაჰანი 23'35 (17); 2:2 სავარი 26'15 (16); 3:2 მორისი 28'32 (3); 4:2 იგინლა 39'56 (15)

**ფინიქსი — დალასი 5:2**

1:0 4:1 0:1

1:0 ტკაჩუკი 6'04 (21); 2:0 ნეკარი 26'20 (2); 2:1 მოროუ 30'27 (12); 3:1 ნუმინენი 36'22 (4); 4:1 უილსონი 36'59 (9); 5:1 ბრირი 39'31 (7); 5:2 მარშალი 51'07 (6)



პიტსბურგელთა მეკარე გარტ სნოუმ და ჰანს იუნსონმა ჩიკაგოელ სტეფან ქინტალს არ გაატანინეს

### სატურნირო ვითარება

**ჩრდილო-აღმოსავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 46 | 26 | 6 | 1 13 | 152:114 | 59 |
| ტორონტო | 48 | 22 | 7 | 4 15 | 144:119 | 55 |
| ბუფალო | 46 | 24 | 5 | 1 16 | 121:105 | 54 |
| ბოსტონი | 47 | 18 | 6 | 5 18 | 118:141 | 47 |
| მონრეალი | 48 | 15 | 5 | 3 25 | 119:136 | 38 |

**ატლანტა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 46 | 25 | 9 | 0 12 | 162:111 | 59 |
| ფილადელფია | 47 | 22 | 9 | 1 15 | 135:132 | 54 |
| პიტსბურგი | 48 | 22 | 6 | 2 18 | 151:149 | 52 |
| რეინჯერსი | 47 | 19 | 3 | 1 24 | 149:168 | 42 |
| აილენდერსი | 47 | 12 | 5 | 2 28 | 109:153 | 31 |

**სამხრეთ-აღმოსავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვაშინგტონი | 47 | 20 | 8 | 1 18 | 124:121 | 49 |
| კაროლინა | 45 | 20 | 6 | 2 17 | 116:122 | 48 |
| ატლანტა | 47 | 15 | 9 | 1 22 | 129:158 | 40 |
| ტამპა | 47 | 13 | 5 | 2 27 | 115:161 | 33 |
| ფლორიდა | 48 | 9 | 8 | 6 25 | 100:146 | 32 |

**ცენტრი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ ლუისი | 46 | 31 | 4 | 1 10 | 157:96 | 67 |
| დეტროიტი | 50 | 27 | 4 | 4 15 | 144:129 | 62 |
| ნეშვილი | 50 | 19 | 7 | 2 22 | 113:127 | 47 |
| ჩიკაგო | 47 | 20 | 4 | 2 21 | 128:129 | 46 |
| კოლუმბუსი | 48 | 15 | 4 | 3 26 | 108:147 | 37 |

**ჩრდილო-დასავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლორადო | 49 | 32 | 8 | 1 8 | 157:108 | 73 |
| ვანკუვერი | 48 | 24 | 4 | 4 16 | 153:141 | 56 |
| ედმონტონი | 50 | 23 | 6 | 1 20 | 134:135 | 53 |
| კალგარი | 47 | 16 | 9 | 4 18 | 113:134 | 45 |
| მინესოტა | 48 | 16 | 8 | 2 22 | 101:119 | 42 |

**წყნარი ოკეანე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი | 47 | 27 | 4 | 1 15 | 134:108 | 59 |
| სან ხოსე | 46 | 26 | 7 | 0 13 | 131:106 | 59 |
| ფინიქსი | 47 | 22 | 11 | 1 13 | 122:107 | 56 |
| ლოს ანჯელესი | 47 | 22 | 7 | 1 17 | 162:144 | 52 |
| ანაჰაიმი | 50 | 15 | 6 | 4 25 | 120:155 | 40 |

*შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში წაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან.*

# ქველმოქმედება და ლაღობა





REUTERS კიცბიუელიდან

ფორმულელები შვებულებას საქველმოქმედო საქმეში იყენებენ და ამიტომ თუ სწვევიან ავსტრიულ კიცბიუელს, სადაც კაც სამთომოთხილამურეთა მსოფლიოს თასის სამი ეტაპიდან ორში ჰერმან მაიერმა იმარჯვა. ფორმულელები კი თავისას ხლაფორთობდნენ. აქეთ დევიდ კულჰარდიო, იქეთ დეიმონ ჰილიო. თვით ფორმულელთა ბელადიც, ბერნი ეკლსტოუნიც იქა ყოფილა, ციგაზე წამოგორებული უტარებიათ გერჰარდ ბერგერსა და მოთხილამურე ბერნარ გასტრეინს. სამაგიეროდ, ეს ყველაფერი საქველმოქმედო იყო.



REUTERS კიცბიუელიდან



REUTERS ბრემენიდან





# გამაზე?

აბა, თუ ვიცით, რომელია ევროპის ყველაზე პოპულარული ტელეშოუ? რომელი და „გამაზე?“. ამ ბრემენულ შოუს იმითაც გაუთქვამს სახელი, რომ გამოჩენილ სპორტსმენებს მოიწვევს ხოლმე. ასე მოხვედრილან „გამაზე?“-ში ამჟამად ევროპაში მოხეტიალე დიეგო მარადონა და შვებულებით შინ მყოფი ლოთარ მათეუსი. იქვე ყოფილან გერმანელი კომედიანტი შტეფან რააბი და გერმანელივე შავტუხა მომღერალი საბრინა სელტური, ვისაც ბორის ბეკერის საყვარლობა ბრალდება.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მექველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge